მუზეუმი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

N3 / 2014

19 / ინტერვიუ რიდ ფერინგთან

32 / არქეოლოგიის განახლებული გამოფენა

80 / იდეალური ადგილი სწავლებისათვის

62 / თანამშრომლობა რეგიონულ მუზეუმებთან

72 / ფოტოსტუდია ერმაკოვი

ISSN 2298-0318

APRIL 7-18, 2014

Global Museum Leaders COLLOQUIUM

GMLC@METMUSEUM.OGR

მსოფლიოს მუზეუმების ლიდერთა ფორუმი (Global Museum Leaders Colloquium) ორკვირიანი პროგრამაა, რომელსაც ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი მასპინძლობს. ის შექმნილია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს მსოფლიოს მუზეუმების დირექტორებს შორის საერთაშორისო დიალოგს მუზეუმის მართვის და კოლექციების მოვლა-პატრონობის შესახებ. პირველ ფორუმზე ნიუ-იორკში 14 დირექტორი შეიკრიბა აზიის, აფრიკის, ევროპისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან.

მეტროპოლიტენის მუზეუმში მიმდინარე თორმეტდღიანი ფორუმის განმავლობაში სემინარების, ვორკშოპებისა და დიალოგის ფორმატში მონაწილეები განიხილავდნენ მუზეუმების მენეჯმენტისა და სტრატეგიის შემუშავების საკითხებს. დაგეგმილი შეხვედრების მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ღია დიალოგს მოწვეული მუზეუმების დირექტორთა შორის, რომლებმაც ერთმანეთს გაუზიარეს თავიანთი ინსტიტუციების გამოცდილება, ისაუბრეს საერთაშორისო სამუზეუმო სფეროში არსებულ გამოწვევებზე და დასახაეს თანამშრომლობის ახალი გზები.

მონაწილე ქვეყნები

„ყველა დიდი მუზეუმის მსგავსად, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი არის ადგილი, სადაც ადამიანები ერთიანდებიან განსხვავებული მოსაზრებების გასაზიარებლად. სწორედ ამის გათვალისწინებით მივესალმებით ჩვენ მუზეუმების ლიდერთა გამორჩეულ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს 14 ქვეყანას ხუთი კონტინენტიდან. ისინი ჩამოვიდნენ, რათა საფუძველი ჩაუყარონ მუზეუმის მართვის გლობალურ პროგრამას. საუკეთესო შემთხვევაში, აღნიშნული ფორუმის ფარგლებში იდეებისა და გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს არა მარტო მონაწილე ინსტიტუციების, არამედ კულტურის სფეროს სხვა დაწესებულებების განვითარებასაც“ – ტომას კემპბელი, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის აღმასრულებელი დირექტორი.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხრიდან ფორუმში მონაწილეობას იღებდა მისი გენერალური დირექტორი პროფ. დავით ლორთქიფანიძე. საქართველოს ეროვნული მუზეუმი ფორუმზე მიწვეული იყო როგორც ხანგრძლივი სამუზეუმო ტრადიციების გამგრძელებელი და, ამავდროულად, რეგიონის წამყვანი რეფორმატორი ინსტიტუცია.

მეგობარი

ტიმ სევერინი

იასონის მოგზაურობისთვის მოსამზადებლად დაახლოებით სამი წელი დაგვჭირდა. თავდაპირველად უნდა შემესწავლა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტები და მათზე არსებული ყველა კომენტარი.

10 / მთავარი თემა

„კოლხური ხუფი“ მეტყველებს იმაზე, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეანტიკურ პერიოდში და შემდეგაც აუცილებლად უნდა არსებულიყო ადგილობრივი საოქრომჭედლო სახელოსნოები, რომლებიც ამ ტექნიკური საშუალებებით ამზადებდნენ მაღალმხატვრულ საიუველირო ნივთებს.

16 / ინტერვიუ

არგოს ქართულ წყლებში შესვლა და შემდეგ რიონში გადასვლა ქართველ მოხალისეებთან ერთად ერთი სიტყვით რომ ვთქვა სიურეალიზმი იყო.

22 / ისტორია

1950-იანი წლების ბოლოსთვის იწყება მზადება ახალი არქეოლოგიური გამოფენისთვის. არქეოლოგიის ფონდში კოლექციების რიცხვის ზრდამ საგრძნობლად გაართულა საგამოფენო ექსპონატების შერჩევის პროცესი.

50 / პროექტი

ნაქარგობის კოლექციის შეგროვება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებების მოღვაწეობას უკავშირდება.

68 / თანამშრომლობა

აგვისტოს ბოლო კვირაში რიმინი უკვე 30 წელია კულტურის საერთაშორისო ცენტრი ხდება, სადაც კულტურის ყველაზე დიდ საერთაშორისო ფორუმზე თავს იყრიან ცნობილი მეცნიერები, ნობელის პრემიის ლაურეატები, სხვადასხვა რელიგიებისა და კულტურების წარმომადგენლები, ცნობილი პოლიტიკური ფიგურები, ხელოვანები, მწერლები, მუსიკოსები და სპორტსმენები მთელი მსოფლიოდან.

სარჩევი

06 / საქართველოს ევროპული მისწრაფებები

19 / ინტერვიუ რიდ ფერინგთან

32 / საქართველოს არქეოლოგიის განახლებული გამოფენა

36 / პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში

42 / ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი

48 / დიმიტრი ერმაკოვი: ფოტოგრაფი და კოლექციონერი

52 / ქართული ეროვნული სამოსი

56 / ებრაული კულტურული მემკვიდრეობა

71 / საქართველოს ეროვნული მუზეუმი პარტნიორთა ქსელს აფართოებს

76 / წარჩინებული მეომრის სამარხი დმანისიდან

78 / არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე

10 წელია, რაც ეროვნული მუზეუმი შეიქმნა. ბევრჯერ დამისვამს ჩემი თავისთვის კითხვა, თუ რამდენად მიაღწია ჩვენმა გუნდმა დასახულ მიზნებს. ვფიქრობ, რომ მიუხედავად პრობლემებისა, დაწესებულება აგრძელებს თავის მთვარ მისიას, არა მარტო მოუაროს საკუთარ მემკვიდრეობას, არამედ აწარმოოს მისი მეცნიერული შესწავლა და გააცნოს იგი საზოგადოებას.

მუზეუმის ჟურნალის ამ ნომერში წარმოდგენილია ჩვენი დაწესებულებისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვნება. გარდა იმისა, რომ თქვენ საშუალება გაქვთ, წაიკითხოთ სტატიები ეროვნული მუზეუმის კოლექციებში დაცული ნაქარგობის, მხატვრობისა თუ არქეოლოგიური მასალის შესახებ, გთავაზობთ გაიცნოთ ისეთი განსაკუთრებული ადამიანები, როგორებიც არიან ცნობილი მეცნიერი და ჩვენი ქვეყნისა და მუზეუმის დიდი მეგობარი რიდ ფერინგი და სახელგანთქმული მოგზაური ტიმ სევერინი, რომელთან შეხვედრის ბედნიერებაც პირველად 1984 წლის აგვისტოში მხვდა წილად. მაშინ თან ვახლდი მამას, რომელიც XX საუკუნის არგონავტს, კაპიტან ტიმ სევერინს და მის გუნდს საქართველოს ნაპირებთან დახვდა. კარგად მახსოვს ის განსაკუთრებული ემოციები, როდესაც „შავი ზღვის აკვატორიაში „არგო“ გამოჩნდა. ბევრის აზრით ამ ექსპედიციამ კოლხეთის შესახებ ბერძნული მითების რეალობა დაადასტურა. იმ დროს ვერ წარმოვიდგენდი, რომ 30 წლის შემდეგ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში თავად ვუმასპინძლებდი ადამიანს, რომელიც აერთიანებს მეცნიერის აკადემიურ ცოდნასა და სახიფათო მოგზაურობისა და თავგადასავლების მოყვარულისთვის დამახასიათებელ აზარტს.

ტიმ სევერინის მსგავსად ქართველი მეცნიერის, ერმილე მაღრაძის ექსპერიმენტიც მითისა და რეალობის დაახლოების მცდელობას წარმოადგენს. მისი მრავალწლიანი ექსპერიმენტული კვლევა ადასტურებს, რომ ქართული ოქრომჭედლობის ტექნოლოგია ანტიკურ ხანაში იღებს სათავეს და ეხმიანება მითს ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ. მისი ექსპერიმენტი ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არის შესაძლებელი პატარა ქვეყანაში დიდი დანახარჯების გარეშე ემსახურო ნამდვილ მეცნიერებას და გააკეთო მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენები.

ნომერში ჩვენი კავშირების შესახებაც მოგითხრობთ – მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი, უკრაინისა და აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმები, ეგვიპტის მუზეუმები, ასევე ჩვენი ქვეყნის რეგიონული მუზეუმები მარტვილსა და ცაგერში ჩვენს უმნიშვნელოვანეს პარტნიორებს წარმოადგენენ.

საგანმანათლებლო საქმიანობა ეროვნული მუზეუმის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩვენი პროგრამები იქმნება ყველა ასაკისა და ინტერესის მქონე ადამიანებისთვის. ჩვენს ჟურნალში რამდენიმე წარმატებულ საგანმანათლებლო პროექტსაც შეგიძლიათ გაეცნოთ.

დაბოლოს, ეს ნომერი წარსულისა და თანამედროვეობის სინთეზის წარმოჩენის ჩვენეული მცდელობაა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი

მთავარი რედაქტორი: დავით ლორთქიფანიძე
სარედაქციო კოლეგია: ეკატერინე გამყრელიძე, ნათია ხულუზაური, მიხეილ წერეთელი, მერაბ მიქელაძე
დიზაინერი: თორნიკე ლორთქიფანიძე
ფოტოგრაფები: მირიან კილაძე, მალხაზ მაჭავარიანი, ფრედ ერნსტი, ზაზა მახარაძე, გურამ ბუმბიაშვილი
ყდა: მაცხოვრის იერუსალიმს შესვლა. XI საუკუნის დასაწყისი. ღვთისმშობლის ეკლესია. ხახული, ისტორიული ტაო, თურქეთი
ლ. გუდიაშვილის ასლი. 1917 წ. ტილო, ზეთი. 2.10 x 3.40 სმ. ფრესკის ასლის ფოტო გადაღებულია მირიან კილაძის მიერ

სტამბა: სეზანი, თბილისი, წერეთლის 140, ტელ.: 2 357002
ჟურნალი გამოიცა კომპანია JTI-ს მხარდაჭერით, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას

ISSN 2298-0318

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმში შეგიძლიათ ეწვიოთ სამეცნიერო კაფეს. ყოველი თვის ერთ-ერთ ოთხშაბათს მოწვეული მეცნიერი წაიკითხავს ლექციას, რომლის შემდეგ გაიმართება დისკუსია და მსმენელს საშუალება ექნება, უშუალო გარემოში დაუსვას კითხვები მოწვეულ სტუმარს.

ინფორმაცია ლექციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მუზეუმის ვებ-გვერდზე და სამეცნიერო კაფეს facebook-ის ოფიციალურ გვერდზე:

http://www.muzeum.ge
http://www.facebook.com/sciencecafe.georgiannationalmuseum

Live Streaming-ის საშუალებით შეგიძლიათ, ჩვენ ვებ-გვერდზე, სახლიდან გაუსვლელად „დაესწროთ“ სამეცნიერო კაფეში მიმდინარე ლექციებს და თვალი ადევნოთ მუზეუმში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებას.

მისამართი: საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ისტორიის მუზეუმი. რუსთაველის გამზირი 3, თბილისი.

საქართველოს ევროპული მისწრაფებები: მომავალი დაფუძნებული მდიდარ წარსულზე

დავით ლორთქიფანიძე

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ სიტყვა, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, პროფ. დავით ლორთქიფანიძემ წარმოთქვა ევროპის საბჭოში ევროპული იდენტობის შესახებ გამართულ მეხუთე საერთაშორისო განხილვაზე 2013 წლის 10 ოქტომბერს.

Identობის ძიება ადამიანთა საზოგადოების ევოლუციური განვითარების ერთ-ერთი ნაწილია. ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას – გეოგრაფიული, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური, ანთროპოლოგიური, ტექნოლოგიური და სხვა. თვით ევროპის განსაზღვრებაც საკმაოდ პირობითია – ფიზიკური გეოგრაფიის თვალსაზრისით ევროპა და აზია ერთი კონტინენტის – ევრაზიის – ნაწილებია. მე არ ვაპირებ იმის განხილვას, თუ როგორ ფორმირდება იდენტობა და არც ეროვნული ან ევროპული იდენტობის ჩემეული განსაზღვრების შემოთავაზება მინდა. ევროპა დიდი ოჯახია, რომელშიც ერთიანდებიან საერთო ღირებულებებისა და ინტერესების მქონე ქვეყნები. მიუხედავად ევროკავშირის ეფექტურობის შესახებ გამოთქმული ნეგატიური ან კრიტიკული მოსაზრებებისა, მე მჯერა ასეთი ტიპის – ღირებულებებზე დაფუძნებული – კავშირებისა. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ტრანსდისციპლინარული, საერთოევროპული ქსელის შექმნა სხვადასხვა დონეზე. ეს გაერთიანებები, ადაპტირებული დღევანდელ რეალობასთან, შეიძლება გახდეს საფუძველი ახალი და პროგრესული ევროპული ღირებულებების გასავრცელებლად.

საქართველოს და კავკასიის მთელი რეგიონის მრავალსაუკუნოვან ისტორიას საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლია ამ პროცესში. ისტორიის შესწავლა საკმაოდ ძლიერი იარაღია და მისი

გამოყენება შესაძლებელია როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური მხრიდან. ვფიქრობ, რომ წარსულის კვლევა ჩვენი გაერთიანების საფუძველი შეიძლება გახდეს და არა დაყოფისა. ჩვენი მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მხოლოდ არქივებში კი არ უნდა ინახებოდეს, არამედ უნდა დაგვეხმაროს საერთო მომავლის ახლებური ხედვის ჩამოყალიბებაში. საქართველოს ევროპისკენ მისწრაფება არ არის ახალი ამბავი. ჩვენ ევროპის ნაწილი ვიყავით ამ ცნების ფართო გაგებით პრეისტორიიდან მოყოლებული დღემდე. საქართველოს ხანგრძლივი და მშფოთვარე ისტორია აქვს, რომლის კულტურაზე სასიკეთოდ აისახა მისი მრავალფეროვანი მოსახლეობა და მეზობელი ქვეყნების ტრადიციები.

საქართველოს მდიდარმა ბუნებრივმა რესურსებმა ხელი შეუწყო ამ ტერიტორიაზე ადამიანის დასახლებას ათასწლეულების განმავლობაში.

კავკასიის ტერიტორიაზე კაცობრიობის ისტორიისთვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე რამდენიმე არქეოლოგიური ძეგლი აღმოჩნდა და ჩვენი რეგიონი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამან ჩვენ მეცნიერებს საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის საშუალება მისცა, რის შედეგადაც ისინი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების ღირსეული წევრები გახდნენ. მე მჯერა, რომ ხელოვნება და მეცნიერება ის მიმართულებებია, რომელთა საშუალებითაც ხდება ნამდვილი ღირებულებების გავრცელება და, ამასთანავე, ისინი დიპლომატიის მნიშვნელოვანი იარაღია.

არქეოლოგიური აღმოჩენების ნაციონალისტური მიზნებისთვის გამოყენებაში ახალი არაფერია და ბევრი ქვეყანა ამტკიცებს, რომ არის „პირველი“, „აკვანი“ ან „უნიკალური კულტურის მატარებელი“. ეს ხანდახან გარკვეული შეჯიბრის ფორმასაც იღებს – იწყება კონკურენცია, რათა ხაზი გაესვას ქვეყნის მნიშვნელოვნებას. ამის კარგი მაგალითია „პირველი ევროპელების“ ამბავი. ბევრი ქვეყანა ამტკიცებდა, რომ ეს ტიტული ეკუთვნის მას შემდეგ, რაც იქ „პირველი“ ჰომინინის – ადამიანის ბიოლოგიური წინაპრის ნაშთი აღმოჩნდა. XX საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი ქვედა ყბა მაუერში (გერმანია), ჰაიდელბერგთან ახლოს, ევროპაში ადამიანის უძველეს ნაშთად იყო მიჩნეული 1970-იან წლებამდე, როდესაც საფრანგეთის სოფელ ტოტეველში გაკეთებული აღმოჩენის საფუძველზე პირველი ევროპელის ასაკად 450 000 წელი განისაზღვრა. ტურისტული ნიშნები დღესაც გვამცნობს ტოტეველში, რომ „აქ დაიბადა პირველი ევროპელი“. 1990-იანი წლების დასაწყისში გაკეთებული აღმოჩენები ჩეპრანოში (იტალია) და ატაპუერკაში (ესპანეთი) 800 000 წლით დათარიღდა და „პირველ ევროპელთა“ ტიტულიც მათ ხვდათ წილად.

ვფიქრობ, ჩვენი მიზანი კონკურსების მოწყობის ნაცვლად ყველასთვის მომგებიანი გარემოს შექმნა უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველო იქცა „პირველი ევროპელების“ სამშობლოდ, მეტისმეტად გულუბრყვილო იქნება 1.8 მილიონი წლის წინ მცხოვრები არსებების „ევროპელებად“ განხილვა! დმანისის აღმოჩენები ნამდვილად უდიდესი მნიშვნელობისაა მეცნიერებისათვის და ჩვენი მიდგომა იყო, რომ განგვეზოგადებინა ადამიანის მიგრაციის შესახებ ცოდნა და არა გვემტკიცებინა, რომ ვართ „პირველები“. თუმცა, ჟურნალისტების ფანტაზიას შეჯიბრების ახალმა ტალღამ შეუწყო ხელი – დმანისის ამბავი გაშუქდა მთელი მსოფლიოს საერთაშორისო მედიასაშუალებებით, მათ შორის ისეთი ჟურნალების ყდებზე, როგორებიცაა: „Science Magazine“, „National Geographic“, „New York Times“ და მრავალი სხვა.

** კავკასიამ თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს სამყაროში, რომელშიც არ იქნება კონფლიქტი. ის შეიძლება გახდეს გაერთიანების ადგილი, სადაც სხვადასხვა თაობის ადამიანები ერთიან ღირებულებებს ქმნიან.**

დმანისი საქართველოს დედაქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით, 85 კილომეტრში მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ ძველ აბრეშუმის გზაზე. იგი მდიდარია შუა საუკუნეებისა და ბრინჯაოს ხანის არტეფაქტებით, მაგრამ მსოფლიო სამეცნიერო რუკაზე ის პრეისტორიული ხანის აღმოჩენების წყალობით მოხვდა. ადრეული Homo-ს დმანისში აღმოჩენილმა 1.8 მილიონი წლის ნაშთებმა კავკასია მსოფლიო მეცნიერების ყურადღების ცენტრში დააყენა როგორც სრულილად ახალი რეგიონი ადრეული Homo-ს ევოლუციის შესასწავლად.

საქართველოში დმანისის პროექტი გადამწყვეტ როლს თამაშობს პალეოანთროპოლოგიისა და, ზოგადად, მეცნიერების განვითარებაში მჭიდრო კავშირების დამყარებით საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებთან და ქართულ მეცნიერებაში ახალი მეთოდებისა და ტექნოლოგიების შემოტანით. პროექტებმა დააკავშირა ერთმანეთთან საერთაშორისო სამეცნიერო ინტერესები, რის შედეგადაც დიდი, აქტიური საერთაშორისო ჯგუფი შეიქმნა. ჩვენ დავაარსეთ საველე სკოლა დმანისში, სადაც ყოველ წელს ათეულობით სტუდენტი შეერთებული შტატებიდან და ევროპიდან ჩართულია ტრენინგებში და საუნივერსიტეტო კრედიტებს იღებს. მთელი მსოფლიოდან ჩამოსული სტუდენტების მასპინძლობას შეუძლია საგრძნობლად შეამციროს ენობრივი ბარიერი, გააძლიეროს სამეცნიერო გაცვლა-გამოცვლა და მოგვცეს მრავალი საშუალება ახალი კოლეგებისა და მეგობრების შესაძენად. ამით თანდათან იქმნება მომავალ მეცნიერთა ფართო ქსელი. დღეს დმანისის საველე მუზეუმი იმის იშვიათი მაგალითია, თუ როგორ შეუძლიათ მეცნიერებს ერთდროულად გაამარტივონ კვლევა, რომელიც გათხრებზე მიმდინარეობს და ეს გათხრები და მისი კვლევის შედეგები მისაწვდომი გახადონ ფართო აუდიტორიისთვის.

მეორე საკითხი, რომელიც დავის საგანი გახდა რამდენიმე ქვეყანას შორის, იყო „რომელი ქვეყანაა „ღვინის სამ-

შობლო“? საქართველო ისევ ამ ქვეყნებს შორისაა, რადგან ის ამტკიცებს, რომ აქ მოიპოვება ვაზის კულტურის არსებობის უადრესი კვალი. კავკასიის ტერიტორია ახლო აღმოსავლეთის ზონაში მდებარეობს, ერთ-ერთში იმ შვიდ ზონათაგან, სადაც საკვები მცენარეების „წარმოშობის ცენტრია“, სადაც მეცნიერების ვარაუდით სოფლის მეურნეობისა და მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურების კულტივაცია უნდა მომხდარიყო. კულტივირებული მცენარეების მრავალფეროვნებამ და ფორმებმა, რომლებიც კავკასიიდან მომდინარეობს, გვიჩვენა, რომ ეს არეალი საკვები მცენარეების სახეობების კულტივაციისა და გამრავლების (დივერსიფიკაციის) უძველესი ცენტრი იყო.

შეჯიბრებიდან, ვინ არის „ღვინის პირველი მწარმოებელი“ ჩვენ გადავედით ღვინისა და სხვა საკვების ისტორიის მულტიდისციპლინარულ კვლევაზე. სოფლის მეურნეობის დასაწყისი გარდატეხის ეპოქაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მეცნიერებს მაღალი დონის საერთაშორისო ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის კიდევ ერთ შესაძლებლობას აძლევს. ეს კარგი საშუალებაა დმანისის მსგავსი მოდელის შესაქმნელად, სადაც ერთადაა თავმოყრილი სხვადასხვა აკადემიური დაწესებულება, რომელიც საზოგადოების განათლებას ემსახურება.

უმრავლესობისთვის ნაცნობია მითი ბერძენი არგონავტების შესახებ, მაგრამ ყველამ არ იცის მისი საქართველოსთან ისტორიული კავშირის შესახებ იასონისა და ოქროს საწმისის მითიდან. ძველი ბერძენი ავტორების მიერ მოთხრობილი ამბის თანახმად, იასონმა და არგონავტებმა იმოგზაურეს კოლხეთში ოქროს საწმისის საძებნელად, რომელსაც დრაკონი იცავდა. ვანში, დასავლეთ საქართველოში გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები ამ ქვეყნის ისტორიას იასონისა და ოქროს საწმისის მითს უკავშირებს. დღევანდელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური აღმოჩენების შედეგად გამოვლენილი მაღალგანვითარებული კულტურა ცხადყოფს, რომ კოლხეთის მითიური ქვეყანა სწორედ ამ რეგიონში მდებარეობდა. აქ აღმოჩენილი არტეფაქტები ადასტურებს, რომ კოლხეთი ოქროთი მდიდარი რეალური ქვეყანა იყო. ხელოვნების ეს მაღალგანვითარებული ნიმუშები ადასტურებს ასევე, რომ საქართველოს კულტურა დასავლეთის ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილია, ხოლო კოლხეთის სამეფო საქართველოს კულტურული იდენტობის მთავარი საყრდენია. მეცნიერების უმრავლესობა კლასიკურ ბერძნულ კულტურას ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის ბაზისად განიხილავს. არქეოლოგიური აღმოჩენები ცხადყოფს, რომ წინაქრისტიანულმა კულტურულმა ტრადიციებმა ხელი შეუწყო საქართველოში განვითარებული ცივილიზაციის შექმნას.

ბიზანტიის იმპერიის გაძლიერებასთან ერთად ქვეყანამ მჭიდრო კავშირი დაამყარა ევროპულ კულტურასთან. საქართველოს გაქრისტიანებისა და ამასთან დაკავშირებით საკუთარი დამწერლობის შექმნის შედეგად IV საუკუნეში ქვეყანამ შეძლო ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ბიზანტიურმა კულტურულმა ტრადიციამ დაიწყო ჩამოყალიბება ამ სიმბოლური კულტურის აღმოსავლურ ქრისტიანობასთან შერწყმის შედეგად, რომელმაც მრავალი ქვეყანა მოიცვა საქართველოს ჩათვლით. ელინისტური კულტურული ტენდენციების საფუძველზე ახალი კულტურული ცენტრები შეიქმნა აღმოსავლური ქრისტიანობის წიაღში საკუთარი დამწერლობებით და კულტურული ტრადიციებით, რომლებიც აღმოსავლურ-დასავლური ცივილიზაციების გავლენას განიცდიდა. ამაში მდგომარეობს ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის უნიკალურობა, მისი მიმზიდველობა ორივე სამყაროსათვის, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური.

გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით საქართველო დიდი ხნის მანძილზე იყო მრავალი ძლიერი კულტურის ბუნებრივი გზაჯვარედინი. ამის მიუხედავად ქვეყანამ შეძლო, შეენარჩუნებინა თავისი კულტურული იდენტობა უდრეკი მისწრაფებით დასავლური სამყაროსაკენ. ახლა, როდესაც

საქართველო ისევ იმკვიდრებს თავს მსოფლიო რუკაზე, ჩვენი ღრმა რწმენით, ევროპის ქვეყნები ჩვენი პარტნიორები იქნებიან დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი მიზანია საერთო ღირებულებების ჩამოყალიბება ჩვენი უნიკალური კულტურული იდენტობის შენარჩუნებასთან ერთად, მრავალფეროვნებისა და ტოლერანტულობის ხელშეწყობა სხვა კულტურებთან ხიდების გადებისას.

კავკასიამ თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს სამყაროში, რომელშიც არ იქნება კონფლიქტი. ის შეიძლება გახდეს გაერთიანების ადგილი, სადაც სხვადასხვა თაობის ადამიანები ერთიან ღირებულებებს ქმნიან. დღეს არქეოლოგია კოლონიალური მეცნიერებიდან, რომელსაც ის უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე წარმოადგენდა, განვითარდა მეცნიერებად, რომელიც მოუწოდებს ქვეყნებს, დაიცვან და შეისწავლონ თავიანთი კულტურული მემკვიდრეობა – სადაც სხვადასხვა ხალხებს შეუძლიათ განიხილონ და დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ თავიანთი ეროვნული მემკვიდრეობისა და იდენტობის ხედვა და მოძებნონ გზები ამ მემკვიდრეობის მსოფლიო ისტორიასთან დაკავშირებისა.

რაში გვჭირდება ევროგაერთიანება, ან რომელიმე სხვა გაერთიანება? ის უეჭველად ხელს უწყობს მსოფლიოს გაუმჯობესებას! ეს გაერთიანებები ხელს უწყობს ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვას კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასთან ერთად... ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ჩვენ ამ ღირებულებებს ადრეულ ასაკში ჩამოვაყალიბებთ – ამგვარად, მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი პროფესია და ჩვენი დაწესებულება აქტიურად უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში. ■

„კოლხური ხუფიდან“

შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიამდე

მთავარი თემა > ერმილე მაღრაძე

2013 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში UNESCO-ს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ – ტიხროვანი მინანქარი“, რომელიც მიზნად ისახავდა შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის დაკარგული ტექნოლოგიის აღდგენას სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა და მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული ლაბორატორიული ცდებისა და დაკვირვებების საფუძველზე.

ტიხრული მინანქარი, მეტალის შემკობის ეს ულამაზესი სახეობა როგორც დამოუკიდებელი ფენომენი ახალი წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებიდან იღებს დასაბამს და არსებობს XV საუკუნის შუა ხანებამდე. იგი გავრცელებული იყო ბიზანტიასა და საქართველოში. X-XI საუკუნეებიდან იგი კიევის რუსეთშიც შედის. XV საუკუნის შემდეგ ტიხროვანი მინანქრის დამზადების ტექნოლოგია იკარგება და ამ ტექნიკით შესრულებული ნივთები აღარ გვხვდება.

ჩვენამდე მოღწეული მინანქრის ძეგლების კვლევის საფუძველზე იკვეთება უძველესი სახელოსნოების ტექნიკურ საშუალებათა მთელი არსენალი, რომელსაც შუა საუკუნეების ოსტატები ფერადი მინის მიღებისა თუ მოსამინანქრებელი ძვირფასი ლითონის დამუშავების თვალსაზრისით ფლობდნენ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად საქართველოში აღმოჩენილი მინანქრის ნიმუშები ადასტურებს, რომ ფერად მინას ამ არეალში უძველესი დროდან – ძვ.წ. VI-V საუკუნეებიდან აწარმოებდნენ. ქართველმა ოსტატებმა იცოდნენ როგორც უფერო, ისე ფერადი მინის დამზადება. სწორედ მინის წარმოების მაღალმა დონემ განაპირობა აქ ტიხროვანი მინანქრის სახელოსნოების ჩამოყალიბება.

საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგების მიერ მოპოვებული ტიხროვანი მინანქრის ადრეულ, ახ.წ. II-IV საუკუნეების ნიმუშებს (ასპავრუკ პიტიახშის ხანჯლის ქარქაშის შესამკობელი მე-

დალიონი, არაგვისპირის პექტორალის ცენტრალური ნაწილის მინანქროვანი ვარდულის გამოსახულება), რომლებზეც ტიხრებს შორის ჩამდნარი ფერადი მინა დასტურდება, ჯერ კიდევ არ გააჩნიათ ნამდვილი ტიხროვანი მინანქრისთვის დამახასიათებელი სრულყოფილება, მაგრამ ისინი ცხად მაგალითებს წარმოადგენს იმისა, რომ ამ პერიოდიდან აღნიშნულ რეგიონში არსებული ძვირფასი მეტალის დამამუშავებელი სახელოსნოები ფერადი მინის მასას უკვე იყენებენ ძვირფასი მეტალის შესამკობად და მას ტიხრებს შორის ალღობენ მანამდე გავრცელებული ინკრუსტაციის მეთოდის ნაცვლად.

რაც შეეხება სრულყოფილი სახის მინანქრის ძეგლებს, ისინი VIII საუკუნიდან გვხვდება. ტექნიკური თვალსაზრისით ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიის ქვაკუთხედი ოქროს უთხელეს საფუძველზე ვერტიკალურად მირჩილული ტიხარია. ტიხრის ძირითადი ფუნქცია, კონსტრუქციულთან ერთად, ერთი ფერის მინანქრის მეორისგან გამოცალკევება და ნამუშევრისთვის გრაფიკული გამომსახველობის მინიჭებაა. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ტიხროვანი მინანქრის ტექნოლოგიის გაჩენამდე ფართოდ იყო გავრცელებული ინკრუსტაციის მეთოდი.

ჩვენამდე მოღწეული ინკრუსტირებული ნივთების კვლევის საფუძველზე ირკვევა, რომ ძველი მსოფლიოს ხალხთა საიუველირო სახელოსნოები ინკრუსტაციისთვის ბუნებრივ, ძვირფას და ნახევრად ძვირფას მინერალებს იყენებდნენ. ეს მინერალები ბიბლიურ ტექსტებშიცაა მოხსენიებული 12 ბიბლიური ქვის სახელით. შემდგომში კი თანდათან ბუნებრივ მინერალთა გვერდით გვხვდება ადამიანის მიერ ამ მინერალთა ფერებში დამზადებული ხელოვნური მინის ფირფიტები. შუა საუკუნეების ქართულ-ბიზანტიური მინანქრის ძეგლებზე დასტურდება თორმეტივე ბიბლიური ქვის მიხედვით შემუშავებული ფერთა პალიტრა.

თორმეტი ფერის შესახებ წმინდა მოციქული იოანეც წერდა თავის გამოცხადებაში (აპოკალიფსისში). მათ შესახებ ცოდნა ემყარებოდა უძველეს რელიგიურ ცენტრებში არსებულ თეოლოგიურ სიბრძნეს, რომელიც შემდეგ გაგრძელდა ქრისტიანულ ტრადიციაშიც. სწორედ ამ ცოდნის საფუძველზე პატიოსანი ქვებით იმკობოდა საკრალური დანიშნულების

ხანჯლის ქარქაში. არმაზისხევი
ახ.წ. II-III სს.

წმინდა სვიმეონ მოციქულის მედალიონი ხახულის კარედიდან
ახ.წ. XII ს. *ორიგინალი*

წმინდა სვიმეონ მოციქულის მედალიონი ხახულის კარედიდან
ახ.წ. XII ს. *ასლი*

ნივთები, ჯვრები, ხატები და იქმნებოდა მინანქროვანი ფირფიტები. მინანქარს ამზადებდნენ ეზოთერული ცოდნის მიხედვით, მაღალი სიწმინდის მთის ბროლის კრისტალებით – „ჭიქითა ბრწყინვალითა“ – პატიოსან ქვათა მსგავსად.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო კვლევა და ლაბორატორიული ცდები ჩვენამდე მოღწეულ ორ მეტად მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლზე დაყრდნობით. ესენია შუა საუკუნეებში, სავარაუდოდ XI-XII საუკუნეებში მოღვაწე ბენედიქტელი ბერის, თეოფილუს პრესვიტერის ტრაქტატი „სხვადახსვა ხელოვნებებზე“ და XVIII საუკუნის პოლიტიკური მოღვაწის, ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ტრაქტატი „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“.

თეოფილუსის ტრაქტატისადმი ინტერესი გაიზარდა მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნეში აღნიშნული ხელნაწერის ერთ-ერთ ვარიანტს გერმანელმა პოეტმა, სწავლულმა და განმანათლებელმა, გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგმა ვოლფენბიუტელში ბრიუსვიკის ჰერცოგის ბიბლიოთეკაში მიაგნო 1770 წელს და ნაშრომიც გამოაქვეყნა ამ ტრაქტატის იმ თავის შესახებ, რომელშიც თეოფილუსი მხატვრობაში სელის თესლის ზეთის გამოყენებაზე ლაპარაკობს.

ამის შემდეგ აღნიშნული ხელნაწერის რამდენიმე ეგზემპლარი ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებშიც აღმოჩნდა და გამოიცა სათანადო კომენტარებით. ამ დროიდან ინტერესი აღნიშნული ხელნაწერის მიმართ არ განელებულა და მრავალი მეცნიერი იკვლევდა მასში აღწერილ სხვადასხვა ტექნოლოგიურ პროცესს.

„თეოფილუსი, უბრალო მღვდელი, უფლის მსახურთა მსახური, უღირსი ატარებდეს ბერმონაზვნის სახელსა და პროფესიას, მივმართავ ყველას, ვისაც სურს ხელების სასარგებლო საქმიანობით და ახალი რამეების სასიამოვნო გააზრებით გონების მცონარებისა და სულის ხეტიალის თავიდან აცილება და დამორჩილება: ღვთაებრივი საზღაურის დამსახურება“ – ასე იწყებს თეოფილუსი ტრაქტატს და, ჭეშმარიტი ქრისტიანული მრწამსით აღჭურვილი, მოძღვრის პოზიციიდან უანგაროდ აღწერს სხვადასხვა ხელობათა ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც ადრე გადაეცემოდა ოსტატიდან შეგირდს როგორც ცოცხალი, პრაქტიკული, სახელოსნოებში არსებული მკაცრად გასაიდუმლოებული ცოდნა.

თეოფილუს პრესვიტერის მიერ აღწერილი ძვირფასი მეტალების – ოქროსა და ვერცხლის დამუშავების პროცესები და ამ საქმისათვის საჭირო სარჩილი ნივთიერება ფასდაუდებელი განძია ამ საქმით დაინტერესებულ მკვლევართათვის. თუმცა, როგორც ასეთი ტიპის ისტორიულ დოკუმენტებს ახასიათებს, ამ ხელნაწერში აღწერილი ზოგიერთი ტექნოლოგიური პროცესი შორს არის იმ სრულყოფილებისაგან, როდესაც მათ მიხედვით ჩატარებულ ყოველ ექსპერიმენტს დადებითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ასეთი ამოცანების გადაწყვეტის დროს მკვლევარს ერთდროულად უწევს არსებული ისტორიული დოკუმენტის შესწავლა და ემპირიულად უამრავი ცდის ჩატარება, რათა ამოხსნას საუკუნეთა მანძილზე მივიწყებული და დაკარგული ტექნოლოგიები.

აღნიშნულ ხელნაწერში ტიხროვანი მინანქრის დამზადებას მთელი თავი ეძღვნება. თეოფილუსი ამ პროცესის აღწერისას ძირითად ყურადღებას მინანქრისათვის ოქროს საფუძვლის მომზადებაზე ამახვილებს და ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან ცნობებსაც გვაწვდის, ხოლო ფერადი საიუველირო მინის მოდუღებაზე ძალზე ზედაპირულად ლაპარაკობს. როგორც ჩანს, ის სრულყოფილად ვერ ფლობს ამ საქმისთვის საჭირო ცოდნას და გვევლინება როგორც ტექნიკური ოპერაციების დამკვირვებელი და არა პრაქტიკოსი ოსტატი. ეს ფაქტი კარგად ჩანს მისი ხელნაწერის XII თავში „სხვადასხვა ფერის მინის შესახებ''. აქ იგი ამბობს, რომ „ძველ წარმართულ შენობებზე მოზაიკური ნამუშევრების სხვადასხვა ხარისხის მინას პოულობენ: თეთრს, შავს, მწვანეს, ზაფრანისფერს, საფირონისფერს, წითელს, მეწამულს, გაუმჭვირვალეს და მკვრივს, როგორც მარმარილო; ისინი მოიპოვება ოთხკუთხა ქვების მინამსგავსი სახით, საიდანაც აკეთებენ ძვირფას ქვათა იმი-

ტაციებს... ასევე ამ საქმეში გამოცდილი ფრანკები პოულობენ სხვადასხვა ჭურჭელს ამავე ფერებში. ისინი ალღობენ თავიანთ ღუმელებში საფირონის მსგავს მინას, რომელსაც უმატებენ ცოტა გამჭვირვალე და თეთრ მინას და ამზადებენ ძვირფას საფირონისფერ სხმულებს ფანჯრებისთვის. ასეთივე სახით ისინი იღებენ მეწამულ და მწვანე მინას." ამ ციტატიდან კარგად ჩანს, რომ იმ გეოპოლიტიკურ არეალში, სადაც თეოფილუსი ცხოვრობდა, მინის მიღებისა და ღებვის ზედმიწევნით მცოდნე ხელოსნები და სახელოსნოები ამ დროს ჯერ არ არსებობდა და თვით თეოფილუსიც ვერ

ფლობდა მყარ ცოდნას ფერადი საიუველირო მინის მოდუღების შესახებ. როგორც ჩანს, ეს დარგი აქ მხოლოდ მისი მოღვაწეობის პერიოდში იწყებს განვითარებას.

თეოფილუსისგან განსხვავებით, საიუველირო მინის მოდუღების შესახებ ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ვახტანგ VI და მის მიერ აღწერილი ფერადი მინის მიღების პროცესი ავსებს ზემოთ აღნიშნულ ხარვეზებს შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის დაკარგული ტექნოლოგიის კვლევის დროს. ვახტანგ VI-ის ტრაქტატში საგანგებოდ ფერადი მინის მოდუღებისადმი მიძღვნილ პარაგრაფებში იგი მკაფიოდ და დამაჯერებლად აღწერს ამ საქმისათვის საჭირო ნედლეულის დამუშავების და მისგან „ფერად-ფერადი ჭიქების" მოდუღების პროცესს. აქვე აღწერს და ხატავს ვახტანგ VI ფერადი მინის მოდუღებისთვის საჭირო თვითშებერვის პრინციპზე მომუშავე ღუმელს, რომელიც მაღალ ტემპერატურას იძლევა მინის მისაღებად. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვახტანგ მეექვსეც პატიოსან ქვათა სახელებს უწოდებს სხვადასხვა ფერის მინას. მაგალითად, „წითელი იაგუნდისფრად რომ ჭიქის გაკეთება გინდოდეს", „გაკეთება ხრიზოლითისა", „ფირუზის მსგავსის თუ ცისფერი", „ლურჯი იაგუნდისფერის გაკეთება", „ზურმუხტის მსგავსის გაკეთება" და სხვა.

როგორც ზემოთ ითქვა, ეს უძველესი ცოდნაა და ტრაქტატის აღნიშნულ პარაგრაფებში კარგად ჩანს, რომ ეს საკრალური ტრადიცია ვახტანგ VI-ის ეპოქაშიც გრძელდება. მას მრავალგვარი კაზმი (მინის წარმომქნელი მრავალი კომპონენტის ნარევი) აქვს მოყვანილი სხვადასხვა ფერის მინის მოსადუღებლად, ოღონდ ამ შემთხვევაში აღნიშნული ფერად-ფერადი „ჭიქები" უკვე აღარ გამოიყენება ტიხროვანი მინანქრისათვის, არამედ იგი მათ ბიბლიურ ქვათა იმიტაციების შესაქმნელად იყენებს.

პროექტი განხორციელდა ქ. გორში არსებულ ტიხროვანი მინანქრის ლაბორატორიაში, სადაც ზემოაღნიშნულ ორ ისტორიულ დოკუმენტში აღწერილი ცნობების მიხედვით მოეწყო და აღიჭურვა სახელოსნო. დამზადდა თეოფილუს პრესვიტერისა და ვახტანგ VI-ის მიერ აღწერილი მეტალისა და მინის დასამუშავებელი ყველა ხელსაწყო. ჩატარდა მრავალი ცდა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით დადასტურდა, რომ როგორც ვახტანგ მეექვსის, ისე თეოფილუსის მიერ აღწერილი ტექნიკური საშუალებებით მართლაც შესაძლებელია მინანქრის წარმოებისთვის საჭირო ტექნიკური პროცესების განხორციელება.

კვლევისა და ექსპერიმენტების პარალელურად სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების დროს ვსწავლობდით არქეოლოგიურ მასალასაც, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი სამეცნიერო-ლაბორატორიულ საქმიანობას. აღსანიშნავია ერთი მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი — ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების დროს 1966 წელს აღმოჩენილი რკინის დაფანჯრული, კონუსის ფორმის ხუფი და ლანგარი. ეს ნივთი გამოქვეყნებულ სამეცნიერო მასალაში არქეოლოგების მიერ სასაკმევლედ იქნა მიჩნეული.

ჩემი კვლევისა და ექსპერიმენტების დროს ამ ნივთს პარალელი გამოეძებნა თეოფილუსის მოსამინანქრებელი ხუფის სახით. თეოფილუს პრესვიტერი ტრაქტატის იმ თავში, სადაც მომინანქრებული ოქროს ფირფიტის გამოწვაზე ლაპარაკობს, აღგვიწერს რკინის ხუფს ლანგრით, რომლის საშუალებით ოსტატმა ეს ოპერაცია უნდა ჩაატაროს. „შეიტანე ფირფიტა (იგულისხმება მომინანქრებული გამოსაწვავი ფირფიტა) ცეცხლში თხელი რკინის

ლანგრით, რომელსაც მოკლე სახელური უნდა ჰქონდეს, დააფარე მას მეორე რკინის ნაწილი, იგი უნდა იყოს ჩაზნექილი პატარა თასის მსგავსად და მთლიანად უნდა იყოს დახვრეტილი...". ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თეოფილუსი, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში აღწერს შუა საუკუნეების საოქრომჭედლო სახელოსნოებში გავრცელებულ ერთ-ერთი ტიპის მუფელის კამერას (თიხის ან რკინის ყუთი, კოლოფი, რომლითაც ნაკეთობა ღუმელში გამოსაწვავად იდგმება).

აღწერილი მოსამინანქრებელი ხუფის რეკონსტრუქციისა და მისი საშუალებით ჩატარებული ცდების შედეგად შესაძლებელი გახდა თეოფილუსის ხუფთან ფუნქციურად, გარეგნულად და მასალით ახლოს მდგომი, ვანში აღმოჩენილი კოლხური რკინის ხუფის ფუნქციის განსაზღვრა. დამზადდა კოლხური ხუფის ასლი და მისი საშუალებით ჩატარდა მრავალი ექსპერიმენტი. მიღებული შედეგებით დადგინდა, რომ „კოლხური ხუფი" საოქრომჭედლო ხელსაწყოა – რკინისაგან დამზადებული მუფელის კამერა. თუ მას ანთებული ნაკვერჩხლების გროვის ქვეშ ისე მოვათავსებთ, როგორც ამას თეოფილუსი აღწერს, კამერის შიგა სივრცეში მაღალი ტემპერატურა მიიღება, რომლითაც კარგად დახელოვნებული ოსტატი ატარებს სხვადასხვა საიუველირო ოპერაციას მინის, ოქროს ან ვერცხლის დამუშავებისას.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ხელსაწყომ, რომლითაც ძველი კოლხები თეოფილუსამდე 16 საუკუნით ადრე, ადრეანტიკურ პერიოდში ძვირფასი მეტალის დამუშავების დროს სარჩილ ოპერაციებს ატარებდნენ, ჩვენამდე მოაღწია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ასეთი კამერები იმ პერიოდის კოლხურ საოქრომჭედლო სახელოსნოებში მრავალნაირი ზომისა და ფორმის ექნებოდათ სხვადასხვა საიუველირო ნაკეთობისა და საოქრომჭედლო ოპერაციებისათვის, მაგრამ ვინაიდან აღნიშნულ ხელსაწყოებს მაღალი ტემპერატურისთვის უნდა გაეძლო, რასაც ფერადი მეტალით გაკეთებული ხელსაწყო ვერ შეძლებდა, ისინი რკინისაგან მზადდებოდა. ცნობილია, რომ რკინა ამ დროისთვის ძალიან ძვირფას მეტალად ითვლებოდა და მისგან დამზადებული ნაკეთობები ხშირ შემთხვევაში მეორად გადამუშავებას ექვემდებარებოდა, ან მიწაში მოხვედრის დროს ნადგურდებოდა ოქსიდირების პროცესის შედეგად.

„კოლხური ხუფი" მეტყველებს იმაზე, რომ კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეანტიკურ პერიოდში და შემდეგაც აუცილებლად უნდა არსებულიყო ადგილობრივი საოქრომჭედლო სახელოსნოები, რომლებიც ამ ტექნიკური საშუალებებით ამზადებდნენ მაღალმხატვრულ საიუველირო ნივთებს, მაგრამ თვით სახელოსნოთა კვალი აქამდე არ იყო გამოვლენილი. ამის შესახებ მართებული ვარაუდი აქვს გამოთქმული აკადემიკოს ო. ლორთქიფანიძეს: „შეიძლება თამამად ვივარაუდოთ, რომ ძველ ვანში არსებობდა სწორედ პროფესიონალ ხელოვანთა მძლავრი სკოლა, რომელიც ურთულესი ტექნიკური ხერხების გამოყენებით (კვერვა, ჭედვა, რჩილვა, გავარსი, ტვიფრვა) საუკუნეების მანძილზე ქმნიდა მხატვრული ოქრომჭედლობის უბრწყინვალეს ნიმუშებს". სწორედ ამ ვარაუდის დადასტურებაა პროექტის ფარგლებში ჩვენ მიერ წარმოებული ლაბორატორიული ექსპერიმენტების საშუალებით კოლხური ხუფის ფუნქციის განსაზღვრა.

პროექტის „დაკარგული ტექნოლოგიების კვალდაკვალ – ტიხროვანი მინანქარი" განხორციელებისას, იმის

დასადასტურებლად, რომ შუა საუკუნეების ტიხროვანი მინანქრის მივიწყებული ტექნოლოგიის ყველა ნიუანსი სრულყოფილად აღდგა, სამაგალითო ასლის დამზადება გადაწყდა. ამისათვის შეირჩა ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კარედის წმინდა სვიმეონ მოციქულის მედალიონი. ამ მედალიონის ასლისათვის სარჩილი ოპერაციები რეკონსტრუირებული კოლხური ხუფით და თეოფილუს პრესვიტერის აღწერილობის მიხედვით დამზადებული სარჩილი ნივთიერებით ჩატარდა. რჩილვის ხარისხი ძალიან მაღალი აღმოჩნდა. ყველა ტიხარი რამდენიმეეტაპიანი გამოწვით საიმედოდ და ხარისხიანად მიერჩილა საფუძველს. თეოფილუსის მიერ აღწერილი სარჩილი ნივთიერება უეჭველად ის უნდა იყოს, რომელსაც ადრეანტიკურ და ელინისტურ სამყაროში იყენებდნენ ცვარათი (გავარსით) შემკული ან საინკრუსტაციო ტიხრებიანი ნივთების რჩილვისას. ეს არის ეგრეთწოდებული რეაქციული სარჩილი, რომლის ხელოვნურად დამზადების ერთ-ერთი მეთოდი თეოფილუსს აქვს აღწერილი. ასეთი სარჩილი ბუნებაშიც მოიპოვება მინერალ ქრიზოკოლას სახით (ქრიზოკოლა ბერძნულად ოქროს წებოს, მაკავშირებელს ნიშნავს).

მიღებული შედეგიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კოლხურ ხუფს და მისი ფუნქციის განსაზღვრას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს ფაქტი გვაძლევს საშუალებას უკვე მატერიალურად გამოვლენილი საბუთის მეშვეობით ვილაპარაკოთ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე ტრადიციულად არსებულ საიუველირო სახელოსნოებზე, რომლებშიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული და გამოფენილი უნიკალური ნივთები მზადდებოდა. ჩვენ წინაშე იშლება სრული სურათი საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი საუკუნის მანძილზე უწყვეტად მოქმედი საიუველირო სახელოსნო ტრადიციებისა. ამ სახელოსნოების წიაღში შემდგომ პერიოდებში არის შექმნილი ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ტიხროვანი მინანქრის მრავალი შესანიშნავი ნიმუში როგორც მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო მონაპოვარი. ■

სამაჯური, მცხეთა, ახ.წ. IV ს.

რკინის ხუფი, ვანი
ძვ.წ. II საუკუნის მეორე ნახევარი

კვადრიფოლიუმი ჯვარცმის გამოსახულებით
ხახულის კარედი, ახ.წ. VIII ს.

წმინდა პეტრე
მარტვილის ღვთისმშობლის ხატი
ახ.წ. IX ს.

ღვთისმშობელი
ხახულის კარედი
ახ.წ. IX ს.

წმინდა თევდორე
ხახულის კარედი
ახ.წ. IX ს.

მარტვილის ვედრება, მარტვილის კარედის შუა ნაწილი
ახ.წ. VIII-IX სს.

პექტორალი, ვანი
ძვ.წ. IV საუკუნის დასაწყისი

ტიმ სევერინი

XX საუკუნის არგონავტი

ინტერვიუ > ნათია ხულუზაური

2014 წლის ივლისში საქართველოს ეწვია ცნობილი მოგზაური ტიმ სევერინი, რომელმაც 30 წლის წინ, XX საუკუნეში გაიმეორა არგონავტების მარშრუტი და 1984 წლის ზაფხულში ხომალდ „არგოთი“ მოადგა საქართველოს ნაპირებს. ტიმ სევერინის საქართველოში დაბრუნებას არაერთი ღონისძიება მიეძღვნა, მათ შორის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართა ღონისძიება „30 წელი ტიმ სევერინის ექსპერიმენტის „იასონის მოგზაურობის“ შემდეგ“.

ბატონო ტიმ, პირველ რიგში მადლობას გიხდით, რომ დაგვთანხმდით ინტერვიუზე. თქვენ თავგადასავლებით აღსავსე, ძალიან საინტერესო ბიოგრაფია გაქვთ, „ცხრა მთა და ცხრა ზღვა არაერთხელ გადაიარეთ” და ყოველთვის წარმატებით ბრუნდებოდით შინ. დღეს რა განცდა გეუფლებათ, როდესაც ამაზე ფიქრობთ?

დიდი მადლობა ასეთი სიტყვებისთვის. მგონია, რომ ბედმა გამიღიმა, რადგან შევძელი მრავალი ქვეყნის კულტურა შემესწავლა ზღვით მოგზაურობასთან, გემთმშენებლობასთან, მათი მეზღვაურების წარმატებებთან მიმართებაში. ყოველი ჩემი მოგზაურობის დროს ბედნიერება მქონდა, გამეცნო და გამეზიარებინა გამოცდილება იმ კონკრეტული კულტურის წარმომადგენლებისთვის, რაც ნამდვილად დიდი პრივილეგიაა.

მოგზაურობები, რომლებიც თქვენ მოაწყვეთ, ძირითადად ლეგენდებს ეფუძნება. როგორ ირჩევდით მათ – უბრალოდ იღებდით ისტორიას, რომელიც მოგწონდათ, თუ ატარებდით კვლევას და წინასწარვე იცოდით, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამა თუ იმ პროექტის განხორციელება?

მაგალითად, იასონისა და არგონავტების მითი ავირჩიე როგორც შესაძლებლობა, განმეხორციელებინა საზღვაო ექსპედიცია, შეიძლება ამას „არქეოლოგიური ექსპერიმენტიც“ ვუწოდოთ. ამასთანავე, ეს ჩემთვის განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად ბუნებრივი ნაბიჯი იყო: მე უკვე ვიმოგზაურე ტყავის გემით, რომლითაც მეზღვაურთა მფარველი წმინდა ბრენდანის გზა გავიმეორე და ყველაზე ცნობილი მეზღვაურის, სინდბადის გზა, რომელიც VI-VIII საუკუნეების არაბული საზღვაო გემის მიხედვით აგებული ხომალდით გავიარე. ამიტომ გადავწყვიტე, მეცადა, ისტორიაში არსებული ყველაზე ადრეული მოგზაურობა გამეცოცხლებინა, რომლის დროსაც ისაონმა და მისმა არგონავტებმა ურთულესი გზა გაიარეს ოქროს საწმისის ძიებაში. წინასწარმა კვლევამ აჩვენა, რომ ბევრი სირთულის გადალახვა მომიწევდა და, ამასთანავე, სულაც არ იქნებოდა ადვილი ისეთი უცნაური, 20-ნიჩბიანი გემის აგება და იმის დამტკიცება, რომ მას შეეძლო იმ დროში ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობისთვის გაეძლო.

ტიმ სევერინი, ილია ფერაძე, დავით ლორთქიფანიძე. დმანისი, 2014 წ.

თქვენი ეს მოგზაურობა განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის და ზოგადად ქართველი ხალხისთვის. გარდა ზემოთ ხსენებული მიზეზებისა, რომელთა გამოც აირჩიეთ ეს ამბავი, რას გვეტყოდით თვითონ მითის შესახებ?

იასონისა და არგონავტების მითი ჩემთვის იმდენად იყო განსაკუთრებული, რამ-

დენადაც ეს ანტიკურ ლიტერატურაში ცნობილი პირველი მოგზაურობის ისტორიაა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩვენთვის დღემდე ცნობილი პირველი შემთხვევაა, როდესაც გემს სახელი ეწოდა – არგო. გარდა ამისა, საკმაოდ ბევრი სავარძელში მოკალათებული მეცნიერი მას ისე უყურებდა, როგორც ნამდვილ ლეგენდას. მე კი ჩემი ბუნებიდან გამომდინარე, მიდრეკილი ვარ, კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენო ნებისმიერი აღიარებული ჭეშმარიტება.

რამდენი დრო დაგჭირდათ ამ ექსპედიციისთვის მოსამზადებლად და თუ ელოდით, რომ საქართველოში იხილავდით არქეოლოგიურ მასალას, ოქროს მოპოვების უძველეს მეთოდს და წყაროებს, რომლებიც არგონავტების მითს უმაგრებენ ზურგს?

იასონის მოგზაურობისთვის მოსამზადებლად დაახლოებით სამი წელი დაგვჭირდა. თავდაპირველად უნდა შემესწავლა ჩვენამდე მოღწეული უძველესი ტექსტები და მათზე არსებული ყველა კომენტარი, რომელსაც კი ვიპოვიდი იმ თეორიების ჩათვლით, რომლებიც ოქროს საწმისის რაობას და არსებობას შეეხებოდა. ვეძებდი ყველაფერს ქართული არქეოლოგიის და საქართველოს ნაპირებზე არსებული შესაძლო პორტების შესახებ. ასევე, ვიკვლევდი გვიან ბრინჯაოს ხანაში რეალურად არსებული გემის ტიპებს, ვამზადებდით ტექნიკური დიზაინის გეგმებს, ვითვლიდით გემის მასშტაბს, ვაგროვებდით მასალას, გემთმშენებლებს და ა.შ. მე ჩავედი სტამბულში და შევისწავლე მოგზაურობისთვის ყველაზე სახიფათო ადგილი – ბოსფორის სრუტე. კრიტიკულად განწყობილი მხარე ამბობდა, რომ შეუძლებელი იყო ამ დინების საწინააღმდეგოდ ცურვა. ამიტომ ბოსფორზე მეთევზეებს დაწვრილებით გამოვკითხე იქ არსებული დინებების შესახებ და ის, თუ რამდენად შესაძლებელი იყო მათი გვერდის ავლა.

შეგიძლიათ მოგვიყვეთ, რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც ბოლოს და ბოლოს კოლხეთის მიწას მიადექით 1985 წელს?

არგოს ქართულ წყლებში შესვლა და შემდეგ რიონში გადასვლა ქართველ მოხალისეებთან ერთად ერთი სიტყვით რომ ვთქვა, სიურეალიზმი იყო. მოგზაურობის დასაწყისში ნამდვილად არ ვიცოდი, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, საქართველოშიც არ ვიყავი ნამყოფი მანამდე და ამიტომ ყოველი წუთი გამაოგნებელი იყო ჩემთვის. ქართველების ენთუზიაზმი ცას სწვდებოდა. ისინი ყველანაირად გვეხმარებოდნენ და გვესალმებოდნენ თანამედროვე არგონავტებს. ჩვენთვის და, ვფიქრობ, ქართველებისთვისაც ეს უზარმაზარი ემოციების დღე იყო. ენერგიული დახვედრის ქარიშხალი შემიძლია

ტიმ სევერინი, ოთარ ლორთქიფანიძე, იური სენკევიჩი. ვანი, 1984 წ.

ილია ფერაძე, ტიმ სევერინი, ნუგზარ ფოფხაძე, ოთარ ლორთქიფანიძე. ვანი, 1984 წ.

ტიმ სევერინი, ოთარ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი. 1984 წ.

ტიმ სევერინი და „თანამედროვე არგონავტები“. ფოთი, 1984 წ.

ვუწოდო იმ დღეს. და არა მხოლოდ ჩემზე, არამედ ჩემი გუნდის ყველა წევრზე საქართველოში გატარებულმა დღეებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ახლა, როდესაც 30 წლის შემდეგ კვლავ ესტუმრეთ საქართველოს, შეხვდით ყოფილ „არგონავტებს“ და მეცნიერთა უმეტესობას, ბევრი რამ ალბათ შეცვლილი დაგხვდათ.

ერთი შეხედვით თანამედროვე საქართველო ძალიან განსხვავდება იმ ქვეყნისგან, რომელშიც წლების წინ ვიყავი, იმდენი ახალი შენობა, გზა და დაწესებულებაა გარშემო, ქუჩებში მანქანების ტევა აღარ არის და ქუჩების გასწვრივ რეკლამებია ჩამწკრივებული... თუმცა, როდესაც ისევ უახლოვდები ადამიანებს, ხვდები, რომ ისინი ისევ ისეთივე გულღია და მეგობრულები არიან, ყოველთვის ცდილობენ დაგეხმარონ, ეამაყებათ თავიანთი ისტორია და მზად არიან ცვლილებებისთვის, თუმცა თავიანთ ფესვებთან სიახლოვითაც კომფორტულად გრძნობენ თავს.

ვანის არქეოლოგიური ძეგლი და იქ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა, რომელიც არგონავტების მითს რეალობასთან აკავშირებს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნაწილია. ახლა ჩვენი მუზეუმი ტრანსფორმაციისა და განახლების პროცესშია და თანამედროვე ტიპის ინსტიტუციად ყალიბდება. რა იყო თქვენთვის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი იმ მუზეუმისგან, რომელიც 30 წლის წინათ ნახეთ და როგორ შეაფასებდით იმ ცვლილებებს, რომლებიც მუზეუმში მიმდინარეობს?

ეროვნული მუზეუმი არაჩვეულებრივი მაგალითია პროგრესული მსოფლმხედველობისა, რისკენაც მიმართულია დღევანდელი საქართველო. ადრე სტანდარტად მიჩნეული სტატიკური ტიპის გამოფენები დღეს აღარსად არის. მიდგომა: მკაცრი სწავლება, ძირითადად მხოლოდ მათთვის, ვისაც პროფესიული ინტერესი აქვს, ასევე გაქრა. ახლა მნიშვნელოვანია პრეზენტაციის ახალი მეთოდები: მსუბუქი და კაშკაშა, თანამედროვე მასალების გამოყენება და დამთვალიერებლის მოზიდვის ტექნიკის გამოყენება, რათა უკეთ მოხდეს არაჩვეულებრივი საგანძურის ჩვენება. ჩემთვის გასაოცარი და მოულოდნელი იყო ყველაფერი ამის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ხილვა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულმა მუზეუმმა საქართველოს უახლესი ისტორიაც არ დაივიწყა და არაჩვეულებრივი აქცენტებით, ინტერპრეტაციითა და დიზაინით წარმოადგინა იგი. საქართველოს ეროვნულ მუზეუმს როგორც მცველს ისეთი არაჩვეულებრივი კოლექციებისა, რომლებიც უძველესი დროით თარიღდება, დიდი პასუხისმგებლობა აწევს, რათა გააგრძელოს დამთვალიერებლის მოზიდვა, მასთან ურთიერთობა და შთაგონება.

„თანამედროვე არგო“ საქარართველოს ნაპირთან, 1984 წ.

ტიმ სევერინი ხომალდზე „არგო“ , 1984 წ.

რა იქნებოდა თქვენი რჩევა, რა არის საუკეთესო გზა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომ გააცნოს თავისი კულტურა, ისტორია და ტრადიციები დანარჩენ მსოფლიოს თანამედროვე ხერხების გამოყენებით ისე, რომ არ დაკარგოს თავისი იდენტურობა? თქვენი აზრით, სწორ გზას ვადგავართ?

მე არც ისე კარგი მრჩეველი ვარ, თუმცა ვფიქრობ, ისეთმა პატარა ქვეყნებმა, როგორიც საქართველოა (და ირლანდია, სადაც მე ვცხოვრობ) უნდა გამოიყენონ თანამედროვე კომუნიკაციის ყველა ხერხი, რათა თავიანთი კულტურა მსოფლიო საზოგადოებას წარუდგინონ. ციფრულ სამყაროში კრეატიულობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიდიდე. საქართველოს არაჩვეულებრივი მუზეუმები, მუსიკა, თეატრი და ვიზუალური ხელოვნება აქვს. ყოველივე ეს მას საშუალებას აძლევს, წარმოაჩინოს თავისი ეროვნული თვითმყოფადი კულტურა. ■

რიდ ფერინგი

ორ ათწლეულზე მეტი დმანისში

მუზეუმის მეგობარი > ნათია ხულუზაური



პროფესორი რიდ ფერინგი ძირითადად ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტში (აშშ) მოღვაწეობს, თუმცა უკვე 20 წელზე მეტია, რაც ზაფხულს საქართველოში, დმანისის არქეოლოგიურ ძეგლზე ატარებს. იგი მონაწილეა თითქმის ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენისა, რომელსაც თან სდევდა დმანისის საერთაშორისო აღიარება და დღემდე აქტიურადაა ჩართული კვლევაში. გარდა ამისა, ბატონი რიდი რეგულარუად კითხულობს ლექციებს დმანისის საზაფხულო საველე სკოლის სტუდენტებისთვის, ასევე დაინტერესებული საზოგადოებისთვის, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის სამეცნიერო კაფეში იკრიბება.

ბატონო რიდ, პირველ რიგში დიდ მადლობას გიხდით ინტერვიუზე დათანხმებისთვის. თქვენი მეგობრობა საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან საკმაოდ დიდი ხნის წინ დაიწყო. თუ შეიძლება გაიხსენეთ, როგორ ჩამოხვედით პირველად საქართველოში?

1993 წლის გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩემმა მეგობარმა, პროფესორმა ოფერ ბარ-იოზეფმა დამირეკა ჰარვარდის უნივერსიტეტიდან და მითხრა: „რიდ, ლიკის ფონდის გრანტი მივიღეთ საქართველოში წასასვლელად და გვინდა, რომ შენც შემოგვიერთდე“. მომიყვა დმანისში ქვედა ყბის აღმოჩენის შესახებ და მითხრა, რომ უნდოდათ გაეგოთ, თუ რა შესაძლებლობები იყო საქართველოში კვლევის დასაწყებად. აი, ასე გავატარე აგვისტოს სამი კვირა პირველად საქართველოში – არქეოლოგიური ძეგლების დათვალიერებასა და გეოლოგიური ჭრილების დაზვერვაში ოფერთან და სხვა მეგობრებთან ერთად ისრაელიდან და ამერიკიდან და, რა თქმა უნდა, ქართველ არქეოლოგებთან და გეოლოგებთან ერთად. მას შემდეგ ყოველ წელიწადს ჩამოვდივარ საქართველოში.

მოგვიყევით პირველი ვიზიტის დროს მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ.

ბევრი შთაბეჭდილება ჯერ კიდევ ცოცხლად მახსოვს ჩემი პირველი მოგზაურობიდან. სამწუხაროდ, მაშინვე მოახდინა უდიდესი შთაბეჭდილება იმ სირთულეებმა, რომელთა გადალახვაც უხდებოდა საქართველოს სამოქალაქო ომის შემდეგ. დამწვარი შენობები და უამრავი ნატყვიარი რუსთაველის გამზირზე გადატანილ ომზე მეტყველებდა, ხოლო ღამით განუწყვეტელი სროლის ხმა გვამცნობდა, რომ ეს ომი ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ჩვენზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა შუქისა და წყლის მუდმივმა პრობლემამ, საკვებისა და საწვავის უქონლობამ და იმ ფაქტმა, რომ გარშემო პრაქტიკულად არ არსებობდა უნივერმაღი ან რესტორანი, რომელიც ღია იქნებოდა. თუმცა, ამ მძიმე სიტუაციის პარალელურად, აღფრთოვანებაში მომიყვანა ქართველების თბილმა და ლაღმა სტუმართმოყვარეობამ. ყველგან, სადაც მივიდოდით, გაშლილი სუფრა გვხვდებოდა საჭმლითა და ღვინით სავსე და, რა თქმა უნდა, ქართველები, რომლებიც ჩვენს სტუმრობას ზეიმობდნენ. მაშინვე მივხვდი, რომ ქართველები განსაკუთრებული ხალხია და თავიდანვე შემიყვარდა ისინი. რა თქმა უნდა, ვმუშაობდით კიდეც და მაშინვე გამოიკვეთა კვლევის მრავალი შესაძლებლობა. დმანისშიც ვიყავით, მაგრამ მაშინ ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი გახდებოდა მომავალში ჩემთვის ეს ადგილი.

უკან მხოლოდ სამეცნიერო ინტერესის გამო დაბრუნდით?

ერთხელ ერთმა ბრძენმა შვედმა მითხრა, რომ მეგობრებთან ერთად საქმის წამოწყება საკმაოდ რისკიანია, თუმცა მუშაობის დროს შეძენილი მეგობრები ღმერთის მიერ ბოძებული საჩუქარია. ეს სიტყვები ზუსტად ახასიათებს საქართველოში ჩემს მუშაობას. კარიერის იმ ეტაპზე ჩემთვის განსაკუთრებით მინშვნელოვანი იყო საქართველოში გეოლოგიური და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და სულ მალე შემიყვარდა აქაური პეიზაჟები, ისტორია და ყველაზე მეტად კი – ქართველი ხალხი. საბედნიეროდ, სწორედ იმ პერიოდში მივიღე გადაწყვეტილება, რომ არა მარტო მეშრომა მეცნიერებისთვის, არამედ დავმტკბარიყავი კიდეც კვლევის პროცესით. ასე რომ, ყოველ მომდევნო წელს, როდესაც თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში ეშვებოდა, ორი რამ მახარებდა – ერთი სული მქონდა, თუ როდის დავიწყებდი საინტერესო კვლევას და როდის შევხვდებოდი კვლავ ჩემს მეგობრებს.

თქვენ ერთ-ერთი ხართ იმ მცირერიცხოვან მეცნიერთა შორის, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს და პრაქტიკულად დასაწყისიდან იხილეს, თუ როგორ გახდა დმანისი მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლი. საინტერესოა, თუ როგორია თქვენი თვალით დანახული ეს პროცესი?

დმანისის არქეოლოგიურ ძეგლზე მიმდინარე სამუშაოებში მონაწილეობამ მართლაც რომ არაჩვეულებრივი გამოცდილება მომცა: ყოველწლიური საველე სამუშაოები მუდმივად ცვალებადი „პერსონაჟებით“ მთელი მსოფლიოდან, რომლებიც დმანისში ადამიანის ნაშთების შესანიშნავმა აღმოჩენებმა ჩამოიყვანა. ყოველი აღმოჩენა ამაღელვებელ ატმოსფეროში ხდებოდა. ამ მღელვარებას ამ-

ძაფრებდა იმის ცოდნაც, რომ თითოეულ მათგანს სავარაუდოდ კაცობრიობის ისტორია უნდა შეეცვალა. რამდენიმე გარდამტეხი მომენტი მახსენდება – პირველი იყო 1996 წელს, როდესაც კარლ სვიშერმა და მე პირველად განვსაზღვრეთ დმანისის ზუსტი ასაკი (სხვათა შორის, ჩვენი მაშინდელი ვარაუდი ყოველი შემდგომი დათარიღების შემდეგ მყარდებოდა). მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი იყო 1999 წელი, როდესაც პირველი ორი თავის ქალა აღმოჩნდა, რომელსაც შესაბამისი პუბლიკაცია მოჰყვა დმანისის ასაკისა და ნამარხის შესახებ 2000 წელს ჟურნალში Science. კიდევ ერთ ზღურბლს 2005 წელს გადავაბიჯეთ, როდესაც დმანისის ადრეულ ფენებში აღმოვაჩინეთ არტეფაქტები. ამ აღმოჩენამ პირველად გამოააშკარავა, თუ რამდენად დიდი და კომლექსურია დმანისი როგორც არქეოლოგიური ძეგლი. სწორედ ამ აღმოჩენის წყალობით შევძელით გრანტის გაგრძელება და დმანისის კონცხზე გათხრების გაფართოება. დღეს ვიცით, რომ იქ დაახლოებით 40 000 კვადრატულ მეტრზეა განამარხებული მასალა და არტეფაქტები. ყოველივე ეს კი მოწმობს იმას, რომ გარდა ადამიანის ნაშთების დიდი რაოდენობისა, დმანისმა შემოგვინახა ასვე გასაოცარი ინფორმაცია პირველი ევრაზიელების ნამოსახლარის ტიპისა და მათი საქმიანობის შესახებ.

გარდა არქეოლოგიური კვლევისა, თქვენ აქტიურად ხართ ჩართული დმანისის საზაფხულო სკოლის ცხოვრებაში და ლექციებს უკითხავთ ახალგაზრდა პროფესიონალებსა და სტუდენტებს, შესაბამისად, მონაწილეობას იღებთ მკველვართა ახალი თაობების ჩამოყალიბებაში. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია არქეოლოგიურ ძეგლებზე საზაფხულო სკოლების ორგანიზება, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს, აკადემიურ ცოდნასთან ერთად პრაკტიკული გამოცდილებაც მიიღოს?

საზაფხულო საველე სკოლები ყველაზე მნიშვნელოვანი და შედეგიანი კომპონენტია დმანისის პროექტისა. რიგი სტუდენტებისა მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოდის, რომ მონაწილოეობა მიიღოს კვლევაში, ისწავლოს გათხრა, ურთიერთობა ჰქონდეს გუნდის პროფესიონალ წევრებთან და გაიჩინოს მეგობრები, რომლებიც აუცილებლად მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ მომავალში მათ კარიერულ წინსვლაში პალეოანთროპოლოგიის განხრით. ჩვენს დისციპლინაში ყოველდღიურ სწავლასა და საველე გამოცდილების მიღებას ალტერნატივა არ გააჩნია. ჩვენი სტუდენტები არა მხოლოდ საველე მეთოდიკას სწავლობენ, არამედ მათ აღაფრთოვანებთ იმის ცოდნა, რომ მონაწილეობას იღებენ ძალიან მნიშვნელოვან კვლევაში. სწორედ ამ „აღფრთოვანებას“ უზიარებენ ჩვენი სტუდენტები ერთმანეთს შემდგომ ისტორიებით, რომლებსაც „ჩემი დმანისური გამოცდილება“ ჰქვია.

როგორც მუზეუმის მეგობარი, თქვენ ხშირად მოხალისედ მუშაობთ, დიდი წვლილი მიგიძღვით დმანისის არქეოლოგიური ძეგლის ვებ-გვერდის შექმნაში, მონაწილეობა მიგიღიათ ბევრ აქტივობაში, რომელიც ძეგლის როგორც მეცნიერულ, ასევე ზოგად პოპულარიზაციას უწყობდა ხელს და ამ ყველაფერში არ მიგიღიათ მატერიალური ანაზღაურება. თუ შეიძლება გვითხარით, რა არის თქვენი მოტივაცია?

ამ ყველაფრის კეთებისთვის რამდენიმე მიზეზი მქონდა. პირველ რიგში, დმანისი უდაოდ არის მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი სამეცნიერო საზოგადოებისთვის და მე უზარმაზარ პასუხისმგებლობას ვგრძნობ და ვცდილობ, ყველა ღონე ვიხმარო, რათა წვლილი შევიტანო ამ ძეგლის სრულყოფილი შესწავლის საქმეში. მეორეც, როგორც მეცნიერი და ცოდნის გამავრცელებელი, ვფიქრობ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოებას „გადაუთარგმნო“ ჩვენი სამეცნიერო კვლევის შედეგები. და ბოლოს, დმანისში და, ზოგადად, მუზეუმში მოხალისეობა

ჩემთვის მართლაც პატარა საშუალებაა, ვუპასუხო იმ სიკეთესა და მეგობრობას, სამეცნიერო კვლევისთვის მოცემულ შესაძლებლობას, რომელსაც წლების მანძილზე ვიღებ საქართველოში.

ვიცი, რომ თქვენი ოჯახის კიდევ ერთი წევრი არის ჩვენი ქვეყნისა და მუზეუმის მეგობარი. თქვენი მეუღლე ინგლისურს ასწავლიდა საქართველოში, ხომ ასეა?

2006 წელს ჩემი მეუღლე ელისაბედი მახლდა საქართველოში, როდესაც ხანგრძლივად ვიმყოფებოდი ფულბრაიტის გრანტის ფარგლებში. მან გრძელვადიანი შვებულება აიღო ტეხასში და თავისი პედაგოგიური ენერგია აქეთ, მუზეუმისკენ მიმართა, რათა ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის ინგლისური ესწავლებინა. ვხედავდი, თუ როგორ მოსწონდათ სტუდენტებს მისი „სწავლების ამერიკული სტილი“ და თვითონაც როგორ ზრუნავდა თითოეულ მათგანზე. დღეს ის ფაქტი, რომ ყველა მისი სტუდენტი ლაპარაკობს ინგლისურად, ძალიან მახარებს! ისიც ვიცი, რომ მის სტუდენტებსაც ახსოვთ და უყვართ ის, რადგან ყოველთვის, როდესაც დამინახავენ, მორბიან, რომ მკითხონ: „ელისაბედი როგორაა?!“

როგორ შეაფასებდით იმ ცვლილებებს, რომლებსაც საქართველოს ეროვნული მუზეუმი ახორციელებს, რათა თანამედროვე ტიპის მუზეუმად იქცეს, რომლის მთავარი მისია არა მხოლოდ გამოფენების ორგანიზება, არამედ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაც არის.

მე მოწმე ვარ იმისა, თუ როგორ იქცა მუზეუმი პრაქტიკულად ნანგრევებისგან თანამედროვე, ცოცხალ ადგილად, როგორიც ის დღეს არის. ეს ცვლილებები შედეგია ბევრი ნიჭიერი ხალხის შრომისა, რომელთა საერთო მიზანს მუზეუმში თანამედროვე ხედვის დანერგვა წარმოადგენს. როდესაც დღევანდელ მუზეუმს ვუყურებ, ვეღარ ვიჯერებ, რომ ეს ის ადგილია, რომელიც პირველად 1993 წელს ვნახე. არქიტექტურული განახლება, გამოფენების მზარდი რიცხვი, მუზეუმის სამეცნიერო ფრთა მართლაც უდიდესი მიღწევებია, რომლითაც მთელი საქართველო უნდა ამაყობდეს. სხვათა შორის, „სამეცნიერო ფრთა“ არ წარმოადგენს მხოლოდ საფონდო სივრცეებსა და კოლექციებს; ეს არის მზარდი ერთეული, სადაც თავმოყრილნი არიან ახალგაზრდა, ენერგიული და პროდუქტიული ქართველი მეცნიერები. ახალი სადოქტორო პორგრამა კი უზრუნველყოფს ამ მეცნიერთა ზოგადად ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასთან უწყვეტ კავშირს. ეს ზრდა შემთხვევითი სულაც არაა, ეს არის ანარეკლი სწორად განსაზღვრული გეგმისა, რომელიც გულისხმობს თანამშრომლობასა და სხვადასხვა ტიპის ერთობლივ პროგრამებს მსიოფლიოს წამყვან მუზეუმებთან.

როგორ ფიქრობთ, როგორ შეუძლია მუზეუმ-ნაკრძალებს საზოგადოების სამუზეუმო ცხვორებაში ჩართვა?

გამოფენები და საგანმანათლებლო პროგრამები გასაღებია საზოგადოების ჩართულობისა. მუზეუმი არაჩვეულებრივად მდიდარ კოლექციას ფლობს, რომელიც საგამოფენო პოტენციალის ბირთვს

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘ ᲣᲓᲐᲝᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲔ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲒᲠᲫᲜᲝᲑ ᲓᲐ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲦᲝᲜᲔ ᲕᲘᲮᲛᲐᲠᲝ, ᲠᲐᲗᲐ ᲬᲕᲚᲘᲚᲘ ᲨᲔᲕᲘᲢᲐᲜᲝ ᲐᲛ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲓ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ „ᲒᲐᲓᲐᲣᲗᲐᲠᲒᲛᲜᲝ“ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ.

წარმოადგენს და მისი დემონსტრირება არა მხოლოდ საგანძურის ფანტასტიკური გამოფენით ხდება, არამედ, მაგალითად, ხალიჩების, ფოტოების თუ ბუნების ისტორიის დროებითი გამოფენებით. მუზეუმმა მრავალი სხვა გზაც მოძებნა საზოგადოებასთან კავშირის დასამყარებლად – სამეცნიერო კაფეში ჩატარებული ლექციების სერიები და სხვადასხვა კოლექციების ამსახველი არაჩვეულებრივი კატალოგების გამოცემაც ამას მოწმობს. მე ვხედავ, რომ საბავშვო და ზრდასრულთა პროგრამების შემუშავების მხრივ კარგი ბალანსი გაქვთ, აღარ ვლაპარაკობ დამთვალიერებელთა მზარდ რიცხვზე. ასე რომ ვფიქრობ, მუზეუმი ყველაფერს სწორად აკეთებს საზოგადოებასთან დასაახლოვებლად და, ჩემი აზრით, ამას ადასტურებს როგორც დამთვალიერებელთა, ასევე მუზეუმის ინდივიდუალურ და კორპორატიულ მეგობართა მზარდი რიცხვი.

როგორც მეცნიერი ფიქრობთ თუ არა, რომ სამეცნიერო მოღვაწეობა სამუზეუმო ცხოვრების ფუნდამენტია?

ჩემთვის ამ მუზეუმის ფუნქცია მისსავე სათაურშია ჩადებული: ეს არის ქართველი ხალხის მუზეუმი. სამეცნიერო აქტივობა მუზეუმისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია პროგრამები, რომლებიც ისტორიას, ეთნოგრაფიას და ქართული ხელოვნების ნებისმიერ ასპექტს მოიცავს. სინამდვილეში საქართველოს ეროვნული მუზეუმი ძალიან ჰგავს ჩვენს სმითსონის ინსტიტუციას, რომლის მისია არის მრავალი მიმართულებით ფუნდამენტურ ღირებულებებზე დამყარებული პროგრამების გავრცელება. სამეცნიერო პერსპექტივიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმი ნამდვილად იღებს ლიდერის როლს როგორც კვლევის, ასევე კოლექციების მენეჯმენტის კუთხით ბუნების ისტორიისა და არქეოლოგიის დარგებში. მისი აქტიური როლი ახალი სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში უზრუნველყოფს ქართულ სამეცნიერო საზოგადოებასთან მყარ კავშირს და მის მნიშვნელობას როგორც მზარდი საგანმანათლებლო დაწესებულებისა.

კიდევ ხომ არ ისურვებდით რამის დამატებას?

მგონი მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მადლობელი ვარ შესაძლებლობისთვის, მესაუბრა ამ წლების მანძილზე დაგროვილ ჩემს შთაბეჭდილებებსა და საქმიანობაზე საქართველოში. მე არა მხოლოდ „მუზეუმის მეგობრის ბარათის მფლობელი“ მეგობარი ვარ მუზეუმისა, არამედ ადამიანი, რომელსაც ბედმა იმდენად გაუღიმა, რომ მუზეუმის ოჯახის ნამდვილ წევრად მიიღეს. როგორც ჩემმა შვედმა მეგობარმა ივარაუდა, ჩემთვის მუზეუმში შეძენილი მეგობრები ნამდვილად დიდ ღვთის წყალობად იქცნენ. ■

„სეიფი“ და არქეოლოგიის გამოფენა XX საუკუნეში

ისტორია > მიხეილ წერეთელი

ბატონი ალექსანდრე ჯავახიშვილის პირმშოა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფი: ოქროსა და ვერცხლის მაღალმხატვრული ნივთების მართლაც რომ ბრწყინვალე და შთამბეჭდავი გამოფენა, აგრე აღტაცებაში რომ მოჰყავს აურაცხელი მნახველი...

ოთარ ლორთქიფანიძე, 2004

მუზეუმის ღვაწლმოსილ თანამშრომლებს, არქეოლოგებს აკად. **ოთარ ჯაფარიძეს** და დოქ. **ლეილა ფანცხავას**, რომლებიც გასულ საუკუნეში მოწყობილი გამოფენების თვითმხილმხილველები და მომსწრენი არიან, ვთხოვეთ გაეხსენებინათ, თუ როგორ მზადდებოდა 1950-იანი წლების ბოლოს ოქროს ფონდის – „სეიფისა“ და საქართველოს არქეოლოგიის გამოფენები. მუზეუმის ამ მნიშვნელოვანი ეტაპის გახსენება საყურადღებოა, რადგანაც ის აღწერს თაობებისათვის საყვარელი გამოფენის შექმნის პროცესს, რომელიც აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელს უკავშირდება. ეს მრავალმხრივ გამორჩეული პიროვნება იყო დიდი მეცნიერი, საუკეთესო საველე არქეოლოგი, დახვეწილი მხატვრული გემოვნების მქონე ადამიანი, ამასთანავე, იგი ფლობდა დიდ სამხატვრო ოსტატობას, იყო სანიმუშო კოლეგა და სამუზეუმო საქმის საუკეთესო სპეციალისტი XX საუკუნის საქართველოში.

დღევანდელი გადმოსახედიდან გაოცებას იწვევს მისი დიდი სამუშაო კულტურა, ის, თუ როგორი სიყვარულით ქმნიდა იგი გამოფენას. „სეიფისა“ და საქართველოს არქეოლოგიის გამოფენის სამეცნიერო კონცეფციისა და კომპოზიციის გარდა მან მოამზადა მთელი საგამოფენო პაკეტი ერთიანი ხედვით – გზამკვლევის, პლაკატის, მოსაწვევი ბარათის ესკიზები. სწორედ ამ მაღალმა პროფესიონალიზმმა შექმნა განუმეორებელი სტილი და გამოფენა, რომელიც თითქმის 40 წლის განმავლობაში იყო საქართველოს ისტორიის ამსახველი მთავარი ექსპოზიცია.

ალ. ჯავახიშვილის მიერ „სეიფის“ გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინის ჩანახატი.
ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.

არქეოლოგიური გამოფენის კუთხე. დევის ხვრელი
სკულპტორ ვასილ ვატაგინის ქანდაკება, 1938 წ. ფოტოგრაფი: ბაგლალიშვილი

აკად. ოთარ ჯაფარიძე:

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოძევებული ივანე ჯავახიშვილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტად დაინიშნა. მუზეუმში მისი მოღვაწეობის უპირველესი საზრუნავი არქეოლოგიური გამოფენის მოწყობა იყო. იგი აღნიშავდა, რომ მუზეუმის ფონდებში დაცული მდიდარი კოლექციების გამოფენა, მათი წარდგენა დიდად წაადგება საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის კვლევის საქმეს, რადგან წინაქრისტიანული ხანის ამსახველი გამოფენა ყოფილ კავკასიის მუზეუმში არ გამართულა. მუზეუმში დაცული არქეოლოგიური კოლექციები თითქმის უძრავად ინახებოდა საცავებში. სწორედ ეს მდიდარი მასალა დაედო საფუძვლად პირველ არქეოლოგიურ გამოფენას. გამოფენის გეგმის შედგენა ივ. ჯავახიშვილმა საქართველოში საცხოვრებლად ახლად გადმოსულ ცნობილ არქეოლოგს ბორის კუფტინს მიანდო.

1934 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო არქეოლოგიური გამოფენა „წინაკლასობრივი საზოგადოება ამიერკავკასიაში“. მოკლე დროში ასეთი გამოფენის გამართვა, რომელიც მთლიანად მოიცავდა წინაქრისტიანულ ხანას კავკასიაში ადამიანის პირველი გამოჩენიდან ადრე შუა საუკუნეების ეპოქამდე, შესაძლებელი იყო მხოლოდ დაძაბული შრომისა და საქმისადმი თავდადების შედეგად.

გამოფენას ეჭირა საქართველოს მუზეუმის მთავარი კორპუსის მეორე სართულის ორი დარბაზი. წინა, შედარებით მომცრო დარბაზი მთლიანად ეთმობოდა ქვის ხანას. დარბაზის ერთ მხარეს გამართული იყო დევის ხვრელის გამოქვაბულის მაკეტი, რომლის შესასვლელთან ხვლიკზე მონადირე ბავშვის ქანდაკება იდგა, სიღრმეში კი ცეცხლთან მჯდარი ფიგურები იყო წარმოდგენილი. დარბაზის კედლებს ბრწყინვალედ შესრულებული ნახატები ამშვენებდა – ნადირობის სცენა, ქვის ხანის ფერწერის შესანიშნავი ნიმუშების ასლები – სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებები. კედლების გასწვრივ ვიტრინებში გამოფენილი იყო ძველი ქვის ხანის – პალეოლითის – ქვისა და ძვლის იარაღები, ძირითადად ყვირილის ხეობაში გვარჯილის კლდის გამოქვაბულში მოპოვებული მასალა და არქეოლოგიის განყოფილების გამგის, გ. ნიორაძის მიერ დევის ხვრელის მღვიმეში ახლად ნაპოვნი ექსპონატები. ეს დარბაზი მეტად შთამბეჭდავი იყო, სადაც პირველად იყო წარმოდგენილი კავკასიაში, კერძოდ საქართველოში პირველყოფილი ადამიანის ნაკვალევის ნამთები. მეორე, უფრო მოზრდილ დარბაზში გამოიფინა ყოფილ კავკასიის მუზეუმში დაცული ბრინჯაოს და რკინის ხანის მდიდარი კოლექციებიდან შერჩეული ექსპონატები, რომლებიც, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განლაგებულნი, ამშვენებდნენ საექსპოზიციო კარადებს. დარბაზის შუა ნაწილში იდგა გ. ნიორაძის მიერ ზემო ავჭალაში ახლად აღმოჩენილი სამარხის მიწიანად გადმოტანილი მონოლითი. დარბაზის უკანა კედლის ერთ კუთხეში გამოფენილი იყო არქეოლოგიის ფონდში დაცული ეგვიპტური კოლექცია – სარკოფაგი, მუმიფიცირებული თავის ქალა და სხვა მასალა, მოპირდაპირე კუთხეში კი წარმოდგენილი იყო ურარტული ხანის ძეგლები – ლურსმულწარწერიანი ქვები და ამ ეპოქის სხვა ექსპონატები.

წინაქრისტიანული ხანის ექსპოზიციას სულ მალე შუა საუკუნეების ეპოქის ამსახველი გამოფენა მოჰყვა, რომელიც 1937 წელს შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს მიეძღვნა. გამოფენას წინ უძღოდა აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ითხრებოდა დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარი. ძირითადად აქ მოპოვებული მასალა დაედო საფუძვლად პირველი სართულის ერთ-ერთ დარბაზში გამართულ ექსპოზიციას „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის კულტურა“.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიება მიმდინარეობდა მცხეთის მიდამოებში და თრიალეთის მაღალმთიან ზოლში წალკის პლატოზე. მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას სათავეში ივ. ჯავახიშვილი ჩაუდგა, თრიალეთში ექსპედიციის ხელმძღვანელობა მისი წინადადებით ბ. კუფტინს დაევალა. ბრწყინვალე აღმოჩენებმა სრულიად ახლებურად წარმოაჩინა საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის უძველესი ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. თრიალეთში მოპოვებული მასალის საფუძველზე შემუშავდა წინაქრისტიანული ხანის სრულიად ახლებური პერიოდიზაცია. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა დაგვირგვინდა პიტიახშთა სამარხების აღმოჩენით არმაზისხევში. ამ ახლადმოპოვებული მასალისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მუზეუმში დაიწყო მზადება მის გამოსაფენად. ახალ ექსპოზიციას ეთმობოდა მეორე სართულის ორი დარბაზი. შედარებით მოკლე დროში 1941 წელს გაიხსნა საინტერესო



ალ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებული წინაქრისტიანული ხანის კერამიკული ნაწარმის ალბომის მაკეტი, ფანქარი

ალ. ჯავახიშვილის მიერ შესრულებული აკვარელები. ქვაცხელების გათხრებზე აღმოჩენილი კერამიკული ნივთები. აკვარელი, ფანქარი. 1950-იანი წლები

ალ. ჯავახიშვილის მიერ „სეიფის“ გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინის ჩანახატი.
ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.

ალ. ჯავახიშვილის მიერ „სეიფის“ გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინის ჩანახატი.
ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.

გამოფენა, სადაც ქართული კულტურის უძველესი კერები – თრიალეთი და მცხეთა წარმოდგენილი იყო წალკის პლატოზე აღმოჩენილი ძეგლებით ქვის ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეებამდე. გამოფენაზე პირველად იყო გამოტანილი მანამდე უცნობი ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურებისათვის დამახასიათებელი ექსპონატები. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალიდან წარმოდგენილი იყო სამთავროს და არმაზისხევის პიტიახშთა სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი. არქეოლოგიური გამოფენა მეოთხედ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოაჩენდა საქართველოს შორეულ წარსულს.

1952 წელს საქართველოს არქეოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად

ალექსანდრე ჯავახიშვილი დაინიშნა. ამავე დროს იგი სათავეში ჩაუდგა მთავარ საგანძურს – „სეიფს“, რომლის უცვლელი მცველი სიცოცხლის ბოლომდე იყო. მან ღირსეულად იტვირთა დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ქართული საუნჯის დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმე.

საგანძური თანდათანობით ივსებოდა ახალი მასალით. ალექსანდრე ჯავახიშვილის თაოსნობით სეიფში მოეწყო „ძვირფასი ნივთების გამოფენა“, სადაც ძველ მასალასთან ერთად წარმოდგენილი იყო მცხეთისა და თრიალეთის ექსპედიციებში მოპოვებული ოქრომჭედლობის ნიმუშები. ეს ის დროა, როდესაც ჩვენში ფართოდ იშლება არქეოლოგიური სამუშაოები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია იწყებს ფართო მასშტაბის კვლევა-ძიებას ურბნისის ნაქალაქარზე და მის შემოგარენში. ალექსანდრე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს ურბნისის მახლობლად მდებარე ქვაცხელების ნამოსახლარზე წარმოებულ გათხრებს. აქ გამოვლინდა მისი როგორც საველე არქეოლოგის დიდი შესაძლებლობები. ქვაცხელები ძვ.წ. III ათასწლეულის მტკვარ-არაქსის კულტურის ხანის ნამოსახლარია. ამ დროს საგრძნობლად იზრდება ინტერესი ძვ.წ. III ათასწლეულში წინა აზიაში ამ ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული კულტურისადმი. ამიტომ, მისი ეთნიკური წარმომავლობის, პირველადი ადგილსამყოფელის საკითხი უაღრესად დიდ ინტერესს იწვევდა.

საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის ფონდი თანდათანობით მდიდრდება სხვადასხვა პერიოდის მასალით. საგრძნობლად იზრდება ქვის ხანის ფონდი; განსაკუთრებით იმატა ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის ამსახველმა მასალამ; მნიშვნელოვნად მდიდრდება ფონდი ანტიკური ხანის ექსპონატებით. თანდათანობით მწიფდება აზრი, რომ მოქმედი გამოფენა უკვე ვეღარ ასახავს წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრები საზოგადოების განვითარების რეალურ ვითარებას.

1950-იანი წლების ბოლოსთვის იწყება მზადება ახალი არქეოლოგიური გამოფენისთვის. არქეოლოგიის ფონდში კოლექციების რიცხვის ზრდამ საგრძნობლად გაართულა საგამოფენო ექსპონატების შერჩევის პროცესი. ალექსანდრე ჯავახიშვილმა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ახალი გამოფენის მოწყობას, მისი გამართვა სრულიად ახლებურად გადაწყვიტა.

ალ. ჯავახიშვილის მიერ არქეოლოგიური გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინების ჩანახატები. ქვაცხელების ნამოსახლარიდან მოჭრილი სახლის ნაწილი კერით. ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.

1961-2005 წლების არქეოლოგიური გამოფენა. ქვაცხელების ნამოსახლარიდან მოჭრილი სახლის ნაწილი კერით.

ექსპონატები ჩაბნელებულ დარბაზებში შიგნიდან განათებულ ვიტრინებში იყო წარმოდგენილი, დარბაზის ცენტრში იყო ქვაცხელების ნამოსახლარიდან მოჭრილი და გადმოტანილი საცხოვრებელი სახლის ნაწილი კერით. ეს იმ დროსაითვის სრულიად ახალი სიტყვა იყო საგამოფენო საქმეში. ექსპოზიციაზე თითქმის არ იყო გამოფენილი ფოტოები, ნახატები თუ ნახაზები. მთელი ყურადღება ნივთზე იყო გადატანილი.

ალ. ჯავახიშვილის მიერ არქეოლოგიური გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინის ჩანახატი. ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.

ერთადერთი ნახაზი კედელზე მის მიერ რეკონსტრუირებული ქვაცხელების ნამოსახლარის გეგმა იყო.

ჩაბნელებულ დარბაზში, შიგნიდან განათებულ კარადებში, ფერად ლაქებად დადებულ ფონზე წარმოდგენილი ნივთები დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. გამოფენის მხატვრად მან ცნობილი ფერმწერი, ავთო ვარაზი მოიწვია, რომელთან თანამშრომლობამაც შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

არქეოლოგიურ გამოფენას „საქართველოს მატერიალური კულტურა უძველესი დროიდან ახ.წ. IV საუკუნემდე“ პირველი სართულის დარბაზები ეთმობოდა. ერთ მხარეს ექსპონირებული იყო ქვის ხანის და ადრე და შუა ბრინჯაოს ეპოქის ამსახველი მასალა, მეორე მხარე კი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ექსპონატებს ეთმობოდა ანტიკური პერიოდის დასასრულამდე. ამ გამოფენამ დროს გაუძლო და ნახევარი საუკუნის მანძილზე თითქმის უცვლელად იარსება და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა დამთვალიერებელზე.

დოქ. ლეილა ფანცხავა:

1958 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა არქეოლოგიური გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოები. ყოველი გამოფენის მომზადების საფუძველი კონცეფციაა. გამოფენის კონცეფცია არქეოლოგ ალექსანდრე ჯავახიშვილის შემუშავებული იყო: საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური ძეგლების საშუალებით გაბმით მოეთხრო საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია პერიოდების მიხედვით – პალეოლითიდან ანტიკური ხანის ჩათვლით.

მახსოვს, როგორ გამიკვირდა, როდესაც ვნახე, თუ როგორ ხატავდა ბატონი ალექსანდრე რაღაცას მუყაოს სქელ ნაჭერზე – ეს იყო ახალი არქეოლოგიური გამოფენის ესკიზები. მანვე შეადგინა გამოფენისთვის ახალი ვიტრინების ნახაზები, რომლებიც თბილისში დაამზადეს. მაშინ არ ვიცოდი, რომ თურმე ბატონი ალექსანდრე 1940 წელს სანკტ-პეტერბურგში (მაშინდელ ლენინგრადში) სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხულა, მაგრამ მალე ფინეთის ომი დაიწყო და თბილისში უკან დაბრუნება მოუწია. მიუხედავად იმისა, რომ იგი თვითონ ძალიან კარგად ხატავდა აკვარელით და განსაკუთრებით კარგად გრძნობდა ფერებს, გამოფენის ოფიციალურ მხატვრად ავთო ვარაზი მოიწვია.

ალ. ჯავახიშვილის მიერ არქეოლოგიური გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინის ჩანახატი. ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.



ალ. ჯავახიშვილის მიერ „სეიფის“ გამოფენისთვის შესრულებული ვიტრინის ჩანახატი. ფანქარი, აკვარელი, მუყაო, 1958 წ.

ბატონი ალექსანდრე ძალიან წუხდა ვიტრინებისა და ქვაცხელების და ხოვლეს ნამოსახლარებიდან გადმოტანილი ნაწილების განათების გამო. ფორმა მოძებნილი ჰქონდა, მაგრამ ტექნიკური განხორციელება მაშინდელი ტექნიკური საშუალებებით შეუძლებელი იყო. გასათვალისწინებელია, რომ გამოფენა კეთდებოდა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ახლა რომ ყველაფერი იშოვება, ასე არ იყო მაშინ... მახსოვს, მოვიდოდა სამსახურში და მალევე წავიდოდა ვიტრინების სქელი მინის საშოვნელად მინისტრთა საბჭოში, რომელიც, ბედად, ახლოს იყო მუზეუმთან. 11 მმ-მდე მინა



ალ. ჯავახიშვილის მიერ არქეოლოგიური გამოფენისთვის შესრულებული გზამკვლევის ესკიზები. ფანქარი, გუაში, მუყაო, 1958 წ.

და ელექტრონის მავთული მინისტრთა საბჭოს ლიმიტიდან უნდა გამოეყოთ. სპილენძის მავთული უნდა ყოფილიყო აუცილებლად, რომელიც ასევე ლიმიტიდან უნდა გამოყოფილიყო. აი, ასეთ პირობებში უხდებოდა მუშაობა.

გამოფენისათვის მასალის შერჩევა, კარადაში ჯვალოს გაკვრა, კომპოზიციურად მასალის დალაგება და აქცენტირება, გამოფენის გზამკვლევისა და ბროშურის შედგენა, გამოფენის ირმებიანი პლაკატის, ვიტრინებისა და დარბაზის ესკიზების შექმნა – ყველაფერი ეს ბატონი ალექსანდრეს სახელს უკავშირდება. ერთი კარადის გაკეთებას იგი ზოგჯერ ერთი კვირა უნდებოდა: გაშლიდა ქაღალდს იატაკზე და კომპოზიციურად ალაგებდა ნივთებს. ძნელი გადმოსაცემია ის შრომა, რაც გამოფენის კონცეფციის შემუშავებაზე, ნივთების შერჩევაზე, საგამოფენო ავეჯის შექმნაზე, ვიტრინებში ნივთების განაწილებაზე, გამოფენის მხატვრულ გადაწყვეტაზე და ექსპოზიციისათვის საბოლოო სახის მიცემაზე დაიხარჯა. ეს იყო ბატონი ალექსანდრეს შემოქმედება. ყოველი ახალი ვიტრინა ახალი სურათის შექმნის

ალ. ჯავახიშვილის მიერ არქეოლოგიური გამოფენისთვის შესრულებული პლაკატისა და მოსაწვევი ბარათების ესკიზები. ფანქარი, გუაში, 1958 წ.

ტოლფასი იყო. დიდი წვლილი მიუძღვის ავთო ვარაზს. ამ ორი ადამიანის თანამშრომლობამ ქართული მუზეოგრაფიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა, თუმცა სიცოცხლის ბოლო დღეებში ბატონი ალექსანდრე ამბობდა, მე ახლა ამას სულ სხვანაირად გავაკეთებდიო. გული მწყდებოდა, რომ არ ვკითხე, თუ როგორ გააკეთებდა ახალ ექსპოზიციას. რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგე, რომ იგივე სხვებისთვისაც უთქვამს, ხოლო მათ კითხვაზე, თუ როგორ გააკეთებდა, უპასუხია: „გავაკეთებ და ნახავთო“. სამწუხაროდ, ამ დიალოგიდან რამდენიმე დღეში ბატონი ალექსანდრე გარდაიცვალა.

მახსოვს თბილისს ეწვია ცნობილი გერმანელი არქეოლოგი ალფრედ გიოტცე, რომელსაც ძალიან მოეწონა ექსპოზიცია. ამავე ხანში თბილისში ჩამოვიდა მსტისლავ კელდიში – საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. მას ისე მოეწონა გამოფენა, რომ ბატონ ალექსანდრეს შესთავაზა, საბუთები შეეგროვებინა ლენინის პრემიაზე წარსადგენად. რასაკვირველია, მას საბუთები არ შეუგროვებია. ■

საქართველოს არქეოლოგიის განახლებული გამოფენა

გამოფენა > დარეჯან კაჭარავა, ნინო ლორთქიფანიძე

2013 წლის მიწურულს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „საქართველოს არქეოლოგია ძვ.წ. VIII ათასწლეულიდან ახ.წ. IV საუკუნემდე", რომელიც უკვე ათიათასობით დამთვალიერებელმა იხილა.

განახლებულ არქეოლოგიურ გამოფენას განსაკუთრებული ინტერესით ელოდა საზოგადოება: საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო აუცილებელი გახდა 1961-2005 წლებში მოქმედი გამოფენის დემონტაჟი, რომელმაც გასულ საუკუნეში სახელი გაუთქვა არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ უძველეს ქართულ კულტურას. გარდა ამისა, არქეოლოგიური კოლექცია, რომელიც ყველაზე მრავალრიცხოვანია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ კოლექციებს შორის, საბედნიეროდ მუდმივად მდიდრდებოდა ახალი აღმოჩენებით. თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების მიხედვით გამართული ძველი ვიტრინები და ახალი სცენოგრაფიით (ავტორი ვახტანგ ხოშტარია) წარმოდგენილი ექსპონატები სიმბოლურად გამოხატავს ძველსა და ახალს, წარსულსა და აწმყოს შორის კავშირს, იდეას, რომელსაც თავად არქეოლოგია ემსახურე-

გლადიატორისა და ლომის ბრძოლის ამსახველი მინიატურული ქანდაკება ბრინჯაო. თბილისი
ახ. წ. I საუკუნის პირველი ნახევარი

ბა. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოფენის მომზადებაში ეროვნული მუზეუმის ყველა თაობის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

გამოფენა, რომელზედაც პირველადაა წარმოდგენილი უკანასკნელ წლებში საქართველოში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ძველი აღმოჩენების ფონზე ნათლად ასახავს ქართული კულტურის განვითარების ერთიან და უწყვეტ ხაზს ნეოლითის ეპოქიდან გვიანანატიკურ ხანამდე. ამ ხანგრძლივი პერიოდის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძვ.წ. VIII ათასწლეულსა და ახ.წ. IV საუკუნეს მოიცავს, არა მხოლოდ ქრონოლოგიური პრინციპით, არამედ თემების, კერძოდ კონკრეტულ ეტაპზე გამოვლენილი კულტურების მიხედვითაა ნაჩვენები: 1. ადრესამიწათმოქმედო კულტურა (ძვ.წ. VIII ათასწლეული-ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევარი), 2. მტკვარ-არაქსის კულტურა (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარი-ძვ.წ. III ათასწლულის პირველი ნახევარი), 3. ადრეყორღანული კულტურა (ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი), 4. თრიალეთის დიდი ყორღანების ბრწყინვალე კულტურა (ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი), 5. აღმოსავლეთ საქართველო გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში (ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), 6. კოლხური ბრინჯაოს კულტურა (ძვ.წ. II ათასწლეული – ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), 7. კოლხეთი და იბერია ანტიკურ ხანაში (ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარი-ახ.წ. IV ს.), 8. უძველესი თბილისი (ძვ.წ. V-IV ათასწლეულები – ახ.წ. I ს.). თითოეულ სექციაში საყოველთაოდ ცნობილ ნივთებთან ერთად დამთვალიერებელს შეუძლია იხილოს ახალი აღმოჩენები. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: არუხლოს ძვ.წ. VI-V ათასწლეულის ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის, ძვლის,

მამაკაცის ფიგურა. ბრინჯაო. მელაანი
ძვ. წ. VIII-VII სს.

თრიალეთის კულტურის თიხის ჭურჭელი
ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი

ჭაბუკის ტორსი. ბრინჯაო. ვანი
ძვ. წ. II-I სს.

რქისა და ობსიდიანის იარაღები, რელიეფური კერამიკა, სარდიონის საკიდები, სპილენძის მძივები და თიხის ტიგელი, რომლებიც საქართველოში ლითონის ათვისებას ჯერ კიდევ ნეოლითის ეპოქაში ადასტურებს; კერამიკა და სპილენძის უძველესი სამკაული ბერიკლდეების ენეოლითურ ნამოსახლარზე გამოვლენილი სატაძრო კომპლექსიდან, რომელიც ამ პერიოდში ერთადერთია მთელ კავკასიაში; მრავალფეროვანი მასალა ციხიაგორას ნამოსახლარიდან, რომელიც მტკვარ-არაქსის კულტურის ერთ-ერთი საეტაპო ძეგლია; საყდრისში – მადნისეული ოქროს მოპოვების უძველეს კერაზე და მასთან ახლოს მდებარე ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვის იარაღები, უშუალოდ მაღაროებში ნაპოვნი მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭელი, რომელიც ცხადყოფს, რომ ოქროს მოპოვება მტკვარ-არაქსის კულტურის შემადგენელი ნაწილი იყო; ძვ.წ. III ათასწლეულის ოქრომჭედლობის ნიმუშები, წარმოდგენილი ორნამენტირებული საკიდებით, მძივებით, უმბონებით, ასევე ქარვის მძივებისგან შედგენილი უნიკალური ყელსაბამი და სხვა ძვირფასი ნივთები გრანდიოზული ყორღანული სამარხებიდან, რომლებიც 2012 წელს კახეთში, სოფელ ჭაბუკიანთან იქნა აღმოჩენილი; ასევე ადრეყორღანული, კერძოდ ბედენური კულტურისთვის დამახასიათებელი მასალა ბერიკლდეების ნამოსახლარიდან, რომელიც იმ საზოგადოების ყოფას ასახავს, რომლის მმართველი ფენაც ბედენის მდიდრულ ყორღანებშია დაკრძალული და მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან აქამდე ეს კულტურა მხოლოდ ყორღანული სამარხებით იყო ცნობილი; თრიალეთის კულტურის ეპოქის ორნამენტირებული კერამიკული ჭურჭელი ქვემო ქართლში აღმოჩენილი ყორღანებიდან; სრულიად გამორჩეული კერამიკული ნაწარმი და ბრინჯაოს მხატვრული ნიმუშები, მათ შორის შტანდარტები, ყველაზე გვიანდელი – გვიანბრინჯაოს ხანის მდიდრული ყორღანიდან, რომელიც ბერიკლდეებში იქნა აღმოჩენილი; გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალა, რომელიც წალკაში BP-ს მიერ ნავთობსადენი მილის გაყვანისას იქნა აღმოჩენილი. ასევე ახალმშენებლობებს უკავშირდება მარნეულში, კერძოდ, სოფელ ილმაზლოში ადრერკინის ხანის სამარხის აღმოჩენა, რომელიც ოქროს სამკაულით გამოირჩევა და „თრიალეთის ბრწყინვალე კულტურის“ ეპოქის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე ოქრომჭედლობის აღორძინების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოწმობაა; ანტიკური ხანის აღ-

ორპროტომიანი კაპიტელი. კირქვა. ციხიაგორა. ძვ.წ. IV ს.

უახლესი აღმოჩენები ანანაურის N3 ყორღანიდან. ქარვის, სარდიონის, მთის ბროლის მძივები, ქალცედონის ბეჭედი, ოქროს სამკაული, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევარი

მოჩენებიდან გამოფენაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს 2007 წელს ვანში, კოლხეთის რელიგიურ ცენტრში განძის სახით აღმოჩენილ უნიკალურ სატაძრო ინვენტარს, კერძოდ, ბრინჯაოს სარიტუალო ჭურჭელს, ჭრაქებს, სასაკმევლეს, რომლებზეც ბერძნული მითოლოგიური პერსონაჟების, ასევე სპილოების მინიატურული ფიგურებია გამოსახული. ელინისტური ხელოვნების ეს შედევრები, რომლებიც საბერძნეთის წამყვანი ცენტრებიდან უნდა იყოს შემოტანილი, იმაზე მეტყველებს, რომ კოლხეთი აქტიურად იყო ჩართული ელინისტურ სამყაროში მიმდინარე კულტურულ პროცესებში. გამოფენაზე ასევე შესაძლებელია ვანის ცნობილი ბრინჯაოს ჭაბუკის ტორსის ნახვა, რომელიც ელინისტური ეპოქის ე.წ. კლასიცისტური ქანდაკების ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშადაა აღიარებული; რომთან, ასევე სასანიდურ ირანთან ქართლის (იბერიის) სამეფოს მჭიდრო სავაჭრო და კულტურული ურთიერთობების დამადასტურებელ მრავალფეროვან მასალასთან ერთად წარმოდგენილია რომაული ყოფის ამსახველი სხვადასხვა ნივთი.

ექსპოზიცია ლოგიკურად სრულდება თანამედროვე დედაქალაქის ფარგლებში აღმოჩენილი იმ არქეოლოგიური მასალით, რომელიც აქ ენეოლითიდან გვიანანტიკურ ხანამდე უწყვეტი ცხოვრების კვალს მოწმობს. თავისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ეს ტერიტორია ათასწლეულების განმავლობაში ევრაზიის კულტურათა გზაჯვარედინს წარმოადგენდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ერთიანი ქართული კულტურის ჩამოყალიბებაში. ახალი აღმოჩენებიდან აღსანიშნავია ცვარათი შემკული ოქროს საყურეები თრელის სამაროვნის ადრერკინის ხანის ერთ-ერთი მდიდრული სამარხიდან, რომლებიც ამ ეპოქის ადგილობრივი ოქრომჭედლობის ტიპური ნიმუშებია; გლადიატორისა და ლომის ბრძოლის ამსახველი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც რომაული პლასტიკის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშადაა მიჩნეული.

სიმბოლურია, რომ ექსპოზიცია საზეიმოდ გაიხსნა ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში. ქართული არქეოლოგია, რომლის მთავარ მისიად რჩება ეროვნული კულტურის როგორც მსოფლიო ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილის მაღალ მეცნიერულ დონეზე წარმოჩენა, მისი ფუძემდებლის, დიდი ექვთიმე თაყაიშვილის ტრადიციებს აგრძელებს. ■



ცხენის აღკაზმულობის დეტალები. მინა. ფევრეშო ძვ. წ. V–IV სს.

საწოლის დეტალი. ბრინჯაო. დედოფლის გორა ახ. წ. I ს.



პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში

გამოფენა > ეკა კიკნაძე

გასული საუკუნის 50-იანი წლებისთვის თანამედროვე ქართულ დაზგურ მხატვრობას ერთი მხრივ ხანმოკლე, მეორე მხრივ კი პიროვნებებით, ძიებებითა და მიგნებებით მდიდარი ისტორია აქვს. უკან არის დარჩენილი XIX საუკუნის დასაწყისიდან ქართული მხატვრობის ჩამოყალიბების პირველი ეტაპი, „თბილისური პორტრეტული სკოლის“ სახელით ცნობილი და ისეთივე მულტიკულტურული გავლენებით მოცული, როგორიც ყოველთვის იყო თბილისის შემოქმედებითი გარემო; შემდგარია პროფესიული მხატვრობის პირველი წარმომადგენლების გამოსვლა ასპარეზზე; შემდეგ, ერთი მხრივ გიგო გაბაშვილის შემოქმედება რუსული ფერწერის მისეული ინტერპრეტაციით, მეორე მხრივ კი ფიროსმანაშვილი, შუა საუკუნეების ქართული ფრესკისა და XX საუკუნის მოდერნიზმის გენიალური სინთეზით; მოსე თოიძის ინტერესი ევროპელი მხატვრების ძიებების მიმართ; განვლილია ქართველი მოდერნისტების პირველი და უკანასკნელი თაობის დრამატული შემოქმედების არსობრივი ეტაპები; წარსულში რჩება 30-40-იანი წლების მხატვრობაში სოცრეალიზმის ე.წ. მხატვრული მეთოდის უალტერნატივო ბატონობა და, მის საპასუხოდ, 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება პოსტსტალინური ლიბერალიზაციის ეტაპზე ასპარეზზე გამოსული ახალგაზრდა მხატვრების მიერ მოხდენილი ფერწერული „რევოლუცია“.

გურამ ქუთათელაძე. „პეიზაჟი“

ხელოვნებაზე ტოტალური კონტროლის პროცესი, ისევე როგორც ნაცისტურ გერმანიაში, საბჭოთა კავშირშიც ლიტერატურიდან დაიწყო და შემდეგ სახვით ხელოვნებაზე გავრცელდა. 1932 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ გამოსცა „დადგენილება ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ“. ეს დადგენილება მცირე სახელოვნებო გაერთიანებების გაუქმებასა და პროფესიული ნიშნით ერთიანი კავშირების შექმნას გულისხმობდა. 1933 წელს დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს მხატვართა კავშირი. კავშირი კადრებისა და იდეოლოგიის ცენტრალიზებას და მათ მკაფიო მართვას გულისხმობდა. ამ ფორმით სახვითი ხელოვნება სახელისუფლებო იდეების აგიტაცია-პროპაგანდის მნიშვნელოვან იარაღად გადაიქცა. საბჭოთა მხატვრისთვის ერთადერთ დაშვებულ მეთოდად სოციალისტური რეალიზმი განისაზღვრა და მისი პრინციპები ხელოვანისთვის ისეთივე უზენაესი გახდა, როგორც მოქალაქისთვის სისხლის სამართლის კოდექსი.

საბჭოთა მხატვარს ცენზურის მიერ მკაფიოდ ჰქონდა განსაზღვრული რა უნდა დაეხატა და როგორ. სოცრეალისტური მხატვრობის მთავარი გმირები პარტიის გაიდეალებული ბელადები იყვნენ; მათ გვერდით – მშრომელი საბჭოთა ადამიანი, რომელიც კოლმეურნეობაში, ქარხანაში, რკინიგზასა თუ ელექტროსადგურზე მომღიმარი სახით იღწვოდა სოციალიზმის მშენებლობისთვის და კოლექტიური შრომის სიდიადეს ასხამდა ხოტბას; ბელადებისა და შრომის განდიდების გვერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა „სოციალისტურ სამოთხეში“ მცხოვრები ბედნიერი საბჭოთა მოქალაქის ყოფის ასახვას. არსებულ თემატიკას 40-იანი წლების დასაწყისიდან II მსოფლიო ომის გმირების, განადგურებული მტრისა და ბრძენი გენერლებით მართული უძლეველი საბჭოთა არმიის თემა შეემატა.

ამგვარი ყალბი პათოსით გაჟღენთილი თემატიკა ნატურალიზმამდე დასული რეალისტური და თხრობით-რეალისტური მანერით უნდა ყოფილიყო გადმოცემული. სოცრეალიზმის უმკაცრესი ფორმით დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმ ფაქტმაც, რომ 30-იანი წლე-

ედმონდ კალანდაძე. „საცხოვრებელი სახლები თბილისის ზღვასთან“

ჯიბსონ ხუნდაძე. „ლურჯი მთა“

ბის დასაწყისიდან საბჭოთა მხატვარი „რკინის ფარდით“ იყო იზოლირებული დასავლურ მხატვრობაში მიმდინარე პროცესებისგან, სადაც ამასობაში მოდერნიზმმა განვლო და პოსტმოდერნისტულ ეტაპს დაედო საფუძველი. ამ დროს საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გემანიაში რეალიზმიდან მცირეოდენი გადახვევაც კი ოფიციოზის მიერ „ფორმალიზმად“ და „დეგენერატულ მხატვრობად“ ირაცხებოდა, ხოლო „ურჩი“ ხელოვანი პოლიტიკური დევნისა და რეპრესიის მსხვერპლი ხდებოდა. სოცრეალისტურმა მანერამ ვულგარიზაციის პიკს 30-იან-40-იან წლებში მიაღწია. ბუნებრივია, ქართველი მხატვრების ყველა თაობაში იყვნენ ადამიანები, რომელნიც ფასეულ ხელოვნებას ქმნიდნენ, თუმცა ამ პერიოდში ერთეულებმა თუ შეძლეს მხატვრული საწყისისა და რანგის შენარჩუნება.

1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა იოსებ სტალინი. სამი წლის შემდეგ, 1956 წელს, XXI ყრილობაზე კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, ნიკიტა ხრუშჩოვმა, ისტორიულ სიტყვაში საჯაროდ დაგმო პიროვნების კულტი. ეს მოვლენა საფუძვლად დაედო ათწლიან პერიოდს 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რომელსაც ისტორიკოსები „დათბობის ხანას“ უწოდებენ. პოლიტიკაში „დათბობა“ რეჟიმის შედარებით ლიბერალიზაციასა და რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციაში, ხოლო ხელოვნებაში – უმკაცრესი ცენზურის მცირედ შესუსტებაში გამოიხატა, რამაც მაშინვე პოვა ასახვა ქართველი მხატვრების ახალი თაობის შემოქმედებაში.

1950-იანი წლების II ნახევრიდან ასპარეზზე გამოსულმა ახალგაზრდა მხატვრებმა დამოუკიდებლად მუშაობის პირველივე წლებიდან ნახატში თუ ფერწერაში წინა პლანზე მხატვრული ენის სპეციფიკა წამოწიეს. მათ უარი თქვეს „ლაკირებული“ რეალობის ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახვაზე, თხრობით-სიუჟეტურ სურათებზე; დაინტერესდნენ იმპრესიონისტული და პოსტიმპრესიონისტული ფერწერის,

თენგიზ მირზაშვილი. „საღამო“

კოლაჟის, აბსტრაქციის გააზრებით, რითაც მხატვრული რეალობის არსობრივი რეფორმირება მოახდინეს და ქართული მხატვრობის ახალ ეტაპს ჩაუყარეს საფუძველი.

50-იანელთა თაობის მთავარმა ფიგურებმა ინდივიდუალური (და არა ცენზურის მიერ დაკანონებული) მხატვრული ძიებებით გამოჩენისთანავე მიიპყრეს საზოგადოების ყურადღება, პალიტრაში კი საბჭოთა მხატვრობისთვის უჩვეულოდ სუფთა, ინტენსიური ფერი აქციეს დომინანტად. ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგმა ორმოცდაათიანელების ერთ-ერთი პირველი გამოფენის ნახვის შემდეგ თქვა: „მიხარია, რომ ყავისფერმა საღებავებმა დასტოვეს ეს კედლები და მასზე ნამდვილი ფერები აელვარდნენ“.

თუმცა, კრიტიკა ყოველთვის ამგვარად კეთილგანწყობილი არ იყო ახალგაზრდა მხატვრების მიმართ. 50-იან წლებში საბჭოთა კავშირში არსობრივად არაფერი შეცვლილა. მოქალაქეებზე პოლიტიკური წნეხი შენარჩუნდა; საზღვრები კვლავ „რკინის ფარდით“ იყო ჩაკეტილი და გარე სამყაროსგან მკაცრი იზოლაციის ფაქტორი მოქმედებდა; ხელოვნება ისევ ცენტრალიზებულად იმართებოდა და პროპაგანდისტული ფუნქცია ჰქონდა; საბჭოთა მხატვრის მთავარ მოთხოვნად დარჩა პროპორციულ სისტემაზე დამყარებული რეალისტური ნახატი და ფერწერა. 50-იანელთა თაობის არაერთმა წარმომადგენელმა საკუთარ თავზე გამოცადა ფორმალიზმსა და ექსპერიმენტატორობაში ბრალდება, სამხატვრო აკადემიიდან გარიცხვა, მკაცრი კრიტიკა. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ხელოვნებაში არსებული სტაგნაცია სწორედ მათი ასპარეზზე გამოსვლით დასრულდა.

მნიშვნელოვანი სტიმული ახალი თაობის მხატვრული აზროვნებისთვის ლადო გუდიაშვილის 1957 წლის 14 მაისს გამართული გამოფენა იყო, რომლის გახსნა ცენზურის გადაწყვეტილებით აიკრძალა, მაგრამ გალერეასთან შეკრებილმა ხალხმა ძალით შეაღო დარბაზის კარი. ასევე, უფროსი თაო-

ჟანგო მეძმარიაშვილი. „აფიშების გამკვრელი“

ალექსანდრე ბანძელაძე. „აბსტრაქცია“

ბის სხვა მხატვრების – ვალენტინ შერპილოვის, ალექსანდრე ციმაკურიძის, დავით კაკაბაძის, ალექსანდრე ბაუბეუქ-მელიქოვის, დავით გაბაშვილის თუ სხვათა შემოქმედება, რომელთაც სოცრეალისტური მანერის ტოტალური ბატონობის პერიოდშიც შეძლეს მაღალმხატვრული დონის შენარჩუნება.

ამ ძირითადმა ფაქტორებმა განაპირობა ქართულ მხატვრობაში ორმოცდაათიანელთა მიერ მოხდენილი უდიდესი ცვლილება, რომელიც ფერწერულ საფუძვლად დაედო შემდგომი თაობების მხატვრულ აზროვნებას.

2014 წლის 24 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში გაიხსნა გამოფენა ,,პოსტსტალინური ლიბერალიზაცია ქართულ მხატვრობაში", რომელიც 50-იანი წლების თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებასა და მათ მიერ ქართულ მხატვრობაში მოხდენილ რეფორმას გვიჩვენებს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და კერძო კოლექციებში დაცული ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, აგრეთვე ავტორთა მიერ სხვადასხვა წლებში ილუსტრირებული წიგნები. დამთვალიერებელს აგრეთვე საშუალება აქვს, გაეცნოს საინფორმაციო მასალას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული არქივებიდან.

გამოფენაზე წარმოდგენილია ისეთი ცნობილი ავტორების ნამუშევრები, როგორებიც არიან: ედმონდ კალანდაძე, ჯიბსონ ხუნდაძე, ზურაბ ნიჟარაძე, ალექსანდრე ბანძელაძე, დიმიტრი ერისთავი, თენგიზ მირზაშვილი, გურამ ქუთათელაძე, ლეოპოლდ ძაძამიძე, რევაზ თარხან-მოურავი, ლევან ცუცქირიძე, ჟანგო მეძმარიაშვილი, მიხეილ ხვიტია, ალბერტ დილბარიანი, ლევ ბაიახჩევი, გოგი ოჩიაური, ავთო ვარაზი, ვალენტინ შერპილოვი, ზურაბ ლეჟავა, უჩა ჯაფარიძე, თამარ აბაკელია, კორნელი სანაძე, რობერტ სტურუა, დავით კაკაბაძე და ლადო გუდიაშვილი. ■



ზურაბ ნიჟარაძე. „ლალი კანდელაკის პორტრეტი“

ქტიტორი ეპისკოპოსი გერასიმე ჩხეტისძე. XVI სსაუკუნის 20-იანი წწ.
წმ. გიორგის ეკლესია. ტაბაკინი, იმერეთი. გ. ხმალაძის ასლი. 1913 წ. ტილო, ზეთი.
169 x 171 სმ.

ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი

გამოფენა

ნინო ჩიხლაძე

2013 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავი მნიშვნელოვანი ღონისძიებებით აღნიშნა. მათ შორის იყო შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მოწყობილი გამოფენა „ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი“, რომელზედაც შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობისა და მოზაიკის მრავალრიცხოვანი ნიმუში იმავდროულად მათი შესწავლისა და გადარჩენის ასწლოვან ისტორიას წარმოადგენდა.



1916 წ. სოფელი ავლევი. ნაბახტევის მოხატულობის ასლებზე მომუშავე მხატვრები. სხედან: გიორგი ერისთავი, მიხეილ ჭიაურელი, მოსე თოიძე; დგანან: დიმიტრი შევარდნაძე, მასპინძლის მეუღლე ქეთევან ამირეჯიბი, ახალგაზრდა ირაკლი თოიძე და ლადო გუდიაშვილი

ამ ისტორიას საფუძველი ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაუყარა მის მიერ დაარსებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაკვეთით შექმნილი ქართული ფრესკის ასლების პირველი კოლექციით, რომელსაც წლების განმავლობაში აკეთებდნენ მხატვრები ქრისტინ კრონი, ჰენრიკ ჰრინევსკი, თეოდორე კიუნე, გიორგი ხმალაძე, სერგი პოლტორაცკი, აკოფ გარიბჯანიანი, ალექსეი ეისნერი და, მათ შორის, ახალგაზრდა დავით კაკაბაძე. დიდი წამოწყების პირველი ნაბიჯები ცოცხლდება საზოგადოების 1913 წლის ანგარიშის თუნდაც ერთ ფურცელში, საიდანაც ვიგებთ, რომ „საბჭოს მინდობილობით თავმჯდომარე ე. თაყაიშვილმა და საბჭოს მიერ საგანგებოდ მოწვეულმა მხატვარ-ფოტოგრაფმა კიუნემ გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიის სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურეს, დაათვალიერეს მონასტრები, გადმოიღეს ფოტოგრაფიული სურათები ნივთებისა, ფრესკებისა და ეკლესიის გეგმები. მოგზაურობის დროს გადმოღებული მარტო ფოტოგრაფიული სურათების რიცხვი ოთხასორმოცდაათს აღემატება. ამას გარდა, მდივანმა ს. გორგაძემ ახალგაზრდა მხატვრის, გიორგი ხმალაძის თანხლებით განმეორებით ინახულა ტაბაკინის მონასტერი (შორაპნის მაზრაში), რომლის კედლიდანაც მხატვარმა გადმოიღო საზოგადოების მუზეუმისათვის ქუთათელი მიტროპოლიტის გერასიმე ჩხეტიძის (ტაძრის განმაახლებლის) სურათის პირი, ხოლო საბჭოს წევრმა ირ. სონღულაშვილმა ნორვეგიელ მხატვარ ქრისტ. კრონთან ერთად ინახულა ბეთანიის მონასტერი (ტფილისის მახლობლად), რომლის კედლიდანაც მხატვარმა გადმოიღო ცნობილი ჯგუფი: თამარ დედო-

აკვანი „ღვთისმშობლის შობის“ სცენიდან. XIII საუკუნის დასაწყისი. ღვთისმშობლის ეკლესია. ახტალა, ისტორიული ლორე, სომხეთი. ტ. შევიაკოვას ასლი. 1945 წ. ქაღალდი, ტემპერა. 12,5 x 16 სმ.

ფრაგმენტი „ჯვარცმის“ სცენიდან. 1172 წ. მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია. იკორთა, ცხინვალის ოკუპირებული რეგიონი. ტ. შევიაკოვას შემცირებული ასლი. 1951 წ. ქაღალდი, ტემპერა. 17 x 12,8 სმ.

გიორგი ლიპარტიან-ჩიქვანის ოჯახის საქტიტორო კომპოზიცია. XVII საუკუნის 80-იანი წწ. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. მარტვილი, სამეგრელო. მ. მიქელაძე-ბაგრატიონის ასლი. 1937 წ. ტილო, ტემპერა. 214 x 189 სმ.

ფალი, მისი მამა და ძე ლაშა გიორგი და რამდენიმე სხვა სურათიც... საბჭოსავე მინდობილობით ახალგაზრდა მხატვარმა დავ. კაკაბაძემ ნაყურალეშის ეკლესიის (ლეჩხუმი) კედლებიდან გადმოიღო ორი დიდი მხატვრობა ჩიქოვანთა (დადიანთა) წინაპრებისა. იმავე დროს მხატვარი მოსე თოიძე მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საზოგადოების მუზეუმისთვის საეთნოგრაფიო სურათების დასამზადებლად.“

1916 წლიდან საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წამოწყებას შეუერთდნენ გერმანიაში განსწავლული მხატვრისა და შემდგომ დიდი საზოგადო მოღვაწის, დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით შექმნილი ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წევრები: ლადო გუდიაშვილი, მოსე და ირაკლი თოიძეები, გიორგი ერისთავი, მიხეილ ჭიაურელი და შალვა ქიქოძე. შეგროვებული მასალის საფუძველზე ორი საზოგადოების ძალისხმევით 1917 წლის 8 იანვარს დღევანდელი ეროვნული გალერეის დარბაზებში გაიხსნა ქართული ფრესკის ასლების გამოფენა, რომელიც საზოგადო მოღვაწეებმა ივანე ჯავახიშვილმა, გერონტი ქიქოძემ, ირადიონ სონღულაშვილმა იმთავითვე შეაფასეს ეროვნული ენერგიის გამოღვიძების ახალ ეტაპად და ქართული კულტურის ყველაზე მასშტაბურ ღონისძიებად. შეფასება დამთვალიერებელთა (9000-ზე მეტი) არნახულმა ინტერესმაც დაადასტურა.

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს მონუმენტური მხატვრობის ასლებზე მუშაობაში ერთვებიან ქეთევან მაღალაშვილი, ვალერიან სიდამონ-ერისთავი, სევერიან მაისაშვილი, შალვა აბრამიშვილი და პეტერბურგიდან საგანგებოდ მოწვეული მხატვარი-კოპიისტები ლიდია დურნოვო, ბორის შევიაკოვი, ტატიანა შევიაკოვა, ნატალია ტოლმაჩევსკაია და სხვები. ისინი ასლი-ფაქსიმილეს შექმნის რთულსა და შრომატევად ტექნოლოგიას იყენებდნენ. თუმცა, პეტერბურგელი სპეციალისტების მოწვევის მიზეზი მხოლოდ ფრესკის ასლის დამზადების ახალი ტექნოლოგიის შესწავლა-გაზიარება არ ყოფილა. მათთან ერთად დაიწყო მზადება შუა საუკუნეების ქართული კულტურის პირველი დიდი ევროპული გამოფენისთვის. 1930 წლის ზაფხულში გერმანიის ქალაქებში ქართული ოქრომჭედლობის, ნაქარგობისა და ხატწერის ნიმუშებთან ერთად ფრესკების ასლების მდიდარი კოლექციაც გამოიფინა.

ქართული მონუმენტური მხატვრობის ასლების შექმნაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ტატიანა შევიაკოვასა და სოფიო მირზაშვილს, რომელთა მრავალრიცხოვანი ნამუშევრები დედნებთან მსგავსების უტყუარი სიზუსტითა და დახვეწილი ოსტატობით გამოირჩევა. ტატიანა შევიაკოვას შეს-



ინტერიერის ნაწილი. XIII საუკუნის 10-იანი წლები.
სატრაპეზოს ნიში. ბერთუბანი. დავითგარეჯი,
აზერბაიჯანი. ე. ლანსერეს ჩანახატი. 1921 წ.
ქაღალდი, აკვარელი. 51 x 34 სმ.

გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III-ის მემორიალური პორტრეტი და გვიანი შუა საუკუნეების ქტიტორები: მარეხ დეუფალთ დეუფალი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი. XIV საუკუნის მეორე ნახევარი. ღვთისმშობლის ეკლესია. ბედია, აფხაზეთის ოკუპირებული რეგიონი. შ. აბრამიშვილის ასლი. 1939 წ. ქაღალდი, ტემპერა. 274 x 384 სმ.

რულებული აქვს ასლი-რეკონსტრუქციის მაგალითებიცა და ორნამენტული დეკორისა თუ სხვადასხვა დეტალების უმშვენიერესი შემცირებული ჩანახატებიც. მონუმენტურ მხატვრობაში დაცულ ისტორიულ პირთა პორტრეტების მდიდარი გალერეა კი ლოზანასა და პარიზში განათლებამიღებული, გიგო გაბაშვილის საყვარელი მოწაფის, მერი მიქელაძე-ბაგრატიონის 30-იან წლებში შესრულებული ასლებით შემოგვრჩა.

ეროვნულ მუზეუმს მოზაიკური მხატვრობისა თუ ფრესკების დედნების გადარჩენის ტრადიციაც უკავშირდება, რაც 30-იანი წლების დასაწყისში დიმიტრი შევარდნაძის თაოსნობით წრომის ეკლესიის VII საუკუნის მოზაიკური ფრაგმენტებისა და ნაბახტევის XV საუკუნის ფრესკების ნაწილის სამუზეუმო სივრცეში გადმოტანით და-

იწყო. XX საუკუნის 60-70-იან წლებში პროფესიონალი და გამბედავი სპეციალისტების, ნუგზარ ალხაზაშვილის, ოთარ თორთლაძის, თეიმურაზ და შალვა აბრამიშვილების, კარლო ბაკურაძის ძალისხმევით გადარჩა დავითგარეჯის ბერთუბნის XIII საუკუნის დასაწყისის კედლის მხატვრობის ნაწილი, ხოლო 1950-იან წლებში აფხაზეთში, ბიჭვინთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კომპლექსის V-VI საუკუნეების იატაკის მოზაიკური მხატვრობის ფრაგმენტებს თეიმურაზ თოდუას ოსტატურად დამონტაჟებული ექსპონატების წყალობით ვიცნობთ.

დასაღუპად განწირული ფრესკების გადარჩენის ღირსეული მაგალითია 1996-2007 წლებში ხელოვნების ისტორიის მკვლევრის, ზაზა სხირტლაძის თაოსნობით ჩატარებული „თეთრი უდაბნოს“ VII-VIII საუკუნეების მხატვრობის მოხსნისა და მუზეუმში დამონტაჟების ღონისძიებანი, რომლებიც მერაბ ბუჩუკურისა და ამირან გოგლიძის რესტავრატორთა ჯგუფების საშუალებით განხორციელდა. მსგავსი მაგალითი დღეს მით უფრო დასაფასებელია, რადგან დროის გამოწვევებმა გაუბედავი მოქმედებისა და უპატიებელი დაგვიანების გამო უკვე დაგვაკარგვინა XII-XIII საუკუნეების მხატვრობის მნიშვნელოვანი ნიმუშები ყანჩაეთის კაბენში, დირბის წმ. გიორგის ეკლესიაში და ბევრ სხვაგანაც. დღეს ეროვნულ მუზეუმში დაცული ქართული ფრესკის უნიკალური კოლექცია, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის მხატვარ-კოპიისტთა რამდენიმე თაობას, ბევრ ისეთ ასლსაც ინახავს, რომელთაც ორიგინალის დაღუპვის, ძლიერი ცვლილების ან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიუწვდომლობის გამო დედნების მნიშვნელობა მიენიჭა. თუმცა, უმთავრესი მაინც ისაა, რომ მათი ერთობლიობა შუა საუკუნეების მდიდარი ქართული კულტურის, მხატვრულ სტილთა და სკოლათა მრავალფეროვან სურათს გადმოსცემს. ამის ერთად ხილვა კი მხოლოდ სამუზეუმო სივრცეშია შესაძლებელი.

2014 წელს გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატთა საფუძველზე შედგა და გამოსაცემად მომზადდა ამავე სახელწოდების კატალოგი, რომელიც ფართო საზოგადოებას გააცნობს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცულ, ქართული მონუმენტური მხატვრობის ამსახველ მრავალმხრივ საყურადღებო, მეტწილად დღემდე გამოუქვეყნებელ 300-მდე არტეფაქტს, რომელთა გათვალისწინების გარეშეც, ვფიქრობთ, შეუძლებელია არა მხოლოდ შუა საუკუნეების ქართული კულტურის, არამედ საერთოდ ქართული კულტურის სრული სურათის წარმოდგენა. ■



დიმიტრი ერმაკოვი
ფოტოგრაფი და კოლექციონერი

პუბლიკაცია > ნათია ლიქოკელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმისთვის 2014 წელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაციით აღინიშნა. ინგლისურენოვანი კატალოგი „დიმიტრი ერმაკოვი – ფოტოგრაფი და კოლექციონერი“ დაგვირგვინებაა საერთაშორისო ქართულ-ნიდერლანდური პროექტისა, რომელიც 2000 წელს დაიწყო. პროექტის ფარგლებში, რომელიც ფონდ „ჰორაიზონთან“ (ჰოლანდია) და როტერდამის ფოტომუზეუმთან ერთად განხორციელდა, მოწესრიგდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოარქივი, მოხდა ფონდების სრული კატალოგიზაცია, ნამუშევრებს ჩაუტარდა რესტავრაცია, მოეწყო დიმიტრი ერმაკოვის ნამუშევრების არაერთი გამოფენა და სხვა.

კატალოგი, რომელშიც შესულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქივში დაცული უნიკალური ფოტომასალა, პირველი მცდელობაა საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების სრული ისტორიის წარმოდგენისა. შესავალში გამოყენებულია ფოტომასალა ეროვნული არქივის, აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის, დიმიტრი ერმაკოვის შვილიშვილის, მილიტრისა დავიდოვას, ემანუელ სევრიუგინის, გიორგი გერსამიას და არჩილ დარჩიას კოლექციებიდან. ■







სვანეთის მუზეუმის კატალოგი

პუბლიკაცია > სალომე გურული

2014 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გამოსცა სვანეთის განახლებული მუზეუმის ექსპოზიციის კატალოგი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლა, ეკლესიებში დაცული ხელოვნების ნიმუშების აღწერა XIX საუკუნეში დაიწყო. მას შემდეგ სვანეთის ძეგლებს ქართველ მეცნიერთა სხვადასხვა თაობის არაერთი ნაშრომი მიეძღვნა.

გარდა იმისა, რომ კატალოგში ასახული მასალის ნაწილი პირველად გამოიცა, აღსანიშნავია ისიც, რომ მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება ასეთი მრავალფეროვნებით იხილოს საუკუნეების განმავლობაში სვანეთში შემონახული ის უნიკალური ნიმუშები, რომლებიც მსოფლიო საგანძურის ნაწილს წარმოადგენს და სვანეთის მუზეუმშია დაცული. მუზეუმის არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, ეთნოგრაფიული, შუა საუკუნეების ხელოვნებისა და ხელნაწერების კოლექციების საუკეთესო ნიმუშები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა დალაგებული.

ახლადგამოცემული კატალოგის მიზანია, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახადოს ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა როგორც სპეციალისტების, ასევე დაინტერესებული მკითხველისთვის და ხელი შეუწყოს მის შემდგომ კვლევას. ■

გარდამოხსნა. კომპოზიცია „ქრისტეს დატირება“. საჩხერე. ცენტრალური სცენა XIV ს., წარწერა 1510-1565 წწ.

ქართული ნაქარგობისა და ქსოვილის კოლექცია

პროექტი > მარიამ გველესიანი

ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათგან შედარებით ნაკლებ შესწავლილი და ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ქართული ნაქარგობაა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ქსოვილისა და ნაქარგობის ფონდშია დაცული.

ენქერი. კომპოზიცია „სულიწმინდის მოფენა“
აღმოსავლეთ საქართველო
XVII საუკუნის II ნახევარი

კოლექციის შეგროვება XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და წერა-კითხვის გამავრცელებელი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებების მოღვაწეობას უკავშირდება. მოგვიანებით იგი საეკლესიო მუზეუმისა და კერძო პირთაგან შეწირული, ასევე მუზეუმის მიერ შეძენილი ექსპონატებით შეივსო, რომელთა გარკვეული ნაწილი ექვთიმე თაყაიშვილმა და გიორგი ბოჭორიძემ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოწყობილი ექსპედიციების შედეგად მოიპოვეს. ნაქარგობის ნიმუშთა რაოდენობა ფონდში ხუთი ათასს აღემატება. კოლექცია ტიპოლოგიურად ორ ძირითად ჯგუფადაა გაყოფილი: 1. საეკლესიო – ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი ნივთები და სასულიერო პირთა სამოსი და 2. საერო დანიშნულების ნივთები.

ქართული ნაქარგობის ოსტატებმა, რომელთა დიდ ნაწილს დიდგვაროვანი მანდილოსნები წარმოადგენდნენ, ხელსაქმის მრავალფეროვან ტრადიციაში ჩააქსოვეს შემოქმედებითი ფანტაზია, რელიგიური მსოფლაღქმისა და უნატიფესი ფერწერული აზროვნების მაღალი კულტურა, დახვეწილი გემოვნება და შექმნეს ეროვნული თავისებურებებით გაჯერებული მსოფლიო დონის ხელოვნების ძეგლები. ეს ის შემთხვევაა,

მიტრა. აღმოსავლეთ საქართველო
XVI საუკუნის ბოლო - XVII საუკუნის დასაწყისი

გარდამოხსნა. კომპოზიცია „ქრისტეს დატირება“. წილკანი, 1686 წ.

როდესაც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები თავიანთი მაღალმხატვრულობით სცილდება ლოკალურ საზღვრებს და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი ხდება.

1979 წლიდან – მას შემდეგ, რაც ქსოვილისა და ნაქარგობის ფონდი ხელოვნების მუზეუმის საგანძურის განყოფილებას გამოეყო, კოლექციისთვის გამოიყო ცალკე საცავი, მაგრამ იქ არსებული მოძველებული ხის კარადების მცირე რაოდენობა ვერ უზრუნველყოფდა სამუზეუმო ექსპონატთა წესისამებრ განთავსებას. ნაქარგობის ასობით ნიმუში, რომელთა უმრავლესობა ძვირფასი ქვებითაა შემკული, ერთმანეთზე მჭიდროდ დაწყობილი და დაკეცილი ინახებოდა, რაც ქარგვისას გამოყენებული ოქროსა და ვერცხლის ძაფის სიმყიფის გამო მათ იოლად ტყდომადაზიანებას განაპირობებდა.

*

2006 წელს, აშშ-ს საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროექტთა კონკურსში – „ელჩის ფონდი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენახვისა და კონსერვაციისათვის“ საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა წარადგინა პროექტი, რომელიც შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების კოლექციის დაცვა-შენახვასა და კონსერვაციას ითვალისწინებდა. პროექტი 2006-2008 წლებში განხორციელდა, რის შედეგადაც ექსპონატები განთავსდა ქსოვილების შენახვის ნორმების დაცვით შექმნილ ახალ სათავსოებში – რკინის საცავ კარადებში. მოხდა ექსპონატების მონაცემთა ბაზის გადაყვანა ციფრულ ფორმატში, ჩატარდა საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები და სიცოცხლე შეუნარჩუნდა ნაქარგობის ასობით უნიკალურ ნიმუშს. 2008 წლის ივნისში ხელოვნების მუზეუმში გაიმართა ნაქარგობისა და ქსოვილის კოლექციის გამოფენა „მოვქარგე ესე დიდება“, სადაც ექსპონატების გარდა წარმოდგენილი იყო ასევე საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაო პროცესის ამსახველი ფოტოსურათები. გამოფენამ, რომელზეც ასე მასშტაბურად პირველად იყო წარმოდგენილი ქართული ნაქარგობის კოლექცია, საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. მას მოჰყვა კატალოგის და, შემდეგ, ორი ილუსტრირებული მონოგრაფიის, საგანმანათლებლო ბუკლეტების და ბარათების გამოცემაც, რამაც სრული სისავსით წარმოაჩინა ქართული ხელოვნების ამ დარგის მნიშვნელობა და მისი მაღალმხატვრული და ისტორიული ღირებულება. ■

საკოსი. კომპოზიცია „ათორმეტი დღესასწაული“
იმერეთი, XVIII საუკუნის I ნახევარი

* ომოფორის მოსართავი. წმ. იოანე ნათლისმცემელი. XVIII საუკუნე

ქართული ეროვნული სამოსი

პროექტი > იზოლდა მელიქიშვილი

საქართველოს ეროვნულ მუზეუმს და კომპანიას „სამოსელი პირველი“ დიდი ხნის მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებთ. სწორედ ამ თანამშრომლობის შედეგია წიგნი „ქართული ეროვნული სამოსი“, რომელიც წარმოგვიდგენს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცულ XVIII-XIX საუკუნეების საქართველოს ყველა კუთხის საერო სამოსს, აქსესუარებს, ნაქარგობის ბრწყინვალე ნიმუშებს, ასევე საქართველოს რეგიონული მუზეუმების ექსპონატებსა და საოჯახო თუ კოლექციონერთა არქივებში დაცულ XIX საუკუნის ფოტოსურათებს, რომლებზეც აღბეჭდილნი არიან ქართულ სამოსში გამოწყობილი სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ კუთხის წარმომადგენლები. წიგნი თანმიმდევრულად გვიყვება ქართული სამოსის ისტორიას და სრულ წარმოდგენას გვიქმნის ძველ ქართულ ტრადიციებზე აღმოცენებული, ტექნიკურად უზადო და დახვეწილი ფერადოვანი გამით შესრულებული ქართული სამოსის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ამ წიგნის მეშვეობით კოსტიუმის სპეციალისტებს (დიზაინერებს, მქარგველებს, ხელოვნებათმცოდნეებს) საშუალება ეძლევათ დღეს უკვე მრავალ სახელოსნოსა თუ კერძო ოსტატთა მიერ შექმნილი სამოსი შეადარონ ძველს, პარალელი

გაავლონ ძველსა და ახალს შორის და დაინტერესდნენ ეროვნული ტრადიციების აღორძინებით თანამედროვე ქართულ დიზაინერულ სამოსში.

ამავე პროექტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გამოფენის მოწყობა, სადაც წარმოდგენილი იქნება სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ და შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილის ფონდებში დაცული საქართველოს სხვადასხვა კუთხის ქალისა და მამაკაცის – ქართლ-კახეთ-ჰერეთის, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთის, მთიულეთისა და ხევის, გურია-სამეგრელო-აჭარის, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მრავალფეროვანი სამოსისა და აქსესუარების უნიკალური ნიმუშები. ექსპოზიცია მნახველს წარმოდგენას შეუქმნის იმაზე, თუ როგორ შექმნეს ჩვენმა წინაპრებმა კლიმატურ-გეოგრაფიული თუ სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით ფუნქციურად მრავალფეროვანი და, იმავდროულად, მხატვრული და ტექნიკური თვალსაზრისით დახვეწილი სამოსი.

გამოფენასთან ერთად დაგეგმილია სხვა შემეცნებით-სანახაობრივი სახის ღონისძიებები. პროექტის მონაწილეები ჩაატარებენ ლექცია-საუბრებს ექსპოზიციაზე წარმოდგენილი მასალის შესახებ, მომზადდება სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა – ეროვნული მუზეუმის სააქტო დარბაზში პროექტის მონაწილეები წაიკითხავენ მოხსენებებს სხვადასხვა თემაზე, ხოლო საგამოფენო დარბაზში მოეწყობა „სამოსელი პირველის" მიერ შექმნილი თანამედროვე ქართული ეროვნული სამოსის ჩვენება.

უნდა აღინიშნოს, რომ საერო სამოსის შესახებ ქართულ-ინგლისური საინფორმაციო-შემეცნებითი ხასიათის პირველი მონუმენტური პუბლიკაციის გამოცემა „სამოსელ პირველთან" ერთად შესაძლებელი გახდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. ■

ებრაული კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებში

პროექტი > ლელა წიწუაშვილი

ებრაული დიასპორა საქართველოში ერთ-ერთი უძველესთაგანია და ძვ.წ. VI საუკუნეში ებრაელთა მცხეთაში დასახლებას უკავშირდება. XI საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, ებრაელები საქართველოში ბაბილონელი მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ ძვ.წ. 586 წელს სოლომონის პირველი ტაძრის დანგრევის და იერუსალიმიდან ებრაელთა განდევნის შემდეგ გამოჩნდნენ და ქართლში დასახლდნენ, თუმცა ამ პერიოდის მატერიალური კულტურის ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

ებრაული დიასპორის ისტორიისა და კულტურის სამეცნიერო შესწავლას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 1933 წელს თბილისელ და ლენინგრადელ მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფის ინიციატივითა და საქართველოს ებრაელი საზოგადოების მხარდაჭერით დაარსებულ საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. თავდაპირველად იგი სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენდა და არ ჰქონდა კოლექცია. მუზეუმი ჯერ პირველი მაისის (ამჟამად გ. აბესაძის) ქუჩაზე არსებულ ებრაელთა კულტბაზის შენობაში (ახლანდელი სამეფო უბნის თეატრი) განთავსდა, ხოლო მოგვიანებით ივანიძის (ამჟამად ანტონ კათალიკოსის) ქუჩაზე მდებარე 1896 წელს აგებული ძველი სინაგოგის გუმბათიან შენობაში იქნა გადატანილი. მისი პირველი დირექტორი ა. კულიჯანოვი იყო, 1935 წლიდან – ა. კრიხელი, ხოლო 1948 წლიდან – ი. პაპისმედოვი. მუზეუმის დირექციამ თანამშრომლობისათვის ცნობილი მეცნიერები: ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩიტაია, შ. ჩხეტია, შ. ამირანაშვილი, ს. იორდანაშვილი, ლ. მელიქსეთ-ბეგი და სხვები მოიწვია. სწორედ მათი დახმარებით მომზადდა მუზეუმის ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომელთა ჯგუფი.

მუზეუმის კოლექცია 1933-1936 წლებში მოწყობილი რეგიონული სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად შეგროვდა. ექსპედიციაში მონაწილე, საგანგებოდ მოწვეული ქართველი მხატვრები ადგილზე აკეთებდნენ ებრაელთა და მათი ცხოვრების ამსახველი დეტალების ჩანახატებს და შემდეგ უკვე მუზეუმში ჩამოტანილი ნივთების საფუძველზე ქმნიდნენ ებრაული ყოფისა თუ რელიგიური და რიტუალური შინაარსის სურათებს. პირველი ექსპოზიცია „საქართველოს ებრაელთა ძველი და ახალი ყოფა“ 1937 წელს მოეწყო.

ამჟამად მუზემის სახვითი ხელოვნების კოლექციაში სხვადასხვა ავტორთა 170-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია. კოლექციის ძირითად ნაწილს წარმოადგენს თვითნასწავლი ებრაელი მხატვრის, შალომ კობოშვილისა (1876-1941) და ქართველი ფერმწერის, დავით გველესიანის (1890-1949) ნამუშევრები, რომლებშიც ყველაზე საინტერესოდ აისახა ქართველ ებრაელთა ცხოვრება.

1951 წელს მუზეუმი დაიხურა როგორც სიონიზმის კერა. 1953 წელს, სინაგოგის შენობის კონფისკაციის შემდეგ, კოლექციბი გადანაწილდა დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შე-

ოქროკაბა (ქალის საქორწილო ტანსაცმელი)
XIX ს.

სეფერთობის გვირგვინები, XIX ს.

ქალის საქორწილო ფეხსაცმელი
XIX საუკუნის მეორე ნახევარი

შადაი — ამულეტი
XIX საუკუნის მეორე ნახევარი

მავალ სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში და იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა), სადაც ისინი დღემდეა დაცული.

ებრაული კოლექციები ათწლეულების მანძილზე უცნობი იყო არა მარტო ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სპეციალისტებისთვისაც. საქართველოს ეროვნული მუზეუმის შექმნის შემდეგ განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელთა ფარგლებში აქ დაცული ებრაული კოლექციები მეცნიერულად იქნა შესწავლილი, ექსპონატების მნიშვნელოვან ნაწილს ჩაუტარდა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომზადდა საგამოფენოდ, რის შემდეგაც მოეწყო ებრაული კოლექციების ამსახველი ექვსი გამოფენა და გამოიცა ოთხი კატალოგი.

განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია 2006 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ებრაელი თვითნასწავლი მხატვრის, შალომ კობოშვილის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებული გამოფენა, რომელიც იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) მოეწყო. გამოიცა მისი ნამუშევრების სრული კატალოგი. არა მარტო შალომ კობოშვლის შემოქმედება, მისი ბიოგრაფიაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს — ებრაული ტრადიციის თანახმად, მშობლებმა მას ხატვის სწავლა აუკრძალეს. 1937 წელს მან საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დარაჯად დაიწყო მუშაობა და სამუზეუმო გარემომ უბიძგა ბავშვობის ოცნების ასრულებისკენ — მან 61 წლის ასაკში დაიწყო ხატვა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ მხოლოდ სამი წელი იცოცხლა, მოასწრო ქართველ ებრაელთა ყოფის დოკუმენტურ-ნარატიული მატიანე შეექმნა თავისი ფერწერული ტილოების საშუალებით.

იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმშივე 2008 წელს მოეწყო საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსებიდან 75 წლისა და ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებული გამოფენა „მარადიული ცეცხლი“, რომელიც ებრაული მუზეუმის კოლექციას მიეძღვნა და ქართველ ებრაელთა კულტურასა და ყოფას ასახავდა. გამოიცა გამოფენის სრული კატალოგი.

2010 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში განახორციელა პროექტი „ქართველი ებრაელები. ისტორია და კულტურა“. პროექტის ფარგლებში გამოიცა კატალოგი და მოეწყო გამოფენა, რომელიც მიეძღვნა იერუსალიმის ბენ ცვი

სინაგოგის შანდალი, XIX საუკუნის მეორე ნახევარი

შალომ კობოშვილი (1876–1941). ცეკვა საივო

დავით გვესელიანი (1890–1949). ებრაელი

ინსტიტუტის მიერ საქართველოში მოწყობილ ებრაული ისტორიის საერთაშორისო სემინარს. მანამდე წარმოდგენილი გამოფენებისგან განსხვავებით აქ, გარდა ებრაული მუზეუმის კოლექციისა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული ქართველ ებრაელთა ისტორიის ამსახველი უძველესი ექსპონატებიც იყო წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს 2012 წელს ხანუქის დღესასწაულისადმი მიძღვნილი მცირემასშტაბიანი გამოფენა, რომელსაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზმა უმასპინძლა.

დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის 80 წლის იუბილეს 2013 წელს მიეძღვნა ფართომასშტაბიანი პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოში ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით. მის ფარგლებში გამოიცა ებრაული კოლექციების ამსახველი სრული კატალოგი „ქართველ ებრაელთა კულტურული მემკვიდრეობა“, რომელშიც პირველადაა წარმოდგენილი ებრაული კულტურის ბოლოდროინდელი სამეცნიერო კვლევის და ატრიბუციების შედეგები, რელიგიური და ეთნოგრაფიული მასალა ხელახლა დათარიღდა. დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მოეწყო ფართომასშტაბიანი საიუბილეო გამოფენა, რომელზედაც მუზეუმის კოლექციის 200 ექსპონატი იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ უკვე ცნობილი ექსპონატების გარდა პირველად გამოიფინა აქამდე უცნობი ნივთები.

ებრაული კოლექციების ძირითადი ნაწილი მოწესრიგებულ იქნა ზემოხსენებული პროექტების ფარგლებში, თუმცა ჯერ კიდევ დიდი სამუშაოა ჩასატარებელი.

2014 წელს საქართველოს ეროვნულ მუზეუმისა და ბრიტანული ფონდის „Rothschild Foundation (Hanadiv) Europe“-ის თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. ერწლიანი პროექტი, რომელსაც აღნიშნული ფონდი უჭერს მხარს, ითვალისწინებს

დავით გველესიანი (1890-1949). წინადაცვეთა სინაგოგაში

ებრაული კოლექციების შემდგომ კვლევა-მოწესრიგებას, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას – ლექციათა ციკლს, რომელიც ჩაიწერება DVD-ფორმატში და ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ოქტომბერში დამთავრდა დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის რეკონსტრუქცია. საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის თანამშრომლობით მომზადდა ექსპოზიცია, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია ებრაული მუზეუმის საგამოფენო სივრცეში. გამოფენილი ექსპონატები მხოლოდ ნაწილია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ებრაული კოლექციებისა. საქართველოს ერონული მუზეუმი და დავით ბააზოვის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი კიდევ ერაერთ საინტერესო პროექტს განახორციელებს ერთობლივად. ■

დავით გველესიანი (1890-1949). პუფა

თანამშრომლობა საქართველოს რეგიონულ მუზეუმებთან



თანამშრომლობა > ნინო სულავა

საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალურ ქალაქში არის რეგიონული მუზეუმი. საბჭოთა პერიოდში შექმნილი ეს მუზეუმები უმთავრესად რეგიონის გულშემატკივარი, სიძველეების მოყვარული ადამიანების მიერაა დაარსებული, რომლებიც დიდი მონდომებით აგროვებდნენ სამუზეუმო ექსპონატებს იმ შეგნებით, რომ ქვეყნისთვის და მომავალი თაობებისათვის საჭირო საქმეს აკეთებდნენ. ექსპონატების მოძიება სიძველეების მოყვარულებისაგან კერძო შეწირულობების გზით, ზოგჯერ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმიდან კოლექციების ან მულაჟების, საქართველოს მხატვრული ფონდიდან ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გადაცემის გზით ხდებოდა; ზოგჯერ ამ რეგიონში მომუშავე არქეოლოგიური ექსპედიციები მოპოვებულ მასალას მუზეუმებში აბარებდნენ. ყოველივე ამის წყალობით რეგიონულ მუზეუმებში საინტერესო და ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი მასალა შეგროვდა.

საბჭოთა პერიოდის რეგიონული მუზეუმების უმეტესობა განთავსებული იყო მუზეუმისთვის შეუსაბამო შენობებში. რეგიონული მუზეუმები თანამედროვე ექსპოზიციით, სწორად შედგენილი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებით შეიძლება იქცეს რეგიონის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, რომელიც მოსახლეობის მუზეუმის მოწყობის საქმეში მონაწილეობით, სუვენირების დამზადებით, ადგილობრივი პროდუქტის წარმოებით და ა.შ. ხელს შეუწყობს მხარის კულტურული და ტურისტული ცხოვრების აღორძინებას და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას.

2012 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ და ცაგერის მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ცაგერის ვ. მახარობლიძის სახელობის ისტორიული მუზეუმისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი პროექტი „ცაგერის ისტორიული მუზეუმი: ლეჩხუმის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი (ფონდები, გამოფენისა და ალბომის მომზადება, საგანმანათლებლო პროგრამა)“.

მიუხედავად დროის სიმცირისა, განხორციელდა საფონდო სამუშაოები – მუზეუმის დავთრების დიგიტალიზაცია კოლექციების მიხედვით, რესტავრაცია-კონსერვაცია ჩაუტარდა ლითონის ყველა ექსპონატს, გამოფენისათვის და კატალოგისთვის შეირჩა მასალა და მომზადდა სათანადო დოკუმენტაცია. შენობის ხელახალი ზონირების საფუძველზე შესაძლებელი გახდა საგანმანათლებლო სივრცისა და ბიბლიოთეკის მოწყობა. წიგნების დიდი ნაწილი საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ცაგერის განახლებულ ისტორიულ მუზეუმს გადასცა.

პროექტი ახალი ექსპოზიციის, ახალი ალბომის, კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცისა და ბიბლიოთეკის პრეზენტაციით დასრულდა.

„ცაგერის ისტორიული მუზეუმი: ლეჩხუმის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი“ პირველი პროექტი იყო, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და რეგიონული მუზეუმის თანამშრომლობით განხორციელდა. იგი მნიშვნელოვანი იყო არა მარტო მიღწეული შედეგით, არამედ იმითაც, რომ შედგა თანამშრომლობის პირველი პრეცედენტი ქვეყნის წამყვან მუზეუმსა და რეგიონულ მუზეუმს შორის. პროექტის ლოგიკურ გაგრძელებად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების ლექციების ციკლი, რომლის ჩატარება ცაგერის მუზეუმში უახლოეს მომავალშია დაგეგმილი, ასევე ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომების კრებულის I ტომის გამოცემა ცაგერის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით. ყოველივე ზემოთქმული ხელს შეუწყობს რეგიონის წარსულით დაინტერესებული ახალგაზრდობის სამეცნიერო–ინტელექტუალური დონის ამაღლებას. კრებულის შემდეგ ტომებში ივარაუდება კონკურსის საფუძველზე უფროსკლასელებისა და სტუდენტების ნაშრომების დაბეჭდვაც.

ამ თანამშრომლობის შედეგად ჩამოყალიბდა მჭიდრო ურთიერთობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ პროექტებს. ცაგერის ისტორიულ მუზეუმთან სოფ. დეხვირში შეიქმნა არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელშიც მოექცა შუა საუკუნეების დეხვირის ციხეები, ძვ.წ. VIII-V საუკუნეების კოლხური ნასახლარის ნაშთები და ანტიკური ხანის სამაროვანი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამაროვანზე და ნასახლარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასა-

საყურე რგოლი. ოქრო. ძვ. წ. IV საუკუნის დასასრული – III ს. ცაგერის ისტორიული მუზეუმი

მურის ციხესთან აღმოჩენილი ბავშვის ქვევრსამარხის მასალა. ძვ.წ. IV საუკუნის დასასრული – III ს. ცაგერის ისტორიული მუზეუმი

ხარის ქანდაკება. ბრინჯაო. დეხვირი. ძვ.წ. VIII-VII სს. ცაგერის ისტორიული მუზეუმი

მხედრის ქანდაკება, ცაგერას განძი ძვ.წ. VIII-VII სს.ცაგერის ისტორიული მუზეუმი

ეთნოგრაფიული გამოფენა, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

სტატერი. ოქრო. ალექსანდრე მაკედონელი
(ძვ.წ. 336-323)
ცაგერის ისტორიული მუზეუმი

ჯვრები. ვერცხლი, ბზა. XVII-XVIII სს.
ცაგერის ისტორიული მუზეუმი

ლა ცაგერის ისტორიულ მუზეუმშია დაცული. დეხვირის არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ინფრასტრუქტურის შექმნაში კვლავ საქართველოს ეროვნული მუზეუმი მონაწილეობს.

2013 წლის მაისში საქართველოს ეროვნული მუზეუმი ჩაერთო მსგავსი ტიპის ახალ პროექტში „მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი: მარტვილის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი". მარტვილში პროექტი ერთ წელიწადს გაგრძელდა. მუზეუმში მთლიანად შეიცვალა ზონირება, მარტვილის მუზეუმში არსებული და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შეგროვილი წიგნებით დაკომპლექტებული ბიბლიოთეკა განთავსდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის ახლადშექმნილ საგანმანათლებლო ცენტრში. შეიქმნა ადგილობრივი ღვინოების სადეგუსტაციო დარბაზი. ჩატარდა იმავე ტიპის საფონდო სამუშაოები, როგორც ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მოეწყო ექვსი საექსპოზიციო დარბაზი: გეოლოგია-პალეონტოლოგია, არქეოლოგია, ნუმიზმატიკის კაბინეტი, ფრესკები და საეკლესიო წიგნები, რომელთა რესტავრაცია-კონსერვაციისათვის ერთთვიანი პროექტი დააფინანსა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ. დანარჩენი სამი დარბაზი დაეთმო ეთნოგრაფიულ მასალას. გამოიცა ალბომი „მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი".

განხორციელებული პროექტების ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ არა მხოლოდ დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდა, არამედ ისიც, რომ ორივე მუზეუმი იქცა დაწესებულებად, სადაც საინტერესო ექსპოზიციასთან ერთად ფუნქციონირებს თანამედროვედ აღჭურვილი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელშიც შესაძლებელია ღია გაკვეთილების, კონფერენციებისა თუ სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება. მუზეუმის ფონდებში არსებული მდიდარი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგებული მასალა ახალი ექსპოზიციებისა და გაცვლითი გამოფენების გაკეთების საშუალებას იძლევა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და რეგიონული მუზეუმების თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც რეგიონული მუზეუმების აღორძინებისათვის, ასევე დედაქალაქსა და რეგიონს შორის მჭიდრო და რეგულარული ურთიერთობისათვისაც. ■

ბზობა (იერუსალიმში შესვლა). XVII საუკუნის 80-იანი წლები

ონტოფოში გაგონილი ამბავი

თანამშრომლობა > მერაბ მიქელაძე

ერთი კეთილშობილი ოჯახის ისტორიამ შეიძლება მთელი ეპოქა გააცოცხლოს... სამეგრელოს, აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს მკვიდრი ნადარეიშვილების ძირძველი ოჯახის თავგადასავალი წაბლის ხისგან ნაშენმა, კოპწია ოდა-სახლმა თითქოს ონტოფოდან თბილისში თან გამოიყოლა როცა ხელახალი, სამუზეუმო ადგილსამყოფელი შეიძინა გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ. მხოლოდ ხელსაყრელი დრო იყო საჭირო იმისათვის, რომ ნადარეიშვილების ოჯახური საგა, სამეგრელოს მდიდარ ეთნოგრაფიასთან ერთად, ხატოვნად გაცოცხლებულიყო... ეს დროც დადგა. 2011 წლის სექტემბერში შვედეთის ინსტიტუტის მხარდაჭერით დაიწყო საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სკანსენის ღია ცის ქვეშ მუზეუმის ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებში გადაწყდა, ონტოფოს კარ-მიდამო სკანსენის მოდელის მიხედვით აღდგენილიყო.

რას გულისხმობს სკანსენის მოდელი და რითია გამორჩეული სტოკჰოლმის ცენტრში მდებარე ეს ულამაზესი მუზეუმი? სკანსენის მოდელის ხიბლი იმაშია, რომ ის მნახველს „დროში მოგზაურობის“ დაუვიწყარ წუთებს ჩუქნის. მუზეუმი აცოცხლებს კონკრეტულ „დროს“ და მის შესატყვის ისტორიულ-კულტურულ გარემოს ქმნის: დაახლოებით სამი საუკუნის ხალხური ყოფის უწყვეტ ხაზს დღევანდელობამდე მოვყავართ – თვალწინ იშლება რეწვის, სოფლის თუ შინამეურნეობის, ხელოსნობის, სოციალური თუ კულტურული ყოფა-ცხოვრების

განვითარების ისტორიული გზა. სკანსენის მუზეუმს ხანგრძლივი ისტორია და ძლიერი საგანმანათლებლო ბაზა აქვს. მუზეუმის თითოეული „დროში გაცოცხლებული“ კარ-მიდამო მოქცეულია სამუზეუმო კონცეფციის მკაცრ ჩარჩოში, რომელიც გულისხმობს ავთენტური ისტორიულ-კულტურული გარემოს შექმნას, მისთვის სპეციალურად შეთხზულ ამბავს, რომელიც ისტორიულ ჭრილში აცოცხლებს აღნიშნულ გარემოს.

შვედეთის ინსტიტუტის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში გაცვლითი სემინარები ჩატარდა თბილისსა და სტოკჰოლმში, გაიგზავნა ექსპედიცია სოფელ ონტოფოში და შედგა არაერთი კონსულტაცია ნადარეიშვილების შთამომავლებთან თბილისში, რამაც განაპირობა კიდეც ოდა-სახლის სამომავლო კონცეფციის ჩამოყალიბება. აღნიშვნის ღირსია ნადარეიშვილების კეთილშობილური ჟესტი – ნარატიული ხასიათის მასალასთან ერთად მუზეუმისთვის რამდენიმე საოჯახო რელიქვიაც უშურველად ესახსოვრათ.

ამგვარად გაჩნდა „ონტოფოში გაგონილი ამბავი“, რომელიც ძმების, ნესტორ და გრიგოლ ნადარეიშვილების საინტერესო ბიოგრაფიას XX საუკუნის ოციანი წლების საქართველოს მძაფრი მოვლენების ფონზე აცოცხლებს... ნესტორი, წმინდა გიორგის ჯვრის ორგზის კავალერი, მეფის რუსეთის ყოფილი ოფიცერი, ქართული ჯარის რიგებში ბოლშევიკურ ოკუპაციას ებრძვის, გრიგოლ ნადარეიშვილი კი მონაზონია – წმინდა მამის, ალექსი შუშანიას სულიერი შვილი თეკლათის მონასტერში მოღვაწეობს...

იმდენად აქტიური იყო ძმების მონაწილეობა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ თუ სოციალურ ცხოვრებაში, რომ გადაწყდა პროექტისთვის შერჩეული ოდა-სახლის ისტორიაც XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებზე აგვეგო და მასში ამავე სახლის ჭერქვეშ მცხოვრები ოჯახის თავგადასავალი ჩაგვერთო. აღსანიშნავია, რომ პროექტის კონტექსტში „დროის“ შესაბამისად მოეწყო და გამდიდრდა ოდა-სახლის ინტერიერი. გაცოცხლდა ეზოც. ეროვნული მუზეუმის ძალისხმევით მთლიანად აღორძინდა და ეთნოგრაფიულად განახლდა ოდა-სახლის უკან მდებარე უნიკალური სამზადი სახლი, რომელიც სამეგრელოს სოფელ ახალხიბულადანაა გადმოტანილი.

ონტოფოს განახლებული კარ-მიდამო მნახველთათვის მიმზიდველი გახდა არა მხოლოდ ეთნოგრაფიული, არამედ საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც – ოქტომბრის თვიდან კვირაში ორჯერ, ხუთშაბათსა და შაბათს, ოდა-სახლში ვიზიტორთათვის წარმოდგენილია ნახევრად თეატრალური სანახაობა, რომელიც, ოჯახის ნარატიულ ცნობებზე დაყრდნობით, XX საუკუნის ოციანი წლების საქართველოს ეპოქალურ სურათს ქმნის.

პროექტის საზეიმო პრეზენტაცია, სკანსენელ კოლეგებთან ერთად, 28 სექტემბერს შედგა. გახსნის ცერემონიალის ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი გახლდათ ონტოფოდან საგანგებოდ ჩამოსული, ნესტორ ნადარეიშვილის ვაჟი ბატონი რევაზი, რომლის ცრემლნარევი ღიმილი ქართულ-შვედური ერთობლივი პროექტის წარმატებით დასრულების მაუწყებელიც იყო. ■

შეხვედრა კაცობრიობის სათავეებთან

საერთაშორისო თანამშრომლობა > ეკატერინე გამყრელიძე

70-იანი წლების დასასრულს რამდენიმე მეგობარს იტალიის ქალაქ რიმინიდან გაუჩნდა ერთმანეთთან შეხვედრის, სხვადასხვა რელიგიის და კულტურის მატრებელი ადამიანის გაცნობისა და კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებისა და მეცნიერების მიღწევების რიმინიში წარმოდგენის სურვილი. ასე გაჩნდა რიმინის შეხვედრების იდეა 1980 წელს.

აგვისტოს ბოლო კვირაში რიმინი უკვე 30 წელია კულტურის საერთაშორისო ცენტრი ხდება, სადაც კათოლიკური მოძრაობის Comunione e Liberazione თაოსნობით, კულტურის ყველაზე დიდ საერთაშორისო ფორუმზე, რომელსაც მხარს უჭერს 200-ზე მეტი პარტნიორი და სპონსორი, თავს იყრიან ცნობილი მეცნიერები, ნობელის პრემიის ლაურეატები, სხვადასხვა რელიგიებისა და კულტურების წარმომადგენლები, ცნობილი პოლიტიკური ფიგურები, ხელოვანები, მწერლები, მუსიკოსები და სპორტსმენები მთელი მსოფლიოდან. რიმინის შეხვედრებზე ყოველ წელიწადს ერთი თემის გარშემო წარმოდგენილია ადამიანების ისტორიები გამოფენების, შეხვედრების, წარმოდგენებისა და სპორტული პროგრამების საშუალებით. ამ შეხვედრებს ყოველწლიურად ესწრება დაახლოებით 20 ეროვნების 800 000-მდე კაცი, 170 000 m^2 ფართობზე იმართება 130 შეხვედრა, 8 გამოფენა, 35 წარმოდგენა, 10 სპორტული პროგრამა. შეხვედრებს აშუქებს 1000 აკრედიტებული ჟურნალისტი. რიმინის შეხვედრებმა საფუძველი ჩაუყარა ისეთ ღონისძიებებს, როგორებიცაა, ყოველწლიური New York Encounter და კაიროს შეხვედრები ეგვიპტეში.

რიმინის შეხვედრების ორგანიზებაზე მუშაობს 7 ადამიანი, რომელთა გარდა ერთი კვირის მანძილზე სხვადასხვა სამუშაოზე, ასევე გამოფენების აწყობასა და დემონტაჟზე დაკავებულია 4000 მოხალისე იტალიიდან და მსოფლიოს სხვა 10 ქვეყნიდან. მოხალისეები თავიანთ შვებულებას იყენებენ რიმინიში უსასყიდლოდ სამუშაოდ. შეხვედრებზე მუშაობის მსურველები ერთი წლით ადრე განაცხადს აკეთებენ და წინასწარ არ იციან, რა სამუშაოს მიიღებენ. ექსკურსიის მძღოლებად გამოფენებზე მხოლოდ შესაბამისი პროფილის სტუდენტები მუშაობენ, რომლებიც მთელი წლის მანძილზე ემზადებიან და სემინარები უტარდებათ შესაბამისი გამოფენის თემატიკაზე.

მიუხედავად იმ უზარმაზარი ფინანსური მხარდაჭერისა, რომელიც ფესტივალს სპონსორების მხრიდან აქვს, მაინც შეუძლებელი იქნებოდა ასეთი დიდი ფორუმის ორგანიზება და ჩატარება მოხალისეების გარეშე. რიმინიში დასაქმებული მოხალისეები ღამის 12 საათამდე მუშაობენ. მიუხედავად ასეთი გრაფიკისა, ყოველი მათგანი მზადაა, შემდეგ წელსაც გამოიყენოს თავისი შვებულების ერთი კვირა, რომელიც უმეტესობისთვის ერთადერთია იმის გამო, რომ მთელი წლის დანაზოგს ამ ერთ კვირაში ხარჯავენ რიმინიში სამუშაოდ.

2014 წლის რიმინის ფორუმის თემა იყო „სამყაროს პერიფერიებისაკენ. ადამიანი ბედმა არ დატოვა მარტო“. არქეოლოგების, პროფ. მერლინ კელი-ბუჩელატისა

და პროფ. ჯორჯო ბუჩელატის ინიციატივით და კურატორობით საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობით მოეწყო გამოფენა „დროის სიღრმიდან: კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩამოყალიბების სათავეებთან“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ეჩვენებინა, თუ რატომ ერთიანდებიან ადამიანები ჯგუფებად და როგორ ყალიბდება ადამიანთა საზოგადოება. წარმოდგენილი იყო დმანისში (სამხრეთ საქართველო) ქვედა პალეოლითის ნამოსახლარზე და ქალაქ-სახელმწიფო ურქეშში (სირიის სამხრეთ-აღმოსავლეთი) მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

გამოფენა სამი ნაწილისგან შედგებოდა: ქვედა პალეოლითის პერიოდის დმანისი, ურბანული რევოლუცია ურქეშის ცივილიზაციაში და, ბოლოს, თანამედროვე სირია.

გამოფენის პრეზენტაციაზე 3000-კაციანი აუდიტორიის წინაშე, რომელიც არქეოლოგიური პროექტის Mozan/Urkesh დირექტორს, პროფ. მერლინ კელი-ბუჩელატის მიჰყავდა და რომელიც გამოფენაზე წარმოდგენილი საკითხების განხილვას შეეხებოდა, მოხსენებით გამოვიდნენ პროფ. დავით ლორთქიფანიძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი: „დროის სიღრმიდან: კომუნიკაციისა და საზოგადოების ჩამოყალიბების სათავეებთან“, პროფ. თამაზ გამყრელიძე – საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტი: „ინდოევროპელი ტომების წინარე სამშობლო და მიგრაციები“, პროფ. ჯორჯო ბუჩელატი (ULCA, აშშ), რომელმაც წარმოადგინა სირიაში მისი და პროფ. მერლინ კელი-ბუჩელატის ხელმძღვანელობით მიდინარე გათხრების შედეგები და პროფ. პაოლო მატიე (რომის უნივერსიტეტი „La Sapienza“), ქალაქ ებლას გათხრების ხელმძღვანელი, რომელმაც ილაპარაკა პირველი ქალაქების წარმოშობაზე ძვ.წ. III ათასწლეულში.

გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად, იგი 21500-მა ადამიანმა მოინახულა ერთ კვირაში, გაიყიდა გამოფენის 700 კატალოგი.

რიმინის 2015 წლის შეხვედრებზე საქართველო კვლავ წარდგება გამოფენით „წინაქრისტიანული და ქრისტიანული საქართველო“. ■

პარტნიორობა უკრაინის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმთან

თანამშრომლობა > ნინო კალანდაძე

ვოეთეს ინსტიტუტთან და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გაერთიანებასთან თანამშრომლობით საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა 2012 წლის სექტემბერში თბილისში საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა“ მოაწყო. კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი იყო შექმნილიყო პროგრამა, რომელიც იმუშავებდა მოდელზე, თუ როგორ შეიძლება იქცეს პოსტსაბჭოთა მუზეუმი თანამედროვე, სამეცნიერო, ინოვაციურ, შემოქმედებით და დამთვალიერებლისათვის საინტერესო ინსტიტუციად, რომელიც აქტიურად იქნება ჩართული ურბანულ ქსოვილში და სოციალურ ცხოვრებაში.

კონფერენციის ერთგვარი გაგრძელება იყო ინიციატივა სახელწოდებით „სამუზეუმო სფეროს პროფესიონალთა ფორმირების ცენტრი“, რომელიც ითვალისწინებდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მუზეუმთა ქსელის შექმნას და იმ პლატფორმის საფუძვლის ჩაყრას, სადაც მოხდებოდა გამოცდილების გაზიარება. ამ ინიციატივის ფარგლებში ბერლინში, თბილისსა და მესტიაში მოეწყო რამდენიმე კონფერენცია, სამუშაო შეხვედრა თუ სემინარი.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას შეუწყო ხელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკრაინის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. უკრაინის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუზეუმია, რომელიც თავისუფლების მოედანთან (ე.წ. მეიდანთან) მდებარეობს. კიევში განვითარებული მოვლენების დროს მუზეუმი ქარტეხილების ეპიცენტრში მოექცა და მისი ხელმძღვანელები თუ უბრალო თანამშრომლები ოცდაოთხსაათიან რეჟიმში იდგნენ საკუთარი მემკვიდრეობის სადარაჯოზე.

თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში 2014 წლის განმავლობაში საქართველოს ეროვნულ მუზეუმს სამჯერ ეწვია უკრაინის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის თანამშრომელთა ჯგუფი. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ სხვადასხვა მიმართულებით გატარებული რეფორმების გაცნობა და გამოცდილების გაზიარება.

კოლექციების გადატანის, რესტრავრაცია-კონსერვაციისა და ახალ სივრცეში განთავსების პროცესს უკრაინელი კოლეგები გაეცნენ პროექტის „აღმოსავლური კოლექციების ახალი სიცოცხლე“ მაგალითზე. რესტავრაცია--კონსერვაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა მათ გაუზიარეს კვლევის მეთოდოლგია, ხოლო საქართველოს ეროვნული მუზეუმის განათლების დეპარტამენტში სტუმრები გაეცნენ მის საქმიანობასა და მიმდინარე პროექტებს, ასევე ხელოვნების ნიმუშთა საცავისა და რესტავრაციის ცენტრის დასრულებულ პროექტს.

ვიზიტის ფაგლებში უკრაინელმა კოლეგებმა მოინახულეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალი ის მუზეუმები, რომლებშიც რეაბილიტაციის პროცესი უკვე დასრულებულია, ასევე გ. ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ, სადაც განახლების პროცესი ეტაპობრივად მინდინარეობს.

უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმებს შორის დაწყებული პარტნიორობა გააღრმავებს ორ ქვეყანას შორის არსებული კულტურული ურთიერთობების ტრადიციებს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციას, არამედ სამომავლოდ დარგის სპეციალისტებს შორის მჭიდრო და ხანგრძლივ თანამშრომლობას. ■

საქართველოს ეროვნული მუზეუმი პარტნიორთა ქსელს აფართოებს

თანამშრომლობა > მიხეილ წერეთელი

ეგვიპტის მუზეუმებთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გაფორმდა



2014 წლის 7 დეკემბერს კაიროში, ეგვიპტის სიძველეთა სამინისტროში გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მუზეუმებს შორის.

დოკუმენტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალი გახსნა ეგვიპტის სიძველეთა მინისტრმა, ეგვიპტოლოგიის პროფესორმა მამდუ ელდამატიმ. ღონისძიებას საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ეგვიპტის მუზეუმების წარმომადგენელთა გარდა ესწრებოდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ეგვიპტეში არჩილ ძულიაშვილი.

მემორანდუმს, რომელიც კონსერვაცია-რესტავრაციის, განათლების, არქეოლოგიის, საგამოფენო და სხვა მიმართულებების სფეროში გაცვლით პროგრამებს გულისხმობს და 2015 წლის გაზაფხულიდან დაიწყება, ეგვიპტური მხრიდან სამი წამყვანი მუზეუმის ხელმძღვანელმა მოაწერა ხელი. ესენი იყვნენ: ეგვიპტის მუზეუმის, ეგვიპტური ცივილიზაციის ეროვნული მუზეუმისა და ეგვიპტის დიდი მუზეუმის გენერალური დირექტორები, ხოლო საქართველოს მხრიდან ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე.

ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საქართველოს დელეგაცია მიიწვია ეგვიპტური ცივილიზაციის ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა ბატონმა ხალედ ელ-ენანიმ. მან სტუმრებს დაათვალიერებინა მუზეუმში მიმდინარე ფართომასშტაბიანი სარენოვაციო სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებს ახალი ექსპოზიციების, რესტავრაცია-კონსერვაციის ცენტრისა და სამუზეუმო საცავის შექმნას. ■

თანამშრომლობა > ნათია ლიქოკელი

აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმთან მემორანდუმი გაფორმდა

საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და აზერბაიჯანის კულტურულ ინსტიტუციებს მრავალწლიანი თანამშრომლობა და მეგობრობა აკავშირებთ, რისი დასტურიც არაერთი ერთობლივი პროექტი გახლავთ, თუმცა, ალბათ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, როდესაც დაწესებულებებს შორის გრძელვადიანი მემორანდუმი ფორმდება.

2014 წლის 18 ნოემბერს ბაქოში საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმს შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ხელმოწერის საზეიმო ცერემონიალს სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი აბულფას გარაევი ესწრებოდნენ. მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს გაცვლითი გამოფენების, სამუზეუმო სფეროსთან დაკავშირებული კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების, ტრენინგების ორგანიზებასა და თანამშრომლობას რესტავრაცია-კონსერვაციასა და სხვა სამეცნიერო მიმართულებებში, ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნული მუზეუმის დირექტორმა ჩინგის ფარზალიევმა. ხელმოწერის ცერემონიალის შემდეგ აზერბაიჯანის ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა „საქართველოსგან სიყვარულით“ გაიმართა.

აზერბაიჯანის ხალიჩების მუზეუმში მოეწყო ასევე კატალოგის „აზერბაიჯანული ხალიჩები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში“ პრეზენტაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და თბილისის მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმის ერთობლივი პროექტის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა. ■

ფოტოსტუდია ერმაკოვი

ფოტოგრაფი, კოლექციონერი და ანტრეპრენიორი

საერთაშორისო გამოფენები > ნათია ლიქოკელი

„ფოტოსტუდია ერმაკოვი“ – ასე ერქვა გამოფენას, რომელიც 2014 წლის 14 ივნისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით ნიდერლანდების ფოტოგრაფიის მუზეუმში გაიმართა. ექპოზიციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოარქივში დაცული დიმიტრი ერმაკოვის (1846-1916) ასზე მეტი ნამუშევარი.

აღნიშნული გამოფენით საქართველოს ეროვნულ მუზეუმს საშუალება მიეცა, უცხოელი დამთვალიერებლისთვის გაეცნო არა მხოლოდ თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი ფოტოგრაფი კავკასიის რეგიონში – დიმიტრი ერმაკოვი, არამედ წარმოედგინა კავკასიის რეგიონი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. აღსანიშნავია, რომ ბევრი ფოტო იმდენად კარგად შეესაბამება დღევანდელ რეალობასაც, რომ ბევრი

დასავლეთევროპელისთვის გამოფენა ჩვენი რეგიონის უკეთ გაცნობის საშუალებას იძლეოდა.

გარდა ფოტონამუშევრებისა, გამოფენაზე მოწყობილი იყო ერმაკოვის ფოტოსტუდიის იმიტიაცია, სადაც წარმოდგენილი იყო ორიგინალები მისი სტუდიიდან. ნიდერლანდების ფოტომუზეუმის სარესტავრაციო სტუდია კი საშუალებას აძლევდა დამთვალიერებელს, საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ ხდება ძველი ფოტოების კონსერვაციარესტავრაცია.

აღნიშნული სტუდიების წარმოდგენა მიშვნველოვანი იყო არა მარტო იმისთვის, რომ დამთვალიერებელს წარმოდგენა შექმნოდა იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომლებსაც ფოტოგრაფიაში იყენებდნენ XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, არამედ იმითაც,

რომ გამოფენის ორგანიზატორებისთვის ეს იყო ერთგვარი ხერხი, თვალნათლივ ეჩვენებინათ, თუ როგორ მოხდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული ფოტოარქივის რესტავრაცია-კონსერვაცია ათწლიანი პროექტის ფარგლებში ნიდერლანდების ფოტომუზეუმთან თანამშომლობით, რომელსაც მხარს უჭერდა ჰოლანდიური ფონდი „ჰორაიზონი“.

სწორედ ამ გამოფენაზე მოეწყო კატალოგის „დიმიტრი ერმაკოვი – ფოტოგრაფი და კოლექციონერი“ პრეზენტაცია.

გამოფენა მოგვიანებით დალემის მუზეუმში (ბერლინი, გერმანია) და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დ. შევარდნაძის ეროვნულ გალერეში იყო წარმოდგენილი. 2016 წელს იგეგმება გამოფენის წარდგენა გენტის ისტორიულ სახლებში (გენტი, ბელგია).

ექსპოზიცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ნიდერლანდების ფოტომუზეუმისა და ფონდ „ჰორაიზონის“ ურთიერთთანამშრომლობით მომზადდა. აღსანიშნავია ასევე პრინც ბერნჰარდის კულტურის ფონდის, ჰოლანდიის განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროს, როტერდამის მუნიციპალიტეტის, „ბანკგირო ლოტერის“, ვერთიმერ ფონდის, როტერდამის პორტის, გენტის ისტორიული სახლებისა და კომპანია OVG-ს მხარდაჭერა. ■

ღვინის კულტურა

საერთაშორისო გამოფენები > ნათია ლიჭოკელი

ღვინის ისტორია საქართველოში რომ საუკუნეებს ითვლის, ახალი არავისთვისაა. ქართული ღვინოც მრავალი წელია ჩვენი ქეყნის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათად იქცა. ამდენად, ალბათ, გასაკვირი არავისთვის იქნება, რომ როდესაც საქართველოს კულტურის დღეები იმართება სადმე, მნიშვნელოვანი ენიჭება ღვინის თემას.

2014 წლის 1 აგვისტოდან 5 ოქტომბრის ჩათვლით გერმანიაში საქართველოს კულტურის დღეები გაიმართა, სადაც მონაწილეობა საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმაც მიიღო და გერმანიის ევროპული კულტურის მუზეუმში წარმოადგინა გამოფენა „ღვინის კულტურა“.

გამოფენაზე ნაჩვენები ეთნოგრაფიული მასალა – ნივთები, რომლებსაც ღვინის დასამზადებლად იყენებდნენ და ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვის (1846-1916) მიერ ფოტოებზე აღბეჭდილი XIX-XX საუკუნეებში ღვინის დამზადების პროცესი დამთვალიერებელს საშუალებას აძლევდა, გაცნობოდა ღვინის ტრადიციებსა და კულტურას საქართველოში, რომელიც დაახლოებით 8000 წელს ითვლის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში გემანიაში გაიმართა ქართული რელიგიური და სახალხო დღესასწაულებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, ტრადიციული მუსიკისა და ცეკვის წარმოდგენები და თანამედროვე ქართული ლიტერატურის საღამოები.

ყოველივე ზემოთქმული შესაძლებელი გახდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს საგარეო სამინისტროს, საქართველოს საელჩოს გერმანიაში, პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდისა და სხვა პარტნიორების მხარდაჭერით. ■

საერთაშორისო კონფერენციები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში

კონფერენცია > ნათია ლიქოკელი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი როგორც სამეცნიერო-კველვითი დაწესებულება მრავალი მიმართულებით მუშაობს. კონფერენციები მისთვის ერთ-ერთი საშუალებაა, გააცნოს სამეცნიერო წრეებს და დაინტერესებულ პირებს კვლევის მიმდინარეობა და შედეგები და დაამყაროს ახალი კონტაქტები ინსტიტუციურ დონეზე რო-გორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

2014 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ოთხ საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა: ბრიტანელი არქეოლოგის, მაიკლ ვიკერსისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციას, ასევე კონფერენციებს „მუზეუმ-ნაკრძალები – ისტორიის სათავეებთან“, „მსოფლიო მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება“ და „სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის ადრელითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები“.

საკონფერენციო სეზონი საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში მიმდინარე წლის 5 სექტემბერს ცნობილი ბრიტანელი არქეოლოგის, პროფესორ მაიკლ ვიკერსისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციით გაიხსნა, რომელზედაც ანტიკური ეპოქის არქეოლოგიის საკითხები იყო განხილული. მასში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა.

პროფესორ მაიკლ ვიკერსს საქართველოსთან და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს; 2005-2010 წლებში იგი „საქართველოში სამეცნიერო კვლევის მეგობართა საზოგადოების“ თავმჯდომარე იყო. ერთი წლის წინ კი თავისი პირადი ბიბლიოთეკა, რომელიც 3500-ზე მეტ წიგნს ითვლის, საქართველოს ეროვნულ მუზეუმს უსახსოვრა.

თავად მეცნიერის კვლევის სფერო მეტად ფართოა და მოიცავს ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური სამყაროს არქეოლოგიას, ისტორიასა და ლიტერატურას. იგი ოქსფორდის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორია და წლების მანძილზე აშმოლის მუზეუმის (ოქსფორდი) ბერძნულ-რომაული სიძველეების კურატორი იყო. ამასთან ერთად კითხულობდა ლექციების კურსს დუბლინის, ბენგაზის, ოსტინის, ბულდერის, პრინსტონის უნივერსიტეტებში. იგი წლების მანძილზე თავის კოლეგასთან, ამირან კახიძესთან ერთად ხელმძღვანელობდა არქეოლოგიურ სამუშაოებს ფიჭვნარში. მ. ვიკერსი რეგულარულად მონაწილეობდა შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისადმი მიძღვნილ ვანის სიმპოზიუმებში.

მაიკლ ვიკერსი არის გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი (1978), ანტიკვართა საზოგადოების (1978) და ხელოვნების სამეფო საზოგადოების წევრი (1993), არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის საპატიო წევრი (1995), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ამერიკის არქეოლოგიის ინსტიტუტის წევრი (2009). 2009 წლიდან იგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პიტ რივერსისადმი მიძღვნილი ყოველწლიური სიმპოზიუმის უცვლელი თავმჯდომარეა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის განახლებული მუზეუმი 2013 წელს გაიხსნა ახალი ექსპოზიციით. მუზეუმში რეგულარულად ეწყობა ღონისძიებები, დროებითი ექსპოზიციები და სამუზეუმო, სამეცნიერო-საგანმანათლებლო საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციები. მიმდინარე წლის 24-25 სექტემბერს სვანეთის მუზეუში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მსოფლიო მემკვიდრეობა და მდგრადი განვითარება“.

კონფერენციის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელების ხელშეწყობა და ქვეყნის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სტრატეგიების ჰარმონიზაცია.

მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, ICOMOS-ის, ICCROM-ის, IUCN-ის წარმომადგენლებმა და მათმა კოლეგებმა სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან განიხილეს მსოფლიო მემკვიდრეობის წინაშე არსებული გამოწვევები და მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი ძეგლების მართვასა და განვითარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი, გამოცდილება და ამ კუთხით განხორციელებული წარმატებული პროექტები.

ღონისძიება გაიმართა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიასთან, საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით.

ICAMT-ი (არქიტექტურისა და სამუზეუმო ტექნიკის საერთაშორისო კომიტეტი) ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) საერთაშორისო კომიტეტია, რომელიც აერთიანებს არქიტექტორებსა და ტექნიკური დარგის იმ პროფესიონალებს, რომლებიც სამუზეუმო სფეროში მუშაობენ. ICAMT-ის ყოველწლიურ კონფერენციას 2014 წლის 22-26 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიამ უმასპინძლა. კონფერენციის თემას „მუზეუმ-ნაკრძალები – ისტორიის სათავეებთან“ წარმოადგენდა.

კონფერენციის მონაწილლები განიხილავდნენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში მუზეუმ-ნაკრძალების (Site Museums) განსხვავებულ როლს, მათ მნიშვნელობას, იმას, თუ როგორ უნდა ხდებოდეს მათთვის შესაბამისი თანამედროვე არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის შექმნა თუ ვიზიტიორთა მომსახურების გაუმჯობესება. განხილვის თემა იყო ასევე მუზეუმ-ნაკრძალების ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის გაზრდა, მათი განვითარება და სხვა.

კონფერენციაში მონაწილეობა 50-მდე უცხოელმა და ქართველმა სპეციალისტმა მიიღო. მონაწილეებს საშულაება მიეცათ, წვეოდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის მუზეუმს და დმანისის არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალს, სადაც მოისმინეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის დავით ლორთქიფანიძის ლექცია უშუალოდ არქეოლოგიურ ძეგლზე.

ღონისძიებას ორგანიზება გაუწიეს ICOM/ICAMT-მა და ICOM-ის საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელშეწყობით.

საერთაშორისო კონფერენცია „სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის ადრელითონების ხანის არქეოლოგიის პრობლემები“ საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ცენტრისა და შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ორგანიზებით 19-23 ნოემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში ჩატარდა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღისრია ის ფაქტი, რომ რეგიონული მნიშვნლეობის კონფერენცია, რომელიც სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის ტერიტორიაზე მიმდინარე არქეოლოგიურ კვლევებს ეძღვნებოდა, სწორედ საქართველოში ჩატარდა. მასში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ აღნიშნულ თემაზე მომუშავე მეცნიერები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან და ისრაელიდან.

კონფერენციაზე განიხილეს სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის არქეოლოგიურ კულტურათა ურთიერთობების და ლითონის წარმოების ადრეული საფეხურის (ძვ.წ. IV-II ათასწლეულები) პრობლემები. მეცნიერებს, ასევე, საშულება მიეცათ, გაცნობოდნენ უახლესი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების მონაცემებს და გაეზიარებინათ სამეცნიერო შეხედულებები.

კონფერენციის მონაწილეებს საშუალება მიეცათ, დაეთვალიერებინათ მცხეთის და ძალისას მუზეუმ-ნაკრძალები და გორის სერგი მაკალათიას სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ■

წარჩინებული მეომრის სამარხი დმანისიდან

არქეოლოგია > ქახა ქახიანი

დმანისის რეგიონი ცნობილია ისტორიული ძეგლების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი და შესწავლილია სხვადასხვა პერიოდის ათეულობით არქეოლოგიური ძეგლი. მათ შორის ბევრი გამოვლენილია ახალმშენებლობების დროს.

2014 წლის ოქტომბრის თვეში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადთან, ადგილ ორწყლებში კომპანია „სილქნეტის“ ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისათვის თხრილის გაჭრის დროს აღმოჩნდა ქვის ლოდები და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რის გამოც დროებით შეჩერდა მიწის სამუშაოები და საქართველოს ეროვნული მუზეუმის დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის ექსპედიციამ არქეოლოგიური გათხრები დაიწყო.

გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ქვის ლოდები სამარხის გადახურვას წარმოადგენდა. მასზე დალაგებული რკინის შუბისპირი, თიხის ჭურჭელი და მსხვილფეხა საქონლის ნაწილები იმაზე მიუთითებს, რომ იქ დაკრძალვის რიტუალი ჩაუტარებიათ. გადახურვის ქვეშ გრუნტში ამოჭრილი, დასავლეთ ნაწილში ფართო, ხოლო აღმოსავლეთ მხარეს ოდნავ უფრო ვიწრო დასაკრძალავი ორმო აღმოჩნდა, რომლის სიგრძე 2,5 მ იყო. მიცვალებული დაუკრძალავთ ორმოს დასავლეთ ნაწილში, როგორც ჩანს, სარეცელზე, ქვედა და ზედა კიდურებმოხრილი, მარჯვენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით. მიცვალებულის თავს უკან, იატაკზე, იდგა თიხის ოთხი ჭურჭელი – ორი დოქი, გადასაწურტუჩიანი ქოთანი და კოჭობი, ხოლო მისი სახის წინ – ყურიანი ტოლჩა. აქვე იდო ორი ორნამენტირებული მილაკისა და ორი რგოლისაგან შემდგარი ბრინჯაოს ნივთი. გარდა ამისა, სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლ-საკანჭურები, რკინის მოზრდილი დანა, რკინის მცირე ზომის სატევარი, აქატის და სარდიონის სხვადასხვა ფორმის მძივები, სამი ნიჟარა-კაური და ზარისებური ფორმის ნიჟარა.

სამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ჩარხზეა დამზადებული, გამომწვარია მოშავოდ და ნაცრისფრად. ყველა მათგანი რელიეფური და ამოღარული ზოლებითაა ორნამენტირებული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ფართოპირიანი, ორყურა ქოთანი, რომელსაც მხარზე გადასაწური ჩაიდნისებური ტუჩი აქვს. მსგავსი კერამიკული ნაწარმი ამ პერიოდის სამარხებში საქართველოში იშვიათია.

ლითონის ინვენტარი, რკინის საბრძოლო იარაღის გარდა, წარმოდგენილია ბრინჯაოს საკანჭურებითა და ნივთით, რომელიც შედგება ორი მილაკის და ორი რგოლისგან. საკანჭურები წვივებზე დასამაგრებლად გამოიყენებოდა. მსგავსი რგოლები სხვა სამაროვნებზეც გვხვდება და ის ძირითადად მიცვალებულების ქვედა კიდურებთან არის ნაპოვნი ან მათ კანჭებზე აქვთ გაკეთებული. ყურადღებას იმსახურებს ორი მილაკისაგან და ორი რგოლისაგან შედგენილი ნივთი. მილაკები ორნამენტირებულია, ხოლო რგოლები დამზადებულია რომბისებური განივკვეთის მქონე ბრინჯაოსაგან და თავებგახსნილია. თითქმის ანალოგიური ნივთები გვხვდება მაშავერას ხეობის ამ პერიოდის სამაროვნებზე და ისინი, როგორც წესი, წარჩინებული მეომრების, მხედრების და მდიდრულად დაკრძალული ქალების სამარხებში გვხვდება.

სამარხში ნაპოვნია აგრეთვე რამდენიმე ნიჟარა-კაური და ზარისებური ფორმის ნიჟარა. აღნიშნული ნიჟარები არ არის დამახასიათებელი კავკასიისათვის და ისინი იმპორტს წარმოადგენს.

სამარხი წარჩინებულ მეომარს ეკუთვნის და ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ■

არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე

არქეოლოგია > ვახტანგ ნიკოლაიშვილი

ქართლის (იბერიის) სამეფო რეზიდენცია არმაზციხე (ძვ.წ. IV – ახ.წ. IV-V სს.) ცნობილია როგორც ქართული, ასევე უცხოური წერილობითი წყაროებით, მაგრამ ძირითადი ინფორმაცია მიღებულია არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალით.

პირველი არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე 1889 წელს ჩატარდა ილია ჭავჭავაძის თაოსნობითა და ექვიმე თაყაიშვილის მონაწილეობით. სხვა ნივთებთან ერთად აღმოჩნდა პოლიქრომული ფერწერის ნიმუში – I საუკუნის ფრესკის ნატეხი. XX საუკუნის ორმოციან წლებში აღმოჩნდა სამეფო სასახლე, საფორტიფიკაციო სისტემა, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების აბანო, აკლდამა და სარკოფაგი უმდიდრესი ინვენტარით.

1993-1998 წლებში აღმოჩნდა II-III საუკუნეების ტაძარი მარნითურთ, რომელშიც 20 ტონა ღვინო ინახებოდა, რომაული ტიპის ორი აბანო და ეპიგრაფიიკული წარწერები ძველბერძნულ ენაზე, რომლებიც II-III საუკუნეების ქართლის (იბერიის) მეფეთა სამშენებლო საქმიანობაზე მოგვითხრობს.

არქეოლოგიური გათხრები არმაზციხეზე 2011 წელს განახლდა, როდესაც ძეგლი ნაკრძალად გამოცხადდა. 2012-14 წლებში ტაძრის მარნის დასავლეთით 4 სათავსი აღმოჩნდა. ყველა მათგანი საკარე ღიობების მეშვეობით სატაძრო კომპლექსს უკავშირდებოდა. სათავსებში დიდი რაოდენობით აღმოჩნდა (55 ც.) ქვის დასამუშავებელი იარაღები (ცულწერაქვი, წერაქვები, ჩაქუჩები, პალოები, სატეხები, ძალუინები). ასეთი იარაღი გამოიყენებოდა ეთნოგრაფიულ ყოფაში. აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს ნივთები, რომელთაგან აღსანიშნავია სავარძლის ფეხი და სახელურის ნაწილი, რომელიც ადრე აღმოჩენილი მარმარილოს ლომისგამოსახულებიანი სარეცლის ფეხთან ერთად რომაულ იმპორტს წარმოადგენს.

სამეფო სასახლის დასავლეთით, II ტერასაზე ორი სამშენებლო პერიოდის სახლები დადასტურდა. ზედა ფენის ორი ნაგებობა ქვატეხილით და ქვათლილებით არის ნაშენები და ბრტყელი და ღარიანი კრამიტებითაა გადახურული. იქ გამოვლენილი მასალები, მეტწილად კერამიკა, IV-V საუკუნეების მასალის შემცველია.

მეორე დონე ქვის საფუძველზე ალიზით ნაგები სახლებით არის წარმოდგენილი, რომლებიც წერნაქით შეღებილი კრამიტებითაა გადახურული. ისინი ერთ დონეზეა გამართული, ერთნაირი ტექნოლოგიით ნაგები, დაახლოებით ერთი ზომისაა (35-40 მ^2), ერთმანეთთან დაკავშირებულია საკარე ღიობების





მეშვეობით და, ბუნებრივია, ერთ დროს ფუნქციონირებდა. სახლებში აღმოჩნდა II-III საუკუნეებით დათარიღებული კერამიკა, აგრეთვე მინისა და ძვლის ნივთები, მათ შორის ძვლის სტილოსი, რომელიც გასანთლულ დაფაზე საწერად გამოიყენებოდა. ეს მეფის კარზე მწიგნობრობის განვითარებაზე მეტყველებს. იქვე, სამეფო სასახლის ჩრდილოეთით გაითხარა ორიგინალური სანიაღვრე, რომელიც ზემოაღნიშნული ნამოსახლარის ქვეშ შედის და, როგორც ჩანს, კაპიტალური ნაგებობისათვის (შესაძლოა, სამეფო სასახლისათვის) წვიმის წყლის ნაკადის ასაცილებლად ყოფილა გაკეთებული.

სანიაღვრის თავზე, ერთ-ერთ ნაგებობაში აღმოჩნდა არქიტექტურული დეტალები (ხბოსგამოსახულებიანი პროტომა, ხარის თავების გამოსახულებები, კაპიტელის ნაწილი, ფრიზის ნატეხი). ეს დეტალები სტილისტურად ერთი ნაგებობის შემკულობის ნაწილები უნდა იყოს და ძვ.წ. I საუკუნეს განეკუთვნებოდეს.

არმაზციხეზე უკანასკნელ ხანს აღმოჩენილი ნივთების დიდი ნაწილი ადგილზე ჩანს დამზადებული, ნაწილი კი აშკარად შემოტანილია, რაც თავისთავად ერთხელ კიდევ მიუთითებს ქართლის (იბერიის) სამეფოს კონტაქტებზე ანტიკური სამყაროს ქვეყნებთან, განსაკათრებით კი რომის ძლიერ სახელმწიფოსთან. ■

მუზეუმი

იდეალური ადგილი სწავლებისათვის

განათლება > მიხეილ წერეთელი, ნინო ბაქანიძე

მუზეუმი და განათლება

მუზეუმის როგორც ინსტიტუციის ისტორია XVII საუკუნის ბოლოს იწყება. მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იმთავითვე იყო განათლება, ცოდნის გავრცელება. XXI საუკუნეში მუზეუმების დიდი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ შეფასდა და დღეს ის განსაკუთრებულ როლს თამაშობს როგორც ფორმალურ სწავლებაში, ასევე არაფორმალურსა და საზოგადოებრივ განათლებაში. თანამედროვე მუზეუმს დიდი როლი აკისრია ინკლუზიურ განათლებასა თუ მარგინალური ჯგუფების ინტეგრაციაშიც.

სასწავლო პროცესი მუზეუმში

ახალი ინფორმაციის ათვისების, უნარჩვევებისა და გამოცდილების შეძენის პროცესი უშედეგო იქნება, თუ ახალი ინფორმაცია მანამდე დაგროვილ ცოდნას ბუნებრივად არ შეერწყმება. ადამიანთა უმეტესობა კომფორტულად გრძნობს თავს, როდესაც ახლის შეთვისებას იწყებს იმით, რაც მისთვის უკვე ცნობილია. ამ შემთხვევაში მოსწავლე ახალ ინფორმაციას ეტაპობრივად შეიმეცნებს. იგი ზედმეტი დაძაბულობის გარეშე – კონტრასტისა და

ანალოგების მოძიების, მათი შედარებისა თუ ანალიზის მეშვეობით – გადადის ნაცნობიდან უცნობ საკითხზე და საბოლოო ჯამში იოლად ეუფლება ცოდნას.

ადამიანი სწავლობს კითხვით, მოსმენით, დაკვირვებით, მსჯელობით, კეთებით. სწავლის პროცესი უფრო შედეგიანია, თუ მასში მოსწავლის თანამონაწილეობისა და ჩართულობის ხარისხი საკმარისად მაღალია.

მუზეუმი – იდეალური ადგილი სწავლისათვის

სწავლა შედეგიანია, თუ პროცესი ინტერაქტიულია. მუზეუმები აქტიური სწავლებისათვის უსაზღვრო შესაძლებლობებს იძლევა; ამიტომაც ითვლება ის შემეცნებისთვის იდეალურ ადგილად. სწავლება დღეს წარმოუდგენელია თვალსაჩინოებისა და იმ საშუალებების გარეშე, რომლებიც სწავლის პროცესში მოსწავლის თანამონაწილეობას უზრუნველყოფენ.

DEUTSCH LERNEN IM MUSEUM – გერმანული ენის სწავლება მუზეუმში

აქტიური სწავლების მეთოდზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამა „ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში“

თბილისის გოეთეს ინსტიტუტმა და საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ერთობლივად შეიმუშავეს. ის გერმანული ენის მასწავლებლებისათვის მომზადდა და მუზეუმში გასვლითი გაკვეთილების ჩატარების საშუალებას იძლევა. პედაგოგებისათვის შემუშავდა გაკვეთილის დეტალური გეგმა, ინსტრუქციები და სამუშაო ფურცლები. მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს ექსპოზიცია და საგამოფენო დარბაზებში ჩაატაროს გაკვეთილი, რომელიც ემსახურება ნასწავლი მასალის გახსენებასა და განმტკიცებას, ასევე კრიტიკული აზროვნების, დაკვირვებისა და ანალიტიკური უნარის განვითარებას.

პროგრამა მომზადდა ბაზელის ხელოვნების მუზეუმში წარმატებით განხორციელებული პროექტის სქემით. გოეთეს ინსტიტუტმა თბილისში მოიწვია სამუზეუმო განათლების შვეიცარელი სპეციალისტი ერიკა იეგი. მან თბილისში რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩაატარა გერმანული ენის ადგილობრივი პედაგოგებისა და მუზეუმის თანამშრომლებისათვის, რომელთაც აღნიშნული მეთოდები და მიდგომა გააცნო. სამუშაო შეხვედრის შემდეგ გაჩნდა იდეა, შექმნილიყო ანალოგიური პროგრამები, რომლებაც ენის პედაგოგები და მუზეუმის თანამშრომლები მოამზადებდნენ.

პროექტის „ვისწავლოთ გერმანული ენა მუზეუმში“ ფარგლებში მომზადებული პროგრამები სხვადასხვა დონის ჯგუფებისათვის – როგორც დამწყებებისათვის, ასევე მეორე დონეზე მყოფთათვისაა განკუთვნილი. შეირჩა შესაბამისი თემები: პროგრამა „როგორ ვზეიმობთ დღესასწაულებს“ ფიროსმანის ნამუშევრებს უკავშირდება და, შესაბამისად, გაკვეთილი დიმიტრი შევარდნაძის გალერეაში ტარდება, ხოლო პროგრამა „სტატუსის განმსაზღვრელი სიმბოლოები წარსულში და დღეს“ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში გამოფენილ არქეოლოგიურ საგანძურსა და აღმოსავლურ კოლექციებს ეფუძნება.

2014 წლის აპრილში ეროვნულ გალერეაში გაიმართა დამწყებებისთვის (A1) განკუთვნილი გაკვეთილის მოდელის წარდგენა, ხოლო ნოემბერში თბილისის გოეთეს ინსტიტუტში მიმდინარე კონფერენციაზე „დროის მანქანა – მუზეუმი XXI საუკუნეში“, მსმენელები გაეცნენ უფრო მაღალი საფეხურისთვის მომზადებული გაკვეთილის მოდელს.

გაკვეთილის ჩასატარებლად საჭირო მასალა ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის ეროვნულ გალერეასა და საქართველოს მუზეუმში, ასევე ეროვნული მუზეუმის ვებგვერდზე.

მუზეუმი შეხვედრის ადგილი

ოქტომბერში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიება იმართება. 2014 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმიც შეუერთდა ამ ინიციატივას და პროექტის „გამიცანი“ ფარგლებში დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში უმასპინძლა მოზარდებს, მხატვრებსა და სახელმწიფოს პირველ პირებს. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი საღამო, რომელზეც მოწვეულმა სტუმრებმა ერთობლივი მუშაობის შედეგად შესანიშნავი ნამუშევრები შექმნეს, რომელთა გამოფენაც მოგვიანებით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში მოეწყო.

საღამო გაიმართა კავშირის „ჩვენი ბავშვები“, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით. ■

NATIONAL GEOGRAPHIC
საქართველო

შთაგვაგონებს ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე

ყოველთვიური ჟურნალი NATIONAL GEOGRAPHIC ქართულად!

გამოწერის შემთხვევაში, 7 ლარის ნაცვლად, ერთი ნომრის ფასი კურიერის მომსახურებით:

ექვსთვიანი გამოწერა	6.50 ლარი	დაზოგეთ 0.50 ლარი +ადგილზე მიტანა
ერთწლიანი გამოწერა	6 ლარი	დაზოგეთ 1 ლარი +ადგილზე მიტანა
გამოწერა სტუდენტებისთვის	4.50 ლარი	დაზოგეთ 1.50 ლარი +ადგილზე მიტანა

ჟურნალის გამოწერა შესაძლებელია ვებგვერდზე **www.natgeo.ge**

სილქნეტი
SILKNET
ყველაზე კარგი კავშირია

სპეციალური ფასი სილქნეტის აბონენტებისთვის
ერთი ნომერი 5 ლარი

თუ სარგებლობთ SilkTV-ით ან სილქნეტის ინტერნეტით ან სილქნეტის სახლის ტელეფონით:

2 100 100:

- აკრიფეთ 2 100 100 და #4
- გამოწერა დაიკავებს 1 წუთს

Silk TV-ის მენიუ:

- Silk TV-ის მენიუში აირჩიეთ "ჟურნალი NATIONAL GEOGRAPHIC"
- ბანერზე დააჭირეთ ღილაკს „OK"

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ სილქნეტის ცხელ ხაზზე 2 100 100

ტელ: 293 2171 | ფაქსი: 293 2172 | ელ-ფოსტა: info@natgeo.ge | www.natgeo.ge